



გაერთიანებული ერების
განათლების, მეცნიერებისა და
კულტურის ორგანიზაცია



მდგრადი
განვითარების
მიზნები

განათლება

მდგრადი განვითარების მიზნებისათვის

სწავლის მიზნები და ამოცანები



განათლება

მდგრადი განვითარების მიზნებისათვის

სწავლის მიზნები და ამოცანები

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის განათლების სექტორი

განათლება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, ვინაიდან იგი არის ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება, მშვიდობისა და მდგრადი განვითარების საფუძველი. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) განათლების მიმართულებით გაეროს სპეციალიზებულ სააგენტოს წარმოადგენს და მისი განათლების სექტორი სათავეში უდგას განათლების ხელშეწყობის მიმართულებით საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე გაღებული ძალისხმევას, ხელს უწყობს განათლების ეროვნული სისტემების გაძლიერებას და რეგირებს განათლების სფეროში არსებულ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებზე, და ამას ყოველივეს ახორციელებს განათლების საშუალებით და გენდერულ თანასწორობასა და აფრიკის ქვეყნებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით.



განათლების სექტორი

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია

2030 წლისათვის გლობალური განათლების დღის წესრიგი

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), როგორც განათლების მიმართულებით გაეროს სპეციალიზებული სააგენტო, უფლებამოსილია სათავეში ჩაუდგეს და კოორდინირება გაუწიოს 2030 წლისათვის გლობალური განათლების დღის წესრიგის დანერგვას, რომელიც წარმოადგენს სიღარიბის დასრულების მიმართულებით გაღებული გლობალური ძალისხმევის ნაწილს, რომლის ორიენტირსაც 2030 წლისათვის მდგრადი განვითარების 17 მიზანი წარმოადგენს. განათლება, რომელიც ამ მიზნების მიღწევის საფუძველს ქმნის, დამოუკიდებლად არის წარმოდგენილი მდგრადი განვითარების მე-4 მიზანში, რომელიც ემსახურება „ინკლუზიური, თანაბარი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფასა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობების ხელშეწყობას ყველა ადამიანისათვის“. სამოქმედო ჩარჩო - განათლება 2030 წლისათვის წარმოადგენს ამ უმნიშვნელოვანესი და ამბიციური მიზნის მიღწევის გზამკვლევს, და მოიცავს შესაბამის ვალდებულებებს.



გამოქვეყნებულია 2017 წელს, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მიერ, მისამართი: 7, place de Fontenoy, 75352 Paris 07 SP, France (საფრანგეთი, პარიზი)

© UNESCO 2017

ISBN 978-92-3-100209-0



წინამდებარე პუბლიკაცია ხელმისაწვდომია თავისუფალი წვდომის რეჟიმში „Attribution-ShareAlike 3.0 IGO (CC-BY-SA 3.0 IGO)“ ლიცენზიის პირობების შესაბამისად (<http://creativecommons.org/licenses/by-sa/3.0/igo/>). წინამდებარე პუბლიკაციის გამოყენებისას, მომხმარებელი ეთანხმება გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) თავისუფალი წვდომის შესაბამის პირობებს (<http://www.unesco.org/open-access/terms-use-ccbysa-en>).

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალები და მოცემული მითითებები არ გულისხმობს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მხრიდან რაიმე სახის მოსაზრების გამოხატვას ამა თუ იმ ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან ადგილის ან მათი ხელისუფლების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, ან მათი საზღვრების დადგენის შესახებ.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები და შეხედულებები ეკუთვნის მის ავტორებს და არ არის აუცილებელი გამოხატავდეს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მოსაზრებებსა და შეხედულებებს, შესაბამისად, მათზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას (UNESCO).

დიზაინი და ბეჭდვა - გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO)

დაბეჭდილია საფრანგეთში

სარჩევი

წინასიტყვაობა

მადლიერების გამოხატვა

სახელმძღვანელოში გამოყენებული შემოკლებები

შესავალი

1. მდგრადი განვითარების მიზნები – ამბიციური და საყოველთაო დღის წესრიგი, რომლის მიზანსაც მსოფლიოს უკეთესობისაკენ შეცვლა წარმოადგენს
2. მდგრადი განვითარებისათვის განათლება – მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ძირითადი ინსტრუმენტი
3. ვისთვის არის განკუთვნილი სახელმძღვანელო და როგორ უნდა ვისარგებლოთ მისით?

1. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად

- 1.1. მდგრადი განვითარების ყველა მიზნის მიღწევისთვის საჭირო გამჭოლი ძირითადი კომპეტენციები
- 1.2. მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული სწავლის კონკრეტული ამოცანები



1.2.1. მდგრადი განვითარების მიზანი 1 [სიღარიბის აღმოფხვრა]
სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა ყველგან



1.2.2. მდგრადი განვითარების მიზანი 2 [შიმშილის აღმოფხვრა]
შიმშილის აღმოფხვრა, სურსათის უსაფრთხოებისა და უკეთესი კვების უზრუნველყოფა და სოფლისმეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა



1.2.3. მდგრადი განვითარების მიზანი 3 [ჯანმრთელობა და კეთილდღეობა]
ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველასთვის, ყველა ასაკში



1.2.4. მდგრადი განვითარების მიზანი 4 [ხარისხიანი განათლება]
ინკლუზიური და თანაბარი განათლების უზრუნველყოფა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობების ხელშეწყობა ყველასთვის



1.2.5. მდგრადი განვითარების მიზანი 5 [გენდერული თანასწორობა]
გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა



1.2.6. მდგრადი განვითარების მიზანი 6 [სუფთა წყალი და სანიტარია]
სუფთა წყლისა და სანიტარიის ხელმისაწვდომობისა და მდგრადი მართვის უზრუნველყოფა



1.2.7. მდგრადი განვითარების მიზანი 7 [ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერჯია]
ყველასათვის ხელმისაწვდომი, საიმედო, მდგრადი და სუფთა ენერჯიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა



1.2.8. მდგრადი განვითარების მიზანი 8 [ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა]
უწყვეტი, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასთვის



1.2.9. მდგრადი განვითარების მიზანი 9 [მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა]
ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა



1.2.10. მდგრადი განვითარების მიზანი 10 [შემცირებული უთანასწორობა]
უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის



1.2.11. მდგრადი განვითარების მიზანი 11 [ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება]
ინკლუზიური, უსაფრთხო, სტაბილური და მდგრადი ქალაქები და დასახლებები



1.2.12. მდგრადი განვითარების მიზანი 12 [გონივრული მოხმარება და წარმოება]
მდგრადი მოხმარების და წარმოების უზრუნველყოფა



1.2.13. მდგრადი განვითარების მიზანი 13 [კლიმატის მდგრადობის მიღწევა]
კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება



1.2.14. მდგრადი განვითარების მიზანი 14 [წყალქვეშა რესურსები]
ოკეანების, ზღვების და მათი რესურსების შენარჩუნება და მდგრადი მოხმარების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის



1.2.15. მდგრადი განვითარების მიზანი 15 [დედამიწის ეკოსისტემები]
ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მათი რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფა, ტყეების მდგრადი მართვა, გაუდაბნობის შეჩერება და მიწისა და ნიადაგის დეგრადირების შეჩერება და დეგრადირებული მიწისა და ნიადაგის აღდგენა და ბიომრავალფეროვნების შემცირების შეჩერება



1.2.16. მდგრადი განვითარების მიზანი 16 [მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები]
მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასთვის და ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე



1.2.17. მდგრადი განვითარების მიზანი 17 [თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის]
მდგრადი განვითარების მიმართულებით გლობალური პარტნიორობის გახორციელებისა და გაძლიერების ხელშეწყობა

2. მდგრადი განვითარების მიზნებისათვის განათლება, მდგრადი განვითარებისთვის განათლების სამუალებით

- 2.1. მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვა პოლიტიკაში, სტრატეგიებსა და პროგრამებში
- 2.2. მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვა სასწავლო პროგრამებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებში
- 2.3. მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვა მასწავლებელთა განათლებაში
- 2.4. მდგრადი განვითარებისათვის განათლება საკლასო ოთახებსა და სხვა სასწავლო გარემოში
- 2.5. მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგებისა და მდგრადი განვითარებისათვის განათლების პროგრამების ხარისხის შეფასება

3. დასკვნა

დანართი 1. შერჩეული ონლაინპრაქტიკა და რესურსები

დანართი 2. გამოყენებული ლიტერატურა

წინასიტყვაობა

გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) მდგრადი განვითარებისათვის განათლების (ESD) მიმართულებით მუშაობას 1992 წლიდან ეწევა. მისი თაოსნობით 2005 წლიდან 2014 წლამდე ათწლეული გაეროს მდგრადი განვითარებისათვის განათლების (ESD) ათწლეულად გამოცხადდა და ამჟამად წარმოებს მის შედეგად მიღებული, მდგრადი განვითარებისათვის განათლების (ESD) გლობალური სამოქმედო პროგრამით (GAP) გათვალისწინებული ღონისძიებების გახორციელება.

მდგრადი განვითარებისათვის განათლებისკენ (ESD) სწრაფვა ჯერ არასდროს ყოფილა ასე ძლიერი. გლობალური საკითხები - როგორცაა კლიმატის ცვლილება - დაუყოვნებლივ საჭიროებს ჩვენი ცხოვრების წესში ცვლილებების შეტანას და ცვლილების შეტანას იმაში, თუ როგორ ვაზროვნებთ, რა მიდგომებს ვიყენებთ და როგორ ვმოქმედებთ. ამ ცვლილებების გასახორციელებლად ჩვენ ახალი უნარების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების შექმნა გვჭირდება, რაც იქნება გარანტია იმისა, რომ შევძლებთ შევქმნათ უფრო მდგრადი საზოგადოებები.

განათლების სისტემები უნდა პასუხობდეს დღევანდელობას და იმ გაადაუდებელ საჭიროებებს, რომლებსაც ჩვენი დღევანდელი ყოფა წარმოშობს, რისთვისაც საჭიროა სწავლის შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების დასახვა და სწავლის შესაბამისი კონტენტის განსაზღვრა, მოსწავლეთა გაძლიერებაზე ორიენტირებული პედაგოგიური მიდგომების შემოტანა, და შესაბამისი ინსტიტუციების ხელშეწყობა მდგრადი განვითარების პრინციპების საკუთარი მართვის სტრუქტურებში ჩართვის მიმართულებით.

მდგრადი განვითარების ახალი 2030 წლის დღის წესრიგი მკაფიოდ ასახავს აღნიშნულ ხედვას, რომელიც განათლების სფეროში შესაბამისი რეაგირების მნიშვნელობაზეა აგებული. მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგში განათლება ცალკე მიზნის ფორმით არის შესული - მდგრადი განვითარების მიზანი 4. მდგრადი განვითარების სხვა მიზნებთან (SDG) დაკავშირებული ბევრი ამოცანა და ინდიკატორი ასევე მოიცავს განათლებას.

განათლება წარმოადგენს როგორც მიზანს, ასევე მდგრადი განვითარების სხვა მიზნების (SDG) მიღწევის საშუალებას. იგი მდგრადი განვითარების არა მხოლოდ განუყოფელ ნაწილს შეადგენს, არამედ მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მყარ საფუძველსაც წარმოადგენს. სწორედ ამიტომ განათლება არის მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ერთ-ერთი არსებითი და უმნიშვნელოვანესი სტრატეგია.

წინამდებარე პუბლიკაცია განკუთვნილია განათლების სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისათვის და ემსახურება მდგრადი განვითარებისათვის განათლების (ESD) საშუალებით მდგრადი განვითარების მიზნებისათვის (SDG) განათლების უზრუნველყოფას და, საბოლოო ჯამში, მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) შესრულებაში შეაქვს საკუთარი წვლილი. სახელმძღვანელოში იდენტიფიცირებულია სწავლის ამოცანები, რომლებიც სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, და მდგრადი განვითარების თითოეული მიზნისთვის (SDG) შემოთავაზებულია სასწავლო თემები და აქტივობები. მასში ასევე განხილულია სხვადასხვა დონეზე პროგრამათა დანერგვისა და გახორციელების მეთოდები, დაწყებული კურსის შემუშავებით და დამთავრებული ეროვნული სტრატეგიების შექმნითა და დანერგვით.

წინამდებარე სახელმძღვანელო არ წარმოადგენს სავალდებულო დოკუმენტს, არამედ ემსახურება რეკომენდაციებისა და წინადადებების მიწოდებას, რომლებითაც შეუძლიათ ისარგებლონ პედაგოგებს ან მთავრობის იხილი კონკრეტულ სასწავლო კონტექსტებს.

ვიმედოვნებ და დარწმუნებული ვარ, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო დაეხმარება შემსწავლებლებს მდგრადი განვითარებისათვის საჭირო და აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებასა და განვითარებაში და საშუალებას მისცემს ყველას, საკუთარი წვლილი შეიტანონ ამბიციური და კრიტიკულად მნიშვნელოვანი დღის წესრიგის გახორციელების საქმეში.



ქიან ტანგი, მეცნიერებათა დოქტორი,

განათლების გენერალური დირექტორის თანამშემწე

მადლიერების გამოხატვა

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მდგრადი განვითარებისა და გლობალური მოქალაქეობისათვის განათლების განყოფილება, ინკლუზიის საკითხებზე მომუშავე განყოფილება, მშვიდობასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე განყოფილება და განათლების განყოფილება. დოკუმენტის სამუშაო ვერსიის შექმნას კოორდინაციას უწევდნენ ალექსანდერ ლეიხტი და ჯულია ჰეისი.

გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) სურს მადლიერება გამოხატოს პუბლიკაციის ძირითადი ავტორისა და ფეხტის უნივერსიტეტის (გერმანია) წარმომადგენლის მარკო რიკმანის მიმართ, და მისი გუნდის წევრების ლიზა მინდტისა და სენან გარდინერის მიმართ, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწიეს ავტორს, წინამდებარე სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში.

წინამდებარე პუბლიკაციის სამუშაო ვერსიის გადასინჯვაზე მუშაობდნენ მდგრადი განვითარებისათვის განათლების (ESD) სფეროსა და მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) დაკავშირებულ სხვადასხვა სექტორში მოღვაწე ექსპერტები. განსაკუთრებული მადლობა გვსურს გადავუხადოთ ბარბარა ავილას, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ჰიდროლოგიურ სისტემებსა და წყლის სიმწირესთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელი განყოფილების წარმომადგენელს; კაროლი ბუკლერს, „Manitoba Education and Training“-ის წარმომადგენელს, კანადა; კრისტოფერ კასტელს, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ჯანდაცვისა და განათლების განყოფილების წარმომადგენელს; რობერტ ჯ დიდაკამს, გლობალური გარემოსდაცვითი სტრატეგიების ინსტიტუტის (IGES) წარმომადგენელს, იაპონია; ვერა დილარის, საბერძნეთის განათლების, კვლევისა და რელიგიურ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს; მეი ისტს, ორგანიზაციის „Gaia Education“ წარმომადგენელს, დიდი ბრიტანეთი; მარგარიტა ფანჩიოტის, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებებისა და გეო-საფრთხეების რისკის შემცირების განყოფილების წარმომადგენელს; ანა ფინლესონს, ორგანიზაციის „Sustainability and Environmental Education (SEED)“ [„მდგრადი განვითარებისათვის განათლება და გარემოსდაცვითი განათლება“] წარმომადგენელს, დიდი ბრიტანეთი; მარიო ფრანკოს, „Millennium@ EDU Sustainable Education“-ის წარმომადგენელს, შვეიცარია; გერჰარდ დე ჰანს, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენელს, გერმანია; ქეით ჰოლმსს, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილების წარმომადგენელს; ლივლინ კახლონს, ენერგეტიკისა და რესურსების ინსტიტუტის (TERI) წარმომადგენელს, ინდოეთი; ტინტინ კარტინის, „Jayagiri Centre“-ის წარმომადგენელს, ინდონეზია; რაჯინი კუმარს, ენერგეტიკისა და რესურსების ინსტიტუტის (TERI) წარმომადგენელს, ინდოეთი; გრეგ მისიასუეკს, პეკინის პედაგოგიური უნივერსიტეტის წარმომადგენელს, ჩინეთი; იოკო მოჩიზუკის, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მაჰათმა განდის სახელობის მშვიდობისა და მდგრადი განვითარებისათვის განათლების ინსტიტუტი, ინდოეთი; მიგელ ბნგელ მორენო, „Instituto Nacional de Formaciyn y Capacitaciyn del Magisterio (INAFOCAM)“-ს წარმომადგენელს, დომინიკის რესპუბლიკა; ტანვირ მუნტასიმს, „ActionAid“-ის წარმომადგენელს, ბანგლადეში; ზიპორა მუსიოკის, ბუნების მსოფლიო ფონდის „WWF“ აფრიკის რეგიონული ოფისის წარმომადგენელს, კენია; ელან ნევისს, გარემოსდაცვითი განათლების ორგანიზაციის „ECO-UNESCO“ წარმომადგენელს, ირლანდია; მარიანე ოლესენს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის „UN Women“ წარმომადგენელს, ამერიკის შეერთებული შტატები; ამირა ოსმანს, თანამეგობრობის სამდივნოს ჯანმრთელობისა და განათლების განყოფილების წარმომადგენელს, დიდი ბრიტანეთი; ოლუვაფუნმილაიო ოიატოგუნს, ვაჰამბას განვითარების ორგანიზაციის წარმომადგენელს, ნიგერია; აშოკ რეგმის, საერთაშორისო ახალგაზრდული ფონდის წარმომადგენელს, ამერიკის შეერთებული შტატები; ელიემ საპიოუნს, „Organisation De Développement Durable (ODDD)“-ის წარმომადგენელს, ლიბანი; რობერტ შრიბერს, გერმანიის არასამთავრობო განვითარების ორგანიზაციების ასოციაციის (VENRO) წარმომადგენელს; პრამოდ შარმას, გარემოსდაცვითი განათლების ცენტრის (CEE) წარმომადგენელს, ინდოეთი; ჯინან კარამეჰ შაიას, ლიბანის უნივერსიტეტის წარმომადგენელს, ლიბანი; ჰანეს სეიგეს, „Engagement Global“-ის [„გლობალური ჩართულობა“] წარმომადგენელს, გერმანია; ზინტლე სონგქვარუს, სამხრეთ აფრიკის გარემოსდაცვითი განათლების ასოციაციის (EEASA) წარმომადგენელს; ვიქტორია უ. თორესენს, ჰედმარკის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის წარმომადგენელს, ნორვეგია; ფელისა ტიბიტოსს, ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისა და ტრენინგის ცენტრის (HREA) წარმომადგენელს, ამერიკის შეერთებული შტატები; კარლოს ალბერტო ტორესს, კალიფორნიის

უნივერსიტეტის წარმომადგენელს, ამერიკის შეერთებული შტატები; ჯაირ ტორესს, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) განათლების სექტორში კატასტროფების რისკების შემცირებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გლობალური ალიანსის (GADRRRES) წარმომადგენელს; შეფარდ ურინჯეს, მდგრადი განვითარებისათვის განათლების საერთაშორისო ცენტრის (SWEDESD) წარმომადგენელს, შვედეთი; რალ ვალდის კოტერასს, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ინსტიტუტის (UIL) წარმომადგენელს; ჰილაგჯე ვანტ ლანდს, უნივერსიტეტთა საერთაშორისო ასოციაციის (IAU) წარმომადგენელს; პოლ უარუიკს, პლიმუთის უნივერსიტეტის მდგრადი მომავლის ცენტრის წარმომადგენელს, დიდი ბრიტანეთი; ჯონათან იეს, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) კანადის კომისიის წარმომადგენელს, კანადა; დანიელა ზალოკოს, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) ასოცირებული სკოლების ქსელის (ASPnet) ეროვნულ კოორდინატორს, არგენტინა; იაპონიის მთავრობას.

და ბოლოს, მადლობას ვუხდით კათი ნოლანს, რედაქტირების მიმართულებით წინამდებარე სახელმძღვანელოს შექმნაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისთვის.

სახელმძღვანელოში გამოყენებული შემოკლებები

DESD	გაეროს მდგრადი განვითარებისათვის განათლების ათწლეული
ESD	მდგრადი განვითარებისათვის განათლება
GAP	მდგრადი განვითარებისათვის განათლების გლობალური სამოქმედო პროგრამა
GCED	გლობალური მოქალაქეობის სწავლება
ICT	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
LCA	სასიცოცხლო ციკლის ანალიზი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PISA	მოსწავლეთა მიღწევების შეფასების საერთაშორისო პროგრამა
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNESCO	გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია

შესავალი

შესავალი

1. მდგრადი განვითარების მიზნები – ამბიციური და საყოველთაო დღის წესრიგი, რომლის მიზანსაც მსოფლიოს უკეთესობისაკენ შეცვლა წარმოადგენს

2015 წლის 25 სექტემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი (UN, 2015). აღნიშნული ახალი გლობალური ჩარჩო, რომელიც კაცობრიობის მდგრადი განვითარების გზაზე დაყენებას ემსახურება, შემუშავებული იქნა 2012 წელს, ბრაზილიაში, კერძოდ რიო დე ჟანეიროში, რიო+20 ფორმატში გამართული და მდგრადი განვითარებისადმი მიძღვნილი გაეროს კონფერენციის შემდეგ და მის შემუშავებას სამი წელი დასჭირდა. ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ გაეროს წევრი სახელმწიფოები, და მილიონობით ადამიანი, რომლებიც ეროვნულ კვლევებს აწარმოებდნენ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე ათასობით პროცესში მონაწილე დაინტერესებული მხარე, მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის ბირთვს წარმოადგენს მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDGs). მდგრადი განვითარების ეს საყოველთაო, ცვლილებების მომტანი და ინკლუზიური მიზნები აღწერს იმ გამოწვევებს, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას, მისივე განვითარების გზაზე. მდგრადი განვითარების აღნიშნული 17 მიზანი (იხილეთ ჩანართი 1.1) ემსახურება მდგრადი, მშვიდობიანი, წარმატებული და სამართლიანი ცხოვრების უზრუნველყოფას მთელს მსოფლიოში, ყველასთვის, ახლა და მომავალში. მიზნები მოიცავს იმ გლობალურ გამოწვევებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის გადარჩენისთვის. ისინი ადგენს გარემოსდაცვით წესებსა და ბუნებრივი რესურსების მოხმარების ზღვრებს. დოკუმენტში აღიარებულია, რომ სიღარიბის აღმოფხვრა უნდა წარმოადგენდეს პრიორიტეტს და საფუძვლად უნდა ედოს ყველა იმ სტრატეგიას, რომლებიც ეკონომიკურ განვითარებას ემსახურება. მიზნებში ასახულია მთელი რიგი სოციალური საჭიროებები, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა და დასაქმების შესაძლებლობები და, ამავე დროს, კლიმატის ცვლილებასთან გამკლავებისა და გარემოს დაცვის აუცილებლობა. მდგრადი განვითარების მიზნები ემსახურება იმ სისტემური ბარიერების მოხსნას, რომლებიც მდგრად განვითარებას უშლის ხელს, როგორცაა უთანასწორობა, არაგონივრული მოხმარება, სუსტი ინსტიტუციური შესაძლებლობები და გარემოს დეგრადაცია.

იმისათვის რათა მიღწეული იყოს დასახული მიზნები, საჭიროა ყველამ საკუთარი წვლილი შეიტანოს მათი მიღწევისთვის გაღებულ ძალისხმევაში: მთავრობებმა, კერძო სექტორმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და თითოეულმა ადამიანმა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სახელმწიფოთა მთავრობების ვალდებულებაში შედის 2030 წლის დღის წესრიგის გახორციელებისათვის საჭირო ეროვნული ჩარჩოების, პოლიტიკისა და ღონისძიებების შემუშავების მიმართულებით გაღებული ძალისხმევის გაძლიერება და ხელშეწყობა.

მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს მისი საყოველთაო და განუყოფელი ხასიათი. მის სამიზნეს წარმოადგენს განურჩევლად ყველა ქვეყანა, განვითარებადი თუ განვითარებული. ყველა ქვეყანა, რომელიც უერთდება მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგს იღებს ვალდებულებას, საკუთარი განვითარების მიმართულებით გაღებული ძალისხმევა შეაჯეროს საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნებთან, რაც ასევე გულისხმობს ჩვენი პლანეტის დაცვას, მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. მაშასადამე, მდგრადი

განვითარების მიზნების გათვალისწინებით, ყველა ქვეყანა განვითარებად ქვეყანად შეიძლება იქნას მიჩნეული, და ყველა ქვეყანა საჭიროებს იმოქმედოს დაუყოვნებლივ.

ჩანართი 1. მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDGs)

1. სიღარიბის აღმოფხვრა - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა ყველგან
2. შიმშილის აღმოფხვრა - შიმშილის აღმოფხვრა, სურსათის უსაფრთხოებისა და უკეთესი კვების უზრუნველყოფა და სოფლისმეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა
3. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა - ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველასთვის, ყველა ასაკში
4. ხარისხიანი განათლება - ინკლუზიური და თანაბარი განათლების უზრუნველყოფა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობების ხელშეწყობა ყველასთვის
5. გენდერული თანასწორობა - გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა
6. სუფთა წყალი და სანიტარია - სუფთა წყლისა და სანიტარიის ხელმისაწვდომობისა და მდგრადი მართვის უზრუნველყოფა
7. ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერჯია - ყველასთვის ხელმისაწვდომი, საიმედო, მდგრადი და სუფთა ენერჯიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა - უწყვეტი, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასთვის
9. მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა - ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა
10. შემცირებული უთანასწორობა - უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის
11. ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება - ინკლუზიური, უსაფრთხო, სტაბილური და მდგრადი ქალაქები და დასახლებები
12. გონივრული მოხმარება და წარმოება - მდგრადი მოხმარების და წარმოების უზრუნველყოფა
13. კლიმატის მდგრადობის მიღწევა - კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება
14. წყალქვეშა რესურსები - ოკეანეების, ზღვების და მათი რესურსების შენარჩუნება და მდგრადი მოხმარების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის
15. დედამიწის ეკოსისტემები - ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მათი რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფა, ტყეების მდგრადი მართვა, გაუდაბნოების შეჩერება და მიწისა და ნიადაგის დეგრადირების შეჩერება და დეგრადირებული მიწისა და ნიადაგის აღდგენა და ბიომრავალფეროვნების შემცირების შეჩერება
16. მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასთვის და ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე
17. თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის - მდგრადი განვითარების მიმართულებით გლობალური პარტნიორობის გახორციელებისა და გაძლიერების ხელშეწყობა

წყარო: <http://www.un.org/sustainabledevelopment/sustainable-development-goals>

2. მდგრადი განვითარებისათვის განათლება – მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ძირითადი ინსტრუმენტი

„ფუნდამენტური ცვლილებაა საჭირო ჩვენს ხედვაში, იმაში, თუ რას ვფიქრობთ განათლების როლზე გლობალურ განვითარებაში, რადგან მას აქვს უნმიშვნელოვანესი გავლენა ინდივიდების კეთილდღეობაზე და ჩვენი პლანეტის მომავალზე... ახლა, როგორც არასდროს, სწორედ განათლებას ეკისრება პასუხისმგებლობა 21-ე საუკუნის გამოწვევებთან გამკლავებისა და მისწრაფებების შესრულების საქმეში და სწორედ განათლების საშუალებით ყალიბდება ის ღირებულებები და უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა მდგრადი და ინკლუზიური ზრდისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად“.

ირინა ბოკოვა, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) გენერალური დირექტორი

„განათლებას შეუძლია და, შესაბამისად, განათლებამ უნდა შეუწყოს ხელი მდგრადი გლობალური განვითარების ახალი ხედვის ჩამოყალიბებას“.

(გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO), 2015 წ.)

მდგრადი განვითარების გზაზე დადგომა მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს იმაში, თუ როგორ ვაზროვნებთ და როგორ ვმოქმედებთ. უფრო მდგრადი მსოფლიოს შექმნის მიზნით და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული იმ პრობლემების მოგვარების საქმეში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც მდგრადი განვითარების მიზნებშია ჩამოყალიბებული, აუცილებელია თითოეული ადამიანის მონაწილეობა მდგრადი განვითარებისათვის საჭირო ცვლილებების გახორციელებაში. ადამიანები უნდა ფლობდნენ ცოდნას, უნარებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს, იმისათვის რომ შეძლონ საკუთარი წვლილი შეიტანონ მდგრად განვითარებაში. მდგრადი განვითარების მიღწევა წარმოუდგენელია განათლების გარეშე. თუმცა, ყველა ტიპის განათლება არ ემსახურება მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას. განათლებამ, რომელიც მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაზეა ორიენტირებული, შესაძლებელია ხელი შეუწყოს არაგონივრული მოხმარების ზრდას. ახლა უკვე კარგად დამკვიდრებული მიდგომა, რომელიც მდგრადი განვითარებისათვის განათლებას მოიცავს, საშუალებას მისცემს ახალგაზრდა თაობას მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები და იმოქმედონ როგორც პასუხისმგებელმა მოქალაქეებმა, გარემოს შენარჩუნების, ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და სამართლიანი საზოგადოების უზრუნველსაყოფად, როგორც ახლანდელი ასევე მომავალი თაობების სასკიკეთოდ.

მდგრადი განვითარებისათვის განათლება მიზნად ისახავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც საშუალებას მისცემს ინდივიდუალურ პირებს გააცნობიერონ და გაანალიზონ საკუთარი ქმედებები, გაითვალისწინონ ის სოციალური, კულტურული, ეკონომიკური შედეგები, რომლებიც მომავალში შეიძლება მოჰყვეს მათ ქმედებებს, და ის, თუ რა ზემოქმედება შეიძლება იქონიოს მათ მიერ გახორციელებულმა ქმედებებმა გარემოზე, როგორც ადგილობრივი, ასევე გლობალური პერსპექტივით. საჭიროა ასევე ადამიანების აღჭურვა შესაბამისი უნარებითა და შესაძლებლობებით, რათა მათ შეძლონ რთულ სიტუაციებში იმოქმედონ გადაჭრით, რაც მათგან შეიძლება მოითხოვდეს ახალი გზების არჩევას, და მონაწილეობა მიიღონ იმ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში, რომლებიც მათი საზოგადოებების მდგრად განვითარებას ემსახურება.

მდგრადი განვითარებისათვის განათლება უნდა განიხილებოდეს, როგორც ხარისხიანი განათლების განუყოფელი ნაწილი, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის კონცეფციის არსებითი კომპონენტი: ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას - სკოლამდელი განათლებიდან დაწყებული, უმაღლესი, არაფორმალური და ფორმალურისგან განსხვავებული განათლებით დამთავრებული, შეუძლია აიღოს პასუხისმგებლობა მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების სასწავლო პროგრამებში ინტენსიურად ჩართვასა და მდგრადი განვითარების კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობაზე და, ფაქტობრივად, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება ასეც უნდა მოიქცეს. მდგრადი

განვითარებისათვის განათლება მართლაც რომ მნიშვნელოვანი და მეტად აქტუალურია დღევანდელ მსოფლიოში არსებული გამოწვევების ფონზე.

მდგრადი განვითარებისათვის განათლება თავის თავში მოიცავს ჰოლისტიკურ მიდგომასა და განათლებას, რომელიც ცვლილებების მოტანას ემსახურება, და რომელსაც გააჩნია საკუთარი შინაარსი და შედეგები, მეთოდები და წინაპირობები. გამომდინარე აქედან, მდგრადი განვითარებისათვის განათლება გულისხმობს არა მხოლოდ სასწავლო პროგრამაში ისეთი კონტენტის ჩართვას, როგორცაა კლიმატის ცვლილება, სიღარიბე და გონივრული და რაციონალური მოხმარება; არამედ ასევე გულისხმობს ინტერაქტიულ, მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებასა და სასწავლო გარემოს. მდგრადი განვითარებისათვის განათლება მოითხოვს სწავლებიდან სწავლაზე გადასვლას. იგი ასევე მოითხოვს ქმედებაზე ორიენტირებას, რეალური ცვლილებების მომტანი მეთოდების ე.წ. ტრანსფორმაციული პედაგოგიკის გამოყენებას, რაც ხელს უწყობს და ახალისებს სწავლის პროცესის თვითორგანიზებას, მონაწილეობასა და თანამშრომლობას, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებას, დისციპლინათაშორისი და ტრანსდისციპლინარული თემების განხილვას, ფორმალური და არაფორმალური სწავლის გარემოთა შერწყმას. მხოლოდ ამგვარი პედაგოგიური მიდგომებით არის შესაძლებელი იმ ძირითადი კომპეტენციების დაუფლება, რომლებიც აუცილებელია მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის.

დღითი დღე და განუწყვეტლივ იზრდება მსოფლიოში იმ ქვეყნებისა და ტერიტორიების რაოდენობა, რომლებიც მდგრადი განვითარებისათვის განათლებას აღიარებს, როგორც მდგრადი განვითარების ძირითად ხელშემწყობ ფაქტორს. მდგრადი განვითარებისათვის განათლება სწორედ ამგვარად იქნა შეფასებული გლობალური მდგრადი განვითარების სამ უმნიშვნელოვანეს სამიტზე: 1992 წელს, ბრაზილიაში, კერძოდ რიო დე ჟანეიროში გამართულ და გარემოსა და განვითარებისადმი მიძღვნილ გაეროს კონფერენციაზე (UNCED); 2002 წელს სამხრეთ აფრიკაში, კერძოდ იოჰანესბურგში გამართულ და მდგრადი განვითარებისადმი მიძღვნილ მსოფლიო სამიტზე (WSSD); და 2012 წელს ისევ ბრაზილიაში, კერძოდ რიო დე ჟანეიროში გამართულ და მდგრადი განვითარებისადმი მიძღვნილ გაეროს კონფერენციაზე (UNCSD). მდგრადი განვითარებისათვის განათლება ასევე არსებით სფეროდ არის აღიარებული სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტებსა თუ შეთანხმებებში, მაგალითად, პარიზის ხელშეკრულებაში (მუხლი 12).

გაეროს მდგრადი განვითარებისათვის განათლების ათწლეული (2005–2014) მიზნად ისახავდა მდგრადი განვითარების ყველა პრინციპისა და მასთან დაკავშირებული ყველა პრაქტიკის ჩართვას განათლებისა და სწავლის უკლებლივ ყველა ასპექტში. მის მიზანს წარმოადგენდა ასევე ცოდნაში, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებში ცვლილებების ხელშეწყობა, ყველასთვის უფრო მდგრადი და სამართლიანი საზოგადოების ზურუნველსაყოფად. მდგრადი განვითარებისათვის განათლების გლობალური სამოქმედო პროგრამა (GAP), რომელიც გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO) 2013 წლის ნოემბერში მის რიგით 37-ე გენერალურ კონფერენციაზე დაამტკიცა, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის A/RES/69/211 საფუძველზე, და რომელიც ამოქმედდა 2014 წლის 12 ნოემბერს, იაპონიის ქალაქ აიჩი-ნაგოიაში გამართულ და მდგრადი განვითარებისათვის განათლებისადმი მიძღვნილ გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მსოფლიო კონფერენციაზე, ემსახურება მდგრადი განვითარებისათვის განათლების ფართოდ დანერგვას, გაეროს მდგრადი განვითარებისათვის განათლების ათწლეულის შედეგებზე დაყრდნობით.

ჩანართი 1. მდგრადი განვითარების მიზანები (SDGs) ამოცანა 4.7

2030 წლისათვის, საჭიროა უზრუნველყოფა იმისა, რომ ყველა მოსწავლე ეუფლებოდეს ცოდნას და იძენდეს უნარ-ჩვევებს, რომლებიც მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის არის საჭირო, მათ შორის განათლების საშუალებით, რომელიც ემსახურება მდგრადი განვითარების ხელშეწყობას, მდგრადი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ადამიანის უფლებების დაცვას, გენდერული

თანასწორობის დამყარებას, მშვიდობის დამკვირვებას და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნას, გლობალური მოქალაქეობის ჩამოყალიბებასა და კულტურული მრავალფეროვნების მიღებისთვის მზადყოფნას და ხედვის დამკვიდრებას, რომლის თანახმადაც კულტურას საკუთარი წვლილი შეაქვს მდგრად განვითარებაში.

წყარო: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2015 წ.

მდგრადი განვითარებისათვის განათლება შესულია მდგრადი განვითარების მიზნებში, კონკრეტულად, მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის მე-7 ამოცანაში, რომელიც განათლებას ეძღვნება, გლობალური მოქალაქეობის შესახებ განათლებასთან ერთად (GCED), რომელსაც მხარს უჭერს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), როგორც ე.წ. შემავსებელ მეთოდს¹. ამავდროულად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს მდგრადი განვითარებისათვის განათლების არსებითი ფუნქცია მდგრადი განვითარების ყველა სხვა დანარჩენ 16 მიზანთან მიმართებაში. ემსახურება რა მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭირო გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას, მდგრადი განვითარებისათვის განათლება საფუძვლად უდევს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მიმართულებით გაღებულ ნებისმიერ და ყველა ძალისხმევას, აძლევს რა საშუალებას ინდივიდუალურ პირებს საკუთარი წვლილი შეიტანონ მდგრად განვითარებაში, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების ხელშეწყობითა და, აგრეთვე, საკუთარ ცხოვრების წესსა და ქცევაში ცვლილებების შეტანით. მდგრადი განვითარებისათვის განათლებას აქვს კონკრეტული შემეცნებითი, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ქცევითი სწავლის შედეგები, რაც ადამიანებს საშუალებას აძლევს გაუმკლავდნენ კონკრეტულ გამოწვევებს, რომლებიც მდგრადი განვითარების თითოეულ მიზანს უკავშირდება, და ამგვარად, ხელი შეუწყონ ამ მიზნების შესრულებას. მოკლედ რომ ვთქვათ, მდგრადი განვითარებისათვის განათლება ყველა ინდივიდუალურ ადამიანს აძლევს საშუალებას საკუთარი წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, ხელს უწყობს რა მათ აღჭურვას იმ ცოდნითა და კომპეტენციებით, რომლებიც მათ სჭირდებათ არა მხოლოდ იმის გასაცნობიერებლად, თუ რას წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნები, არამედ იმისათვის, რომ როგორც ინფორმირებული მოქალაქეები, თითოეული მათგანი აქტიურად ჩაერთოს საჭირო ცვლილებების გახორციელების საქმეში.

3. ვისთვის არის განკუთვნილი სახელმძღვანელო და როგორ უნდა ვისარგებლოთ მისით?

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანს წარმოადგენს მკითხველისათვის რეკომენდაციების მიწოდება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული განათლება, განსაკუთრებით მდგრადი განვითარებისათვის განათლება, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მიმართულებით. მასში მდგრადი განვითარების თითოეული მიზნისთვის ჩამოყალიბებულია სწავლის მიზნები, შემოთავაზებულია თემები და სასწავლო აქტივობები, და აღწერილია სხვადასხვა დონეზე გასატარებელი ღონისძიებები, დაწყებული სასწავლო კურსის შემუშავებითა და დამთავრებული ეროვნული სტრატეგიის შემუშავებით. წინამდებარე სახელმძღვანელო დიდ დახმარებას გაუწევს პოლიტიკისა და სასწავლო პროგრამების შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებსა და მეთოდისტებს, რომელთა ამოცანასაც წარმოადგენს კონკრეტული სტრატეგიების, სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების შემუშავება და დანერგვა, მდგრადი განვითარების მიზნებისათვის განათლების ხელშეწყობის მიზნით. წინამდებარე დოკუმენტი არ განკუთვნილია ნორმატიულ დოკუმენტებს, არამედ უფრო სარეკომენდაციო ხასიათის არის და მასში შემოთავაზებულია სასწავლო თემები და სწავლის ამოცანები, რომლებიდანაც შესაძლებელია შეირჩეს სათანადო თემები და ამოცანები, ან წარმოებულ იქნას მათი ადაპტირება, კონკრეტულ სასწავლო კონტექსტზე მათი მაქსიმალურად მორგების მიზნით.

¹ სწავლება გლობალური მოქალაქეობის შესახებ: თემები და სწავლის ამოცანები; გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2015 წ. <http://unesdoc.unesco.org/images/0023/002329/232993e.pdf>

მეთოდის ტექსტსა და პედაგოგებს შეუძლიათ ისარგებლონ წინამდებარე პუბლიკაციაში მოცემული ტექსტით, როგორც რესურსით, რომელიც დაეხმარება მათ ტრენინგის კურსების, სახელმძღვანელოების, მასობრივი ღია ონლაინკურსების (MOOC) და გამოყენებების მომზადებაში. წინამდებარე სახელმძღვანელოთი ასევე შეუძლიათ ისარგებლონ ფორმალური საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებმა და სასწავლო პროგრამების შემუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა, პროფესიული განვითარების პროგრამების ტრენინგებმა ან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებიც არაფორმალური განათლების ფარგლებში, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მოსახლეობისათვის შეთავაზების მიმართულებით მუშაობენ. მოცემული პუბლიკაციით სარგებლობა შეუძლია ხელისუფლებას და პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს, რომელთაც შეუძლიათ გაითვალისწინონ პუბლიკაციაში წარმოდგენილი მოსაზრებები, რომლებიც უკავშირდება მდგრადი განვითარების მიზნებთან ასოცირებულ სწავლის ამოცანებს, საგანმანათლებლო პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავების პროცესში. პუბლიკაცია შესაძლებელია ასევე გამოყენებული იქნას როგორც მდგრადი განვითარების მიზნების, მდგრადი განვითარებისათვის განათლების, კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლებისა და მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული სწავლის მიდგომების გაცნობის რესურსი. გარდა ამისა, წინამდებარე სახელმძღვანელო და მასში რეკომენდებული დამატებითი რესურსები შესაძლებელია გამოყენებული იქნას აღნიშნულ კონცეფციათა შესახებ ცოდნის გასამდიდრებლად. მისი გამოყენება ასევე შესაძლებელია მდგრადი განვითარებისათვის განათლებისა და მასთან დაკავშირებული სხვა მიმართულებებით, როგორცაა განათლება გლობალური მოქალაქეობის შესახებ, სწავლება ადამიანის უფლებათა შესახებ, გარემოსდაცვითი განათლება და სხვ., გატარებული ღონისძიებების გასაფართოვებლად და გასამდიდრებლად.

ვინაიდან სამიზნე ჯგუფი მეტად მრავალფეროვანია და წინამდებარე სახელმძღვანელო მრავალი დანიშნულებით შეიძლება იქნას გამოყენებული, მდგრადი განვითარების თითოეულ მიზანთან დაკავშირებული სწავლის ამოცანები, თემები და სასწავლო აქტივობები ზოგად ჭრილშია მოცემული. წარმოადგენს რა ზოგად სახელმძღვანელოს, მასში მოცემული სწავლის ამოცანები, თემები და სასწავლო აქტივობები არ არის განსაზღვრული კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფის შემსწავლელთათვის, არ არის მორგებული კონკრეტულ სასწავლო გარემოსა თუ ეროვნულ თუ სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტზე. მათით ხელმძღვანელობა შესაძლებელია მთელი მსოფლიოს მასშტაბით ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფთან მუშაობისას, თუმცა, ამავდროულად, პრაქტიკაში მათი დანერგვისას, საჭირო იქნება მათი ადაპტირება, კონკრეტულ ეროვნულ თუ ადგილობრივ კონტექსტზე მათი მორგების მიზნით. პედაგოგებმა და სასწავლო პროგრამების შემუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა საჭიროა განსაზღვრონ დონე, რომელიც მიღწეული უნდა იქნას შემსწავლელთა მიერ (მაგალითად, დაწყებითი და საბაზისო განათლებისთვის, საუნევერსიტეტო უმაღლესი განათლებისთვის).

წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული სწავლის ამოცანები, თემები და აქტივობები განხილული უნდა იქნას როგორც ზოგადი სახელმძღვანელო რესურსი; ისინი არც სრულყოფილი და არც ამომწურავი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის ამოცანები მოიცავს აუცილებელ სწავლის შედეგებს (მათ შორის, ცოდნას, უნარებს, დამოკიდებულებებსა და ქცევას), რომლებიც მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას ემსახურება, და მიუხედავად იმისა, რომ ისინი განკუთვნილია მთელი მსოფლიო მასშტაბით გამოყენებისათვის, მათში მხოლოდ ძირითადი და ზოგადი მოსაზრებებია გადმოცემული. შესაბამისად, საჭიროა მათი გამდიდრება შესაბამისი და ადგილობრივად აქტუალური თემებით, და მათი შევსება ახალ საკითხებით, რომლებიც ფაქტობრივად ყოველდღიურად იჩენს თავს, ჩვენს სწრაფად ცვალებად მსოფლიოში. მოცემულ სახელმძღვანელოში შესული ზოგიერთი საკითხი, შესაძლებელია უკვე იყოს დანერგილი არსებულ სასწავლო პროგრამებში. ამ შემთხვევაში, წინამდებარე სახელმძღვანელოში შესული ტექსტი, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც შემავსებელი რესურსი, ან დამატებითი მასალა, როდესაც წარმოებს არსებული სასწავლო პროგრამების გადარჩენა ან მათი გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა.

წინამდებარე სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილში შეჯამებულია მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული ძირითადი კომპეტენციები, რომლებიც უნდა შეიძინონ და გაიუმჯობესონ შემსწავლელებმა, და მდგრადი განვითარების 17-ვე მიზნისთვის, ცალ-ცალკე, ჩამოყალიბებულია სწავლის ამოცანები, შემოთავაზებულია თემები და სწავლა-სწავლების მიდგომები, რომლებიც რეკომენდაციის ხასიათს ატარებს. და ბოლოს, შედარებით მცირე დასკვნით ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები მათი სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეებზე და სხვადასხვა კონტექსტში დანერგვასთან დაკავშირებით.

1.

სწავლის ამოცანები

მდგრადი განვითარების მიზნების

მისაღწევად

1. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად

მდგრადი განვითარებისათვის განათლება წარმოადგენს იმ გამჭოლი ძირითადი კომპეტენციების განვითარებისა და ჩამოყალიბების საშუალებას, რომლებიც ესადაგება მდგრადი განვითარების მიზნებს. მდგრადი განვითარებისათვის განათლება შესაძლებელია ემსახურობდეს კონკრეტული სასწავლო შედეგების მიღწევას, რომლებიც საჭიროა მდგრადი განვითარების კონკრეტული მიზნის გასახორციელებლად.

1.1. მდგრადი განვითარების ყველა მიზნის მიღწევისთვის საჭირო გამჭოლი ძირითადი კომპეტენციები

მსოფლიო მასშტაბით, საზოგადოებები ცდილობენ რა ფეხი აუწყონ ტექნოლოგიურ პროგრესსა და გლობალიზაციას, მათ ბევრი ახალ გამოწვევებთან უწევთ გამკლავება. რაც თავისთავად გულისხმობს სირთულეებსა და გაურკვევლობას; მეტ ინდივიდუალიზმსა და სოციალურ მრავალფეროვნებას; ეკონომიკური და კულტურული ერთგვაროვნობის განვრცობას, იმ ეკოსისტემათა მომსახურებების დეგრადირებას, რომელზეც ისინი არიან დამოკიდებული; და ბუნებრივი და ტექნოლოგიური საფრთხეების წინაშე მოწყვლადობისა და დაუცველობის ხარისხის ზრდას. საზოგადოებებს ხელი მიუწვდებათ უამრავ ინფორმაციაზე, რომელიც ელვის სისწრაფით ვრცელდება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოება მოითხოვს შემოქმედებით მიდგომასა და თვითორგანიზებულ მოქმედებას, ვინაიდან სიტუაციათა კომპლექსურობა გამორიცხავს მათ მოგვარებას პრობლემის გადაჭრის მხოლოდ ძირითადი და ჩვენთვის კარგად ნაცნობი პროცესებით, სადაც მოვლენათა განვითარება მკაცრად ექვემდებარება წინასწარ შედგენილ გეგმას. ადამიანებს უნდა გააჩნდეთ იმ კომპლექსური სამყაროს სწორი აღქმა, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება. მათ უნდა შეძლონ თანამშრომლობა, საკუთარი მოსაზრების ხმამაღლა გამოთქმა და პოზიტიური ცვლილებების გასახორციელებლად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2015). ამგვარ ადამიანებს შესაძლებელია ვუწოდოთ „თვითმყოფადი მოქლაქეები“ (Wals, 2015; Wals and Lenglet, 2016).

არსებობს ზოგადი თანხმობა იმის შესახებ, რომ თვითმყოფადი მოქლაქეები უნდა ფლობდნენ გარკვეულ ძირითად კომპეტენციებს, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს კონსტრუქციულად და პასუხისმგებლობით იმოქმედონ და ჩაერთონ დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში. კომპეტენციები მოიცავს იმ კონკრეტულ მახასიათებლებს, რომლებსაც უნდა ფლობდნენ ადამიანები, რათა შეძლონ რთულ კონტექსტებსა და კომპლექსურ სიტუაციებში მოქმედება და თვითორგანიზება. ისინი მოიცავს შემეცნებით,

ემოციურ, ნებელობით და მოტივაციურ ელემენტებს; ამრიგად, აღნიშნული გულისხმობს ცოდნას, შესაძლებლობებს და უნარებს, მოტივებსა და ემოციებს შორის ურთიერთქმედებას. კომპეტენციები არ ექვემდებარება სწავლებას, არამედ წარმოებს მათი განვითარება და გამომუშავება. მათი შექმნა წარმოებს ქმედების შედეგად, გამოცდილებითა და გააზრებით (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2015; Weinert, 2001).

ძირითადი კომპეტენციები წარმოადგენს გამჭოლ კომპეტენციებს, რომლებსაც უნდა ფლობდეს ყველა ადამიანი, ყველა ასაკში და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში (მათი გამომუშავება წარმოებს ასაკის შესაბამის დონეზე). ძირითადი კომპეტენციები შესაძლებელია აღქმული იქნას, როგორც გამჭოლი, მრავალფუნქციური და კონტექსტისგან დამოუკიდებელი. ისინი არ ანაცლებს კონკრეტულ კომპეტენციებს, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციასა და კონტექსტში წარმატებული მოქმედების გასახორციელებლად არის საჭირო, არამედ მოიცავს ამ კომპეტენციებსა და უფრო ფართო ხედით წარმოადგენს მათ (Rychen, 2003; Weinert, 2001).

ქვევით მოცემული კომპეტენციები ზოგადად აღიარებულია როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი კომპეტენციები (de Haan, 2010; Rieckmann, 2012; Wiek et al., 2011).

ჩანართი 1.1. მდგრადი განვითარების ძირითადი კომპეტენციები

სისტემური აზროვნების კომპეტენცია: ურთიერთობების შეცნობისა და გააზრების შესაძლებლობა; რთული სისტემების ანალიზი; ანალიზი იმისა, თუ როგორ არის სისტემები ჩართული სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა მასშტაბებით; და გაურკვევლობასთან გამკლავება.

მოვლენების განვითარების წინასწარ განჭვრეტის კომპეტენცია: მოვლენების სხვადასხვაგვარად განვითარების პერსპექტივათა - შესაძლო, მოსალოდნელ და სასურველ პერსპექტივათა გააზრებისა და შეფასების უნარი; მომავლის საკუთარი ხედვის ჩამოყალიბების უნარი; სიფრთხილის პრინციპებით ხელმძღვანელობის უნარი; ქმედებათა შედეგების შეფასების უნარი და რისკებთან გამკლავებისა და ცვლილებებთან ადაპტაციის უნარი.

ნორმატიული კომპეტენცია: იმ ნორმებისა და ღირებულებების გაგება და გაცნობიერება, რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანის ქმედებებს; მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ ღირებულებებზე, პრინციპებზე, მიზნებზე და ამოცანებზე მოლაპარაკების წარმოების უნარი, ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების არსებობის და დათმობაზე წასვლის აუცილებლობის გაცნობიერება, არადამაჯერებელი ცოდნისა და დაპირისპირებების კონტექსტში.

სტრატეგიული კომპეტენცია: იმ ინოვაციურ ღონისძიებათა ერთობლივად შემუშავებისა და გახორციელების უნარი, რომლებიც ემსახურება მდგრადი განვითარების ხელშეწყობას, როგორც ადგილობრივ ასევე უფრო ფართო დონეებზე.

თანამშრომლობის კომპეტენცია: სხვებისგან სწავლის უნარი; სხვათა საჭიროებების, ხედვისა და მათ მიერ გამოვლენილი ქვეყნების აღქმა და მათდამი პატივისცემის გამოხატვა (ემპათია); სხვათა გაგების, მათ მდგომარეობაში შესვლისა და თანაგრძნობის უნარი (ემპათია + ლიდერობა); ჯგუფში მიმდინარე კონფლიქტების მოგვარების უნარი; და თანამშრომლობისა და მონაწილეობის პრინციპების გათვალისწინებით პრობლემის გადაჭრის ხელშეწყობა.

კრიტიკული აზროვნების კომპეტენცია: ნორმების, პრაქტიკისა და მოსაზრებების კრიტიკულად გააზრების უნარი; საკუთარი ღირებულებების, აღქმისა და მოქმედებების გაანალიზების უნარი; და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის გაცნობიერების უნარი.

თავდაჯერებულობის კომპეტენცია: ადგილობრივ თემსა თუ გლობალურ საზოგადოებაში საკუთარი როლის გაცნობიერების უნარი; საკუთარი მოქმედებების მუდმივი შეფასება და შემდგომი მოქმედებებისათვის მოტივაციის გამოძებნის უნარი; და საკუთარი განცდების და სურვილებისა და მისწრაფებების მართვის უნარი.

პრობლემის გადაჭრის ინტეგრირებული კომპეტენცია: მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული რთული პრობლემების გადაჭრისას სხვადასხვა ჩარჩოების გამოყენების უნარი და პრობლემის ეფექტურად, ინკლუზიურად და სამართლიანად გადაჭრის ვარიანტების შემუშავება, რომლებიც ემსახურება მდგრადი განვითარების ხელშეწყობას და ემყარება ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციების გამოყენებას.

მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული კომპეტენციები, ფაქტობრივად, მოიცავს ყველაფერს იმას, კონკრეტულად რასთან გამკლავებაც უნდა შეძლონ თვითმყოფადმა მოქალაქეებმა, იმ გამოწვევების ფონზე, რომლის წინაშეც მათ უწევთ დგომა დღევანდელ მსოფლიოში. აღნიშნული კომპეტენციები ესადაგება მდგრადი განვითარების უკლებლივ ყველა მიზანს და, გარდა ამისა, საშუალებას აძლევს ინდივიდუალურ პირებს ერთმანეთთან დააკავშირონ მდგრადი განვითარების სხვადასხვა მიზნები – რაც გულისხმობს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღისწესრიგის ფართო სპექტრით აღქმას.

სწავლის კონკრეტული ამოცანები, რომლებიც ქვევით არის ჩამოყალიბებული, საჭიროა აღქმული იყოს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ გამჭოლ კომპეტენციებთან კავშირში. მაგალითად, სწავლის ერთი კონკრეტული ამოცანა, რომელიც მდგრადი განვითარების პირველ მიზანს - „სიღარიბის აღმოფხვრა-სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა ყველგან“ - უკავშირდება, ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „მოსწავლე ფლობს ცოდნას სიღარიბის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შედეგების შესახებ“. ამ ცოდნის შეძენა შესაძლებელია შერჩეულ ქვეყნებში სიღარიბის მიმართულებით არსებული სიტუაციის კვლევის საშუალებით. ამავდროულად, აღნიშნული სასწავლო აქტივობა ხელს უწყობს ადამიანში სისტემური აზროვნების კომპეტენციის გამომუშავებას, რადგან მას უწევს იმის აღქმა, რომ სიღარიბეზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. თუმცა, სისტემური აზროვნების კომპეტენცია არ შემოიფარგლება მხოლოდ სიღარიბესთან დაკავშირებით სისტემური აზროვნებით. წარმოადგენს რა ძირითად კომპეტენციას, იგი საშუალებას აძლევს შემსწავლელს აღიქვას ის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებები, რომლებიც არსებობს მდგრადი განვითარების სხვა მიზნებთან დაკავშირებულ სფეროებშიც.

მნიშვნელოვანია სწავლის კონკრეტული ამოცანების განსაზღვრა მდგრადი განვითარების სხვადასხვა მიზნებისთვის. თუმცა, ამავე დროს, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული ამოცანები არ უნდა იქნას განხილული მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული იმ ძირითადი კომპეტენციებისგან მოწყვეტით, რომლებიც ჩვენ გვხვდებით მდგრადი მსოფლიოს შექმნაში. სწავლის ამოცანები და ძირითადი კომპეტენციები ერთ ჭრილში უნდა იქნას განხილული. სწავლის მიდგომები და მეთოდები, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტშია მოყვანილი, ეფუძნება კომპეტენციათა განვითარების მიმართულებით არსებულ საუკეთესო პრაქტიკას. წინამდებარე ჩარჩოთი სარგებლობისას, პედაგოგებმა უნდა გაითვალისწინონ თუ რომელი ძირითადი კომპეტენციის განვითარებას ემსახურება მათ მიერ შეთავაზებული აქტივობები, გარდა იმისა, რომ აუცილებელია გაითვალისწინონ მდგრადი განვითარების თითოეული მიზნისთვის განსაზღვრული სწავლის კონკრეტული ამოცანები, რომლებიც მოცემულია წინამდებარე სახელმძღვანელოს მომდევნო ნაწილში.

1.2. მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული სწავლის კონკრეტული ამოცანები

ქვემოთ მოცემულია სწავლის კონკრეტული ამოცანები მდგრადი განვითარების თითოეული მიზნისთვის. გარდა ამისა მდგრადი განვითარების თითოეული მიზნისთვის განსაზღვრული სწავლის ამოცანები დახარისხებულია იმ განზომილებების მიხედვით, რომლებსაც ეს ამოცანები ემსახურება, კერძოდ, შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური და ქცევითი განზომილებების მიხედვით.

შემეცნებითი განზომილება მოიცავს ცოდნასა და აზროვნების უნარებს, რომლებიც საჭიროა მდგრადი განვითარების მიზნისა და მის მიღწევასთან დაკავშირებული გამოწვევების უკეთ გასაცნობიერებლად.

სოციალურ-ემოციური განზომილება მოიცავს სოციალურ უნარებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ინდივიდუალურ პირებს ერთმანეთთან ითანამშრომლონ, აწარმოონ მოლაპარაკებები და დაამყარონ კომუნიკაცია, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ხელშესაწყობად, და ასევე მოიცავს თვით-შემეცნების უნარებს, ღირებულებებს, დამოკიდებულებებსა და მოტივაციას, რაც შემსწავლელებს თვითგანვითარების საშუალებას აძლევს.

1.2.1. მდგრადი განვითარების მიზანი 1 [სიღარიბის აღმოფხვრა] სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა ყველგან

ცხრილი 1.2.1. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 1 “სიღარიბის აღმოფხვრა”	
სწავლის ამოცანები - შემეცნებითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს ესმის უკიდურესი და ფარდობითი სიღარიბის ცნებები და შეუძლია კრიტიკულად გაანალიზოს მათი ძირითადი კულტურული და ნორმატიული საფუძვლები და ის, თუ რა პრაქტიკა უდევს მათ საფუძვლად. 2. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას უკიდურესი სიღარიბის და უკიდურესი სიმდიდრის ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური განაწილების შესახებ. 3. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას სიღარიბის მიზეზებისა და შედეგების შესახებ, როგორცაა რესურსებისა და ენერჯორესურსების არათანაბარი განაწილება, კოლონიზაცია, კონფლიქტები, ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული კატასტროფები და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სხვა ზემოქმედებები, გარემოს დეგრადაცია და ტექნოლოგიური კატასტროფები და სოციალური დაცვის სისტემებისა და მექანიზმების არარსებობა. 4. მოსწავლეს/სტუდენტს ესმის, თუ როგორ ზემოქმედებს უკიდურესი სიღარიბე და უკიდურესი სიმდიდრე ადამიანის ძირითად უფლებებსა და საჭიროებებზე. 5. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას სიღარიბის დაძლევის სტრატეგიებისა და ღონისძიებების შესახებ და შეუძლია განასხვავოს დეფიციტზე დაფუძნებული და ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული მიდგომები სიღარიბის დაძლევის ძალისხმევაში.
სწავლის ამოცანები - სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ითანაშრომლოს სხვებთან, ინდივიდუალური პირებისა და თემების შესადარებლობების გაფართოების მიზნით, იმ თემში, რომელსაც იგი ეკუთვნის, და მის ფარგლებს გარეთ, ძალაუფლებისა და რესურსების განაწილებაში ცვლილების შეტანის ძალისხმევაში მონაწილეობით. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს უკიდურესი სიღარიბისა და უკიდურესი სიმდიდრის შესახებ ცნობადობის ამაღლებაში და ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებების შესახებ დიალოგის წარმართვას. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გამოავლინოს თანაგრძნობა სიღარიბის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ემპათია და სოლიდარობა დარიბი და დაუცველი/მოწყვლადი პირების მიმართ. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია სიღარიბის მიმართ საკუთარი პირადი დამოკიდებულებისა და მიკროძობული დამოკიდებულების იდენტიფიცირება. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი როლი უთანასწორობის გლობალური სტრუქტურების შენარჩუნებაში.
სწავლის ამოცანები - ქცევითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია დაგეგმოს, გაახორციელოს, შეაფასოს და სხვათა პრაქტიკიდან გადმოიღოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც სიღარიბის შემცირებას უწყობს ხელს. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია საჯაროდ მოითხოვოს და მხარი დაუჭიროს იმ პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ხელს უწყობს სოციალური და ეკონომიკური სამართლიანობის დამყარებას, რისკის შემცირების სტრატეგიების დანერგვასა და სიღარიბის აღმოფხვრის მიმართულებით ღონისძიებების გატარებას. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია შეაფასოს, მონაწილეობა მიიღოს და ზეგავლენა მოახდინოს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო საწარმოთა მართვის სტრატეგიებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომლებიც ხელს უწყობს ან განაპირობებს სიღარიბის გაღრმავებას ან აღმოფხვრას. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია, სამომხმარებლო საქმიანობის გახორციელებისას, გაითვალისწინოს საკითხები, რომლებიც უკავშირდება სიღარიბის დაძლევას, სოციალური სამართლიანობისა და ანტიკორუფციული პრაქტიკის დამკვიდრებას. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია წამოაყენოს წინადადებები, რომლებიც ეხება სიღარიბესთან დაკავშირებული სისტემური პრობლემების მოგვარებას.

ჩანართი 1.2.1ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 1 - “სიღარიბის აღმოფხვრა” - რეკომენდებული თემები

სიღარიბის განმარტებები

უკიდურესი სიღარიბის და უკიდურესი სიმდიდრის ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური განაწილება და მისი მიზეზები

სოციალური კეთილდღეობის დაცვის სისტემებისა და ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებების მნიშვნელობა

ეკონომიკურ რესურსებზე თანაბარი უფლებების მნიშვნელობა, აგრეთვე ძირითადი მომსახურებების

ხელმისაწვდომობა, მიწაზე და სხვა სახის საკუთრებაზე საკუთრების უფლება და კონტროლი, მემკვიდრეობა, ბუნებრივი რესურსები, შესაბამისი ახალი ტექნოლოგიები და ფინანსური მომსახურებები, მათ შორის მიკროდაფინანსება

სიღარიბეს, ბუნებრივ საფრთხეებს, კლიმატის ცვლილებას და სხვა ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ შოკებსა და სტრესებს შორის ურთიერთკავშირი

სიღარიბესთან დაკავშირებული სამუშაო პირობები, როგორცაა კაბალური შრომა, ბავშვთა შრომა და თანამედროვე მონობა

ღარიბი და დაუცველ მდგომარეობაში მყოფი (მოწყვლადი) პირების გამძლეობა

სიღარიბის შედეგები, როგორცაა არასათანადო კვება, ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა, დანაშაული და ძალადობა

განვითარების მიმართულებით თანამშრომლობა

სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლასა და გენდერულად მგრძობიარე განვითარების სტრატეგიებზე დაფუძნებული, ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის ჩარჩოები

ჩანართი 1.2.1ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 1 - "სიღარიბის აღმოფხვრა"

თანამშრომლობით ურთიერთობების დამყარება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის (სამხრეთი და ჩრდილოეთი; სამხრეთი და სამხრეთი) სკოლებსა და უნივერსიტეტებს შორის

სიღარიბის ცნობადობის ამაღლების მიზნით კამპანიების დაგეგმვა და წარმოება ადგილობრივ და გლობალურ დონეზე

სამართლიანი ვაჭრობის პრინციპებით, პროდუქტებით მოვაჭრე, მოსწავლეებით/სტუდენტებით დაკომპლექტებული კომპანიის დაგეგმვა და ამუშავება

ადგილობრივი სწავლების პრაქტიკისა და/ან ჩართულობის შესაძლებლობების დაგეგმვა და დანერგვა ღარიბი მოსახლეობის გაძლიერების მიზნით, რაც უზრუნველყოფს მათი რისკების შემცირებას სხვადასხვა საფრთხეების მიმართ და მათი გამძლეობის გაზრდას - არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან და/ან საზოგადოებრივ ჯგუფებთან და ა.შ. თანამშრომლობით

სიღარიბის და სიმდიდრის მიმართულებით არსებული სიტუაციის კვლევა შერჩეულ ქვეყნებში (სამაგიდო კვლევის საშუალებით) ან ადგილობრივად (ექსკურსიების, ინტერვიუების და ა.შ. საშუალებით)

მოსწავლეთა/სტუდენტთა სტაჟირება ორგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ სიღარიბის დაძლევის მიმართულებით

კვლევაზე დაფუძნებული პროექტი შემდეგ თემაზე: "სიღარიბე იზრდება თუ მცირდება?"



1.2.2. მდგრადი განვითარების მიზანი 2 [შიმშილის აღმოფხვრა] შიმშილის აღმოფხვრა, სურსათის უსაფრთხოებისა და უკეთესი კვების უზრუნველყოფა და სოფლისმეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა

ცხრილი 1.2.2. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 2 „შიმშილის აღმოფხვრა“	
სწავლის ამოცანები შემეცნებითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების შესახებ, ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე მათი ძირითადი ფიზიკური და ფსიქოლოგიური გავლენის შესახებ და კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფების შესახებ. 2. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას, როგორც ამჟამად ასევე ისტორიულად, ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური მასშტაბით შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების თვალსაზრისით არსებული სიტუაციისა და განაწილების შესახებ. 3. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას, ინდივიდუალურ, ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე, შიმშილის ძირითადი ხელშემწყობი და გამომწვევი მიზეზების შესახებ. 4. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას სოფლის მეურნეობის მდგრადი სისტემის პრინციპების შესახებ და ესმის მიწისა და ქონების ფლობის კანონიერი უფლებების, როგორც სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი პირობის, მნიშვნელობა და აუცილებლობა. 5. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს სოფლის მეურნეობის მდგრადი სისტემის აუცილებლობას, მსოფლიოში შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების წინააღმდეგ ბრძოლაში და ფლობს ცოდნას შიმშილის, არასრულფასოვანი კვების და არასწორი კვების წინააღმდეგ ბრძოლის სხვა სტრატეგიების შესახებ.
სწავლის ამოცანები სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია იმსჯელოს შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ საკითხებზე და სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებასა და კვების გაუმჯობესებას შორის არსებულ კავშირზე. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია თანამშრომლობა სხვებთან, შიმშილის აღმოფხვრის, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისა და სრულფასოვანი კვების უზრუნველყოფის მიმართულებით შესაძლებლობების გაფართოებისა და ხელშეწყობის მიზნით. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ჩამოაყალიბოს ხედვა შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების გარეშე მსოფლიოს შესახებ. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გააცნობიეროს და გააანალიზოს საკუთარი ღირებულებები და შეცვალოს ის ღირებულებები, დამოკიდებულებები და სტრატეგიები, რომლებიც არ ემსახურება შიმშილთან და არასრულფასოვან კვებასთან ბრძოლას და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ემპათიის გამოხატვა, პასუხისმგებლობის აღება და სოლიდარობის გამოხატვა იმ ადამიანებთან მიმართებაში, რომლებიც შიმშილისა და/ან არასრულფასოვანი კვებისგან იტანჯებიან.
სწავლის ამოცანები ქცევითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია პირადად და ადგილობრივად შეაფასოს და გაახორციელოს ქმედებები შიმშილის წინააღმდეგ საბრძოლველად და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია შეაფასოს, მონაწილეობა მიიღოს და გავლენა მოახდინოს შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების წინააღმდეგ ბრძოლასა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებული საჯარო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია შეაფასოს, მონაწილეობა მიიღოს და ზეგავლენა მოახდინოს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო საწარმოთა მართვის სტრატეგიებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომლებიც ემსახურება შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების წინააღმდეგ ბრძოლასა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია კრიტიკულად გაანალიზოს საკუთარი, როგორც აქტიური გლობალური მოქალაქის როლი, შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლაში. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ცვლილება შეიტანოს წარმოებისა და მოხმარების საკუთარ პრაქტიკაში, შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ჩანართი 1.2.2ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 2 - „შიმშილის აღმოფხვრა“ - რეკომენდებული თემები

შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების ცნებების განმარტება
 შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების მიმართ განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფები
 შიმშილის ძირითადი ხელშემწყობი და გამომწვევი მიზეზები, მათ შორის ურთიერთკავშირის კლიმატის ცვლილებას, სურსათის უსაფრთხოებასა და ნიადაგის ხარისხის გაუარესებას შორის

შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების ზემოქმედება და შედეგები ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, მათ შორის ისეთი პრაქტიკა, როგორცაა ადაპტაციის მიზნით მიგრაცია

საკვების ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალურ-კულტურული ფუნქციები

შიმშილი და საკვების სიჭარბე, ჭარბწონიანობა და სურსათის არამიზნობრივი გამოყენება

გლობალური სურსათი - იმპორტი, ექსპორტი, კომერციული მიზნებისთვის წარმოებული კულტურები, საერთაშორისო გადასახადები, სუბსიდიები, სავაჭრო სისტემები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების (გმო) გამოყენების სარგებელი, რისკები და გამოწვევები

ინსტიტუტები და მოძრაობები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია შიმშილის აღმოფხვრასა და სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებასთან, როგორცაა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), ორგანიზაციები „Foodwatch“-ი და „Slow Food“-ი, სათემო სოფლის მეურნეობა, საერთაშორისო მოძრაობა „Via Campesina“ და ა.შ.

მდგრად სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ცნებები და პრინციპები, მათ შორის კლიმატისადმი მდგრადი პრაქტიკა, ორგანული მეურნეობა, ბიოდინამიკური მეურნეობა, პერმაკულტურა და აგროსატყეო კულტურები

თესლის, მცენარეთა და ცხოველთა, განსაკუთრებით ველური სახეობების ბიომრავალფეროვნება

ჩანართი 1.2.2b. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 2 - „შიმშილის აღმოფხვრა“

როლური თამაში (ინსცენირება), რომლის თემაც არის მცირე მეწარმეები მსხვილი საწარმოების წინააღმდეგ გლობალურ ბაზარზე, რომლებზეც გავლენას ახდენს გადასახადები, სუბსიდიები, ტარიფები, კვოტები და ა.შ.

თემაზე: ადგილობრივი ან ეროვნული სურსათის წარმოებისა და მოხმარების სისტემები და/ან სურსათის წარმოების სისტემებზე ბუნებრივი საფრთხეებისა და კატასტროფების გავლენის შესახებ სცენარის შემუშავება და ანალიზი

საწარმოების შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლის, საკვების ნარჩენების შემცირებისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნებთან შესაბამისი და შეუსაბამო საზოგადოებრივი პოლიტიკის ან მართვის სტრატეგიების კვლევის ანალიზი

ექსკურსიებისა და საველე გასვლითი ღონისძიებების ორგანიზება ტერიტორიებზე, სადაც მდგრადი სოფლის მეურნეობა ხორციელდება

საკვები ფერმიდან სუფრამდე - საკვები პროდუქტების მოყვანა, მოსავლის აღება და მომზადება, მაგალითად, ურბანული ან სასკოლო მეზაღეობის პროექტები

მოსწავლეების/სტუდენტების ჩართვა დარჩენილი საკვების გაჭირვებული ადამიანებისთვის მიწოდების ძალისხმევაში

საკვების სასიცოცხლო ციკლის ანალიზი (LCA)



1.2.3. მდგრადი განვითარების მიზანი 3 [ჯანმრთელობა და კეთილდღეობა] ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველასთვის, ყველა ასაკში

ცხრილი 1.2.3. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 3 „ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“	
სწავლის ამოცანები - შემეცნებითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას ჯანმრთელობის, ჰიგიენისა და კეთილდღეობის ცნებების შესახებ და შეუძლია კრიტიკულად გააანალიზოს აღნიშნული ცნებები, ისევე როგორც გენდერის მნიშვნელობა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობისათვის. 2. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ყველაზე მძიმე გადამდები და არაგადამდები დაავადებების შესახებ ინფორმაციასა და მონაცემებს, ამ დაავადებათა გავრცელების თვალსაზრისით ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისა და რეგიონების შესახებ ინფორმაციას, თავად დაავადებებისა და ამ დაავადებით გამოწვეული ნადრევი სიკვდილის შესახებ. 3. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური განზომილებების შესახებ და ინფორმაციის გასაჯაროების შედეგებისა და ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის სტრატეგიების შესახებ. 4. მოსწავლე/სტუდენტს ესმის ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელობა. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ინფორმაციას ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და ემოციურ მდგომარეობაზე ისეთი ქვეყნების უარყოფითი ზეგავლენის შესახებ, როგორცაა ქსენოფობია, დისკრიმინაცია დაჩაგვრა/ზულინგი და იცის რა ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას ალკოჰოლზე, თამბაქოზე ან ნარკოტიკებზე დამოკიდებულება. 5. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას შესაბამისი პრევენციული სტრატეგიების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ამაღლებას, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩათვლით, ასევე ფლობს ინფორმაციას თავდაცვისა და რისკების შემცირების სტრატეგიების შესახებ.
სწავლის ამოცანები - სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ურთიერთობა დაამყაროს დაავადებულ ან ავადმყოფ ადამიანებთან და თანაგრძნობა და ემპათია გამოხატოს მათ მიმართ, მათი მდგომარეობისა და განცდების გამო. 2. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ისაუბროს და იმსჯელოს ჯანმრთელობასთან, მათ შორის სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, და შეუძლია დაამტკიცოს პროფილაქტიკური სტრატეგიების დადებითი ზემოქმედება და როლი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში. 3. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია წახალისოს და გამხმევოს სხვები, რათა მათ გადაწყვიტონ და იმოქმედონ ყველას ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სასარგებლოდ. 4. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ჰოლისტიკური გააზრება და შესაბამისი ღირებულებების, შეხედულებებისა და დამოკიდებულებების გაცნობიერება. 5. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია აიღოს ვალდებულება საკუთარი, მისი ოჯახის წევრებისა და სხვების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობაზე, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროში მოხალისეობრივი ან პროფესიონალური მუშაობის ჩათვლით.
სწავლის ამოცანები - ქცევითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ყოველდღიური ცხოვრების წესში შეიტანოს ჯანმრთელობის ხელშეწყობი ქცევა. 2. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია დაგეგმოს, დაწეროს, შეაფასოს და სხვათა პრაქტიკიდან გადმოიღოს სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობს მისი, მისი ოჯახის წევრებისა და სხვების ჯანმრთელობას, მათ შორის სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. 3. მოსწავლე/სტუდენტს აქვს უნარი აღიქვას, როდის სჭირდებათ სხვებს დახმარება და შეუძლია აღმოუჩინოს დახმარება საკუთარ თავსა და სხვებს. 4. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია საჯაროდ მოითხოვოს და ხელი შეუწყოს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობი პოლიტიკის შემუშავებას. 5. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია წარდგეს წინადადებით იმ გზების შესახებ, რომელიც მოაგვარებს შესაძლო კონფლიქტს მედიკამენტების ხელმისაწვდომ ფასად შეთავაზების საჯარო ინტერესსა და ფარმაცევტული ინდუსტრიის კერძო ინტერესებს შორის.

ჩანართი 1.2.3ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 3 - „ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“ - რეკომენდებული თემები

მძიმე გადამდები და არაგადამდები დაავადებები

მოწყვლადი ჯგუფების ჯანმრთელობის პრობლემები ყველაზე დაუცველ რეგიონებში და იმის გაგება, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს გენდერულმა უთანასწორობამ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე

ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობის პირდაპირი სტრატეგიები: მაგალითად,

იმუნიზაცია, ჯანსაღი საკვები, ფიზიკური აქტივობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა, სამედიცინო კონსულტაცია, განათლება, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვა, მათ შორის ორსულობის თავიდან აცილებისა და უსაფრთხო სექსუალური კავშირების ჩათვლით

ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობის არაპირდაპირი სტრატეგიები (საზოგადოებრივი ჯანმრთელობა): მაგალითად, ჯანმრთელობის დაზღვევის პოლიტიკური პროგრამები, მედიკამენტებზე ხელმისაწვდომი ფასები, ჯანმრთელობის მომსახურებები, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურებების ჩათვლით, პრევენციული მედიცინა, ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემა, დაბინძურების შემცირება, ადრეული გაფრთხილება და რისკების შემცირება

ფილოსოფიური და ეთიკური კონცეფციები ცხოვრების ხარისხზე, კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე განათლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით, ოჯახის დაგეგმვის ჩათვლით

დისკრიმინაციული დამოკიდებულება აივ-ით დაავადებულ პირთა მიმართ, სხვა დაავადებებისა ან ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანების მიმართ

საგზაო შემთხვევები

ჭარბი წონა და სიმსუქნე, არასაკმარისი ფიზიკური დატვირთვა და არაჯანსაღი საკვები

ქიმიკატები, გარემოს დაბინძურება და ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება

ჩანართი 1.2.3ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 3 - „ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“

მაგალითად, ”შიდსის მსოფლიო დღისადმი” (1 დეკემბერი) მიძღვნილი საინფორმაციო სტენდის განთავსება ქალაქში,

ვიდეომასალა, სადაც ნაჩვენებია ჯანმრთელობის ხელშეწყობი ქცევები (მაგალითად, კონდომების გამოყენება უსაფრთხო სექსუალური კავშირებისათვის, უარი ნარკოტიკებს და ა.შ....)

ეთიკურ საკითხებზე თხზულებები და/ან დისკუსიები იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

იმ ადამიანების მონათხრობებისა და ისტორიების მოსმენა, რომლებსაც მძიმე დაავადება სჭირთ, ნარკოტიკულ საშუალებებზე არიან დამოკიდებული და სხვა

ტრენინგის ორგანიზება ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებების პრევენციის სტრატეგიების შესახებ (მაგალითად, ფიზიკურ აქტივობებში მონაწილეობა, ჯანსაღი საკვების მომზადება, კონდომების გამოყენება, კოდოსგან დამცავი ბადის დაყენება, წყლით გადამდები დაავადებების წყაროების გამოვლენა და მართვა)

პროექტების წარმართვა ეპიდემიურ და ენდემურ დაავადებებზე - წარმატებული პრაქტიკა და გამოწვევები (მალარია, ზიკა, ებოლა და ა.შ.)

კვლევაზე დაფუძნებული პროექტი, „ხანგრძლივი სიცოცხლის უპირატესობა“



1.2.4. მდგრადი განვითარების მიზანი 4 [ხარისხიანი განათლება] ინკლუზიური და თანაბარი განათლების უზრუნველყოფა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობების ხელშეწყობა ყველასთვის

ცხრილი 1.2.4. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 4 „ხარისხიანი განათლება“	
სწავლის ამოცანები - შემეცნებითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს ესმის განათლებისა და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობების (ფორმალურ, არაფორმალურ და ფორმალურისგან განსხვავებულ გარემოში), როგორც მდგრადი განვითარების მთავარი მამოძრავებელი ფაქტორის მნიშვნელოვანი როლი, ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის საქმეში. 2. მოსწავლე/სტუდენტი განათლებას აღიქვამს როგორც საზოგადოებრივ სიკეთეს, გლობალური საერთო კეთილდღეობის უზრუნველყოფის, ადამიანის ძირითადი უფლების დაცვისა და სხვა უფლებების რეალიზაციის საფუძველსა და გარანტიას. 3. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ინფორმაციას განათლების ხელმისაწვდომობისა და მასზე წვდომის თვალსაზრისით არსებული უთანასწორობის შესახებ, განსაკუთრებით გოგონებსა და ვაჟებს შორის და სოფლის და ქალაქის ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის, და ხარისხიანი განათლებისა და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობების თანაბარი და სამართლიანი ხელმისაწვდომობის არარსებობის მიზეზების შესახებ. 4. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს კულტურის მნიშვნელოვან როლს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში. 5. მოსწავლეს/სტუდენტს ესმის, რომ განათლებას შეუძლია შექმნას უფრო მდგრადი, სამართლიანი და მშვიდობიანი სამყარო.
სწავლის ამოცანები - სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია იზრუნოს ყველასთვის ხარისხიანი განათლების, განათლებისადმი ჰუმანიტური და ჰოლისტიკური მიდგომის, მდგრადი განვითარებისათვის განათლების და მასთან დაკავშირებული მიდგომების მნიშვნელობის შესახებ ცნობადობის ამაღლებაზე. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია მონაწილეობითი მეთოდების გამოყენებით სხვების მოტივირება, რათა მათ მოითხოვონ და გამოიყენონ საგანმანათლებლო შესაძლებლობები. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია აღიაროს განათლების ჭეშმარიტი ღირებულება და გააანალიზოს და განსაზღვროს პიროვნული განვითარებისათვის სწავლის საკუთარი საჭიროებები. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გააცნობიეროს საკუთარი უნარების მნიშვნელობა მისი ცხოვრების გასაუმჯობესების მიმართულებით, განსაკუთრებით დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობით დაკავების მიმართულებით. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია თავად მიიღოს მდგრადი განვითარებისათვის განათლება.
სწავლის ამოცანები - ქცევითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს ყველასათვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაში, მდგრადი განვითარებისათვის განათლებისა და მასთან დაკავშირებული მიდგომების სხვადასხვა დონეზე დანერგვაში. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის დამყარებას განათლების სფეროში. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია საჯაროდ მოითხოვოს და მხარი დაუჭიროს პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ხელს უწყობს უფასო, სამართლიანი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას ყველასთვის, მდგრადი განვითარებისათვის განათლებისა და მასთან დაკავშირებული მიდგომების დამკვიდრებას, ასევე, უსაფრთხო, ხელმისაწვდომი და ინკლუზიური საგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველყოფას. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ხელი შეუწყოს ახალგაზრდების შესაძლებლობებით აღჭურვას. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა საკუთარი განათლებისთვის მთელი ცხოვრების განმავლობაში და გამოიყენოს მიღებული ცოდნა ყოველდღიურ სიტუაციებში, მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად.

ჩანართი 1.2.4ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 4 - „ხარისხიანი განათლება“ - რეკომენდებული თემები

განათლება, როგორც საზოგადოებრივი სიკეთე, გლობალური საერთო კეთილდღეობა, ადამიანის ძირითადი უფლება და სხვა უფლებების რეალიზაციის გარანტია

განათლების 2030 წლის დღის წესრიგი და მსოფლიო მასშტაბით არსებული ინოვაციური და წარმატებული პრაქტიკის მაგალითების შესწავლა

ინკლუზიური, სამართლიანი და ხარისხიანი განათლებისა და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობების უზრუნველყოფა ყველასათვის (ფორმალური, არაფორმალური და

ფორმალურისგან განსხვავებული სწავლება, მათ შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება) და ყველა დონეზე, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისა და მდგრადი განვითარებისათვის

განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელისშემშლელი ფაქტორები (მაგალითად, სიღარიბე, კონფლიქტები, კატასტროფები, გენდერული უთანასწორობა, განათლების მიმართულებით სახელმწიფო დაფინანსების არარსებობა, მზარდი პრივატიზაცია)

გლობალური მიღწევები მოსახლეობაში წერა-კითხვის, არითმეტიკისა და ძირითადი უნარების სწავლების მიმართულებით

მრავალფეროვნება და ინკლუზიური განათლება

XXI საუკუნეში საჭირო ძირითადი უნარები და კომპეტენციები

მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად საჭირო ცოდნა, ღირებულებები, უნარები და ქცევა

მდგრადი განვითარებისათვის განათლების კონცეფცია, ერთიანი ინსტიტუციური მიდგომა, როგორც მდგრადი განვითარებისათვის განათლების ძირითადი სტრატეგია და მდგრადი განვითარებისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარების პედაგოგია

შესაძლებლობების გაფართოვება ახალგაზრდებისა და მარგინალური ჯგუფებისათვის

ჩანართი 1.2.4ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 4 - „ხარისხიანი განათლება“

თანამშრომლობის განვითარება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ სკოლებს, უნივერსიტეტებსა და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტებს შორის, (სამხრეთ და ჩრდილოეთი, სამხრეთი და სამხრეთი)

ხარისხიანი განათლების შესახებ ცნობადობის ამაღლების კამპანიის დაგეგმვა და წარმოება

შერჩეულ თემებსა ან ქვეყნებში განათლების სისტემისა და განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული სიტუაციის შესწავლა (მაგალითად, დაწყებითი განათლებით მოსახლეობის მოცვა)

სკოლაში, უნივერსიტეტსა ან ადგილობრივ თემში მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული პროექტის დაგეგმვა და გახორციელება

გაეროს მსოფლიო ახალგაზრდობის უნარების დღის (15 ივლისი), წიგნიერების საერთაშორისო დღის (8 სექტემბერი) ან მასწავლებელთა მსოფლიო დღის (5 ოქტომბერი) აღნიშვნა; ან განათლების გლობალურ სამოქმედო კვირეულში მონაწილეობა

მდგრადი განვითარებისათვის განათლებისადმი მიძღვნილი დღეების ორგანიზება ადგილობრივ, რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე

კვლევაზე დაფუძნებული პროექტი: „რას წარმოადგენს მდგრადი სკოლა?“



1.2.5. მდგრადი განვითარების მიზანი 5 [გენდერული თანასწორობა] გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა

ცხრილი 1.2.5. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 5 „გენდერული თანასწორობა“	
სწავლის ამოცანები - შემეცნებითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას გენდერის, გენდერული თანასწორობისა და გენდერული დისკრიმინაციის ცნებების შესახებ და გენდერული დისკრიმინაციის, ძალადობისა და უთანასწორობის ყველა ფორმის შესახებ (მაგალითად, მაცნე პრაქტიკა, როგორცაა ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, ღირსების დასაცავად მკვლელობა და ზავშეთა ქორწინება, არათანაბარი დასაქმების შესაძლებლობები და ანაზღაურება, ენობრივი ბარიერები, ტრადიციული გენდერული როლები, გენდერული სხვაობა ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების თვალსაზრისით) და გენდერული უთანასწორობის ამჟამინდელი და ისტორიული მიზეზების შესახებ. 2. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას ქალებისა და გოგონების ძირითადი უფლებების შესახებ, მათ შორის მათი უფლების შესახებ იცხოვრონ ექსპლუატაციისა და ძალადობისგან თავისუფალ გარემოში და მათი რეპროდუქციული უფლებების შესახებ. 3. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ინფორმაციას საკუთარ ქვეყანასა და კულტურაში გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ და გლობალურ ნორმებთან მისი შესაბამისობის შესახებ (კულტურისადმი პატივისცემის პარალელურად), მათ შორის გენდერის სხვა სოციალურ კატეგორიებთან ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, როგორცაა შესაძლებლობები, რელიგია და რასა. 4. მოსწავლეს/სტუდენტს ესმის რა შესაძლებლობებისა და სარგებლის მოტანა შეუძლია გენდერულ თანასწორობას და საკანონმდებლო ორგანოებსა და მმართველობაში, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის განაწილების პროცესებში, შრომით ბაზარში და საჯარო და კერძო გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში გენდერული თანასწორობის პრინციპით მონაწილეობას. 5. მოსწავლეს/სტუდენტს ესმის განათლების, ტექნოლოგიებისა და კანონმდებლობის როლი ყველა სქესის წარმომადგენელთა სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველყოფის საქმეში.
სწავლის ამოცანები - სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ამოიცნოს და ეჭვქვეშ დააყენოს გენდერული როლების ტრადიციული აღქმა, კრიტიკული მიდგომითა და კულტურისადმი პატივისცემის დაცვით. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ამოიცნოს და გაილაშქროს ყველა ფორმის გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ და დამაჯერებლად ისაუბროს ყველა გენდერის თანაბარი შესაძლებლობებით აღჭურვის სარგებელზე. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია კავშირი დამყაროს სხვა პირებთან, რომლებიც მუშაობენ გენდერული დისკრიმინაციისა და ძალადობის აღმოსაფხვრის მიმართულებით, იზრუნოს მათზე, ვინც ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება, და ხელი შეუწყოს პატივისცემისა და სრული თანასწორობის გარემოს დამკვიდრებას, ყველა დონეზე. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გააცნობიეროს საკუთარი გენდერული იდენტობა და გენდერული როლები. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ემპათია და სოლიდარობა გამოხატოს მათ მიმართ, რომელთა გენდერული იდენტობაც განსხვავდება მისი გენდერული იდენტობის მიმართ საზოგადოების მოლოდინისაგან.
სწავლის ამოცანები - ქვეყნითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია, საკუთარი გარემოს გაითვალისწინებით, იზრუნოს საკუთარი თავის დამკვიდრებაზე ან სხვების შესაძლებლობების გაფართოვებაზე, იმ შემთხვევაში, თუ მათ მიმართ ადგილი აქვს გენდერულ დისკრიმინაციას. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია შეაფასოს, მონაწილეობა მიიღოს და გავლენა მოახდინოს გენდერული თანასწორობისა და მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია დაეხმაროს სხვებს სხვა გენდერული იდენტობის მქონე ადამიანების მიმართ ემპათიის გამოუმუშავებაში და გენდერული დისკრიმინაციისა და ძალადობის აღკვეთაში. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ამოიცნოს გენდერული დისკრიმინაცია. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გენდერული თანასწორობის სტრატეგიების დაგეგმვა, გახორციელება, მხარდაჭერა და შეფასება.

ჩანართი 1.2.5ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 5 - „გენდერული თანასწორობა“ - რეკომენდებული თემები

გენდერი, როგორც სოციალური და კულტურული ფენომენი
 გენდერული უთანასწორობა, ტრადიციული გენდერული როლები და სტრუქტურული დისკრიმინაცია
 გენდერული თანასწორობა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში
 გენდერი და შრომა, უთანასწორობა ანაზღაურებაში და აუნაზღაურებელი სამუშაოს აღიარება

გენდერი და განათლება, მათ შორის გენდერული თანასწორობა განათლების დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი საფეხურების მიხედვით

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

გენდერი და სიღარიბე, მათ შორის სურსათის უსაფრთხოება და ფინანსურად დამოკიდებულების ხარისხი

გენდერი საზოგადოების დინამიკაში (გადაწყვეტილების მიღება, მმართველობა, ბავშვზე ზრუნვა, განათლება, კონფლიქტების მოგვარება, კატასტროფის რისკის შემცირება და კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია)

ქალებისა და გოგონების ექსპლუატაცია და ტრეფიკინგი

გენდერის კავშირი სხვა სოციალურ კატეგორიებთან, როგორცაა შესაძლებლობები, რელიგია და რასა

ჩანართი 1.2.5ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 5 - „გენდერული თანასწორობა“

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღის (25 ნოემბერი) აღნიშვნა

მომხსენებლების მოწვევა, რომლებმაც განიცადეს ძალადობა გენდერული იდენტურობის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე

როლური თამაშები (ინსცენირება), გენდერული როლების საფუძველზე ინკლუზიისა და იდენტურობის შესახებ²

პარტნიორული ურთიერთობის დამყარება ჯგუფებთან მსოფლიოს სხვა კუთხიდან, სადაც გენდერისადმი მიდგომა შეიძლება განსხვავებული იყოს

ერთი დღე ქალთა თუ მამაკაცთა ტრადიციულ სამუშაოს შესრულებაში (სამუშაოების გაცვლა)

ქალებზე, გოგონებზე, მამაკაცებსა და ვაჟებზე ბუნებრივი საფრთხეებისა და კატასტროფების განსხვავებული ზეგავლენის კვლევა

კვლევაზე დაფუძნებული პროექტი: „რა სხვაგვებაა თანასწორობასა და სამართლიანობას შორის და როგორ ვლინდება ისინი დასაქმებისა და სამუშაო სფეროში?“



² მაგალითად, http://www.youth.ie/sites/youth.ie/files/SDGs_Youth_Resource%20_Pack.pdf

1.2.6. მდგრადი განვითარების მიზანი 6 [სუფთა წყალი და სანიტარია] სუფთა წყლისა და სანიტარიის ხელმისაწვდომობისა და მდგრადი მართვის უზრუნველყოფა

ცხრილი 1.2.6. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 6 „სუფთა წყალი და სანიტარია“	
სწავლის ამოცანები - შემეცნებითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტი წყალს ადიქვამს როგორც სიცოცხლისთვის აუცილებელ ელემენტს, მას ესმის წყლის ხარისხისა და მარაგის მნიშვნელობა, წყლის დაბინძურების და წყლის მარაგების სიმწირის მიზეზები, ზემოქმედება და შედეგები. 2. მოსწავლე/სტუდენტს ესმის, რომ წყალი მრავალი სხვადასხვა რთული გლობალური ურთიერთქმედებისა და სისტემების ნაწილია. 3. მოსწავლე/სტუდენტმა იცის რომ, მსოფლიო მასშტაბით, წვდომა უსაფრთხო სასმელ წყალსა და სანიტარულ საშუალებებზე არათანაბარია. 4. მოსწავლე/სტუდენტს ესმის „ვირტუალური წყლის“³ ცნება. 5. მოსწავლე/სტუდენტს ესმის წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის (IWRM) ცნება და წყლისა და სანიტარული სისტემის ხელმისაწვდომობისა და მდგრადი მართვის, მათ შორის წყალდიდობებისა და გვალვების რისკის მართვის უზრუნველყოფის სხვა სტრატეგიები.
სწავლის ამოცანები - სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ თემებში წყლისა და სანიტარული სისტემების მართვის გაუმჯობესების ღონისძიებებში. 2. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია იმსჯელოს წყლის დაბინძურებასთან, წყლის ხელმისაწვდომობასა და წყლის დაზოგვის ზომებთან დაკავშირებულ საკითხებზე და მოიყვინოს შესაბამისი წარმატებული პრაქტიკის მაგალითები. 3. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია პასუხისმგებლობით მიუდგეს წყლის მოხმარებასთან დაკავშირებულ საკუთარ პრაქტიკას. 4. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს სანიტარულ და ჰიგიენურ სტანდარტებთან შესაბამისობის მნიშვნელობას. 5. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ექვეყნე დააყენოს უსაფრთხო სასმელი წყლისა და სანიტარული საშუალებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებები და ასევე გენდერული უთანასწორობა.
სწავლის ამოცანები - ქცევითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ადგილობრივ ხელისუფლებასთან ითანამშრომლოს დამოუკიდებლად მოქმედებისათვის ადგილობრივი შესაძლებლობების გაუმჯობესებაში. 2. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს წყლის რესურსების მართვაში ადგილობრივ დონეზე. 3. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია შეამციროს წყლის რესურსებზე საკუთარი ნაკვალევი და დაზოგოს წყალი ყოველდღიური ჩვევების საშუალებით. 4. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია დაგეგმოს, გაახორციელოს, შეაფასოს და სხვათა პრაქტიკიდან გადმოიღოს ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს წყლის ხარისხისა და უსაფრთხოების გაზრდას. 5. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია შეაფასოს, მონაწილეობა მიიღოს და გავლენა მოახდინოს წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებული ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო საწარმოების მართვის სტრატეგიებზე.

ჩანართი 1.2.6ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 6 - „სუფთა წყალი და სანიტარია“ - რეკომენდებული თემები

გლობალური წყლის ციკლი და წყლის განაწილება

უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სასმელი წყლის თანაბარი ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა (წყლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა კლიმატის ცვლილების პირობებში: მაგალითად, გვალვების ხშირი ტალღებით და, შესაბამისად, წყლის დეფიციტით, და წყალდიდობებით და, შესაბამისად, ჭარბი რაოდენობით წყლით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური ზეწოლის დაძლევა)

ჯანმრთელობისთვის ადეკვატური და სათანადო სანიტარიის და ჰიგიენისა და წყლის ხარისხისა და რაოდენობის მნიშვნელობა

ადამიანის უფლება წყალზე და წყალი, როგორც საერთო გლობალური სიკეთე

³ ვირტუალური წყალი, ეს არის წყლის ის რაოდენობა, რომელიც ნებისმიერი პროდუქტის წარმოების და მოხმარების პროცესში იხარჯება. პროდუქტის წარმოება და მომსახურების მიწოდება გულისხმობს წყლის მოხმარებას. ნებისმიერი სასოფლო სამეურნეო თუ სხვა სამომხმარებლო პროდუქტის წარმოებისას მოხმარებული წყლის რაოდენობას ეწოდება პროდუქტის ვირტუალური წყალი.
<http://www.unesco.org/new/en/natural-sciences/environment/water/wwap/facts-and-figures/all-facts-wwdr3/fact-25-virtual-water-flows/>

გარემოს დაბინძურების, ნაგავსაყრელებისა და საშიში ქიმიკატებისა და მასალების ზეგავლენა წყლის ხარისხზე წყლის სიმწირე და წყლის ეფექტური გამოყენება

წყალთან დაკავშირებული ეკოსისტემების მნიშვნელობა

წყალთან და სანიტარიასთან დაკავშირებული ღონისძიებები და პროგრამები, მათ შორის, წყლის მოპოვება, გამტკნარება, წყლის ეფექტურობა, ჩამდინარე წყლების დამუშავების, გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების ტექნოლოგიები, წყლის პატენტები, მიწისქვეშა წყლებისა და წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა

წყლის ექსპორტი (ვირტუალური წყალი)

წყალი და მდგრადი განვითარება (მაგალითად, წყალი და გენდერი, წყალი და უთანასწორობა, წყალი და ჯანმრთელობა, წყალი და ქალაქები, წყალი და ენერჯია, წყალი და სურსათის უსაფრთხოება, წყალი და კატასტროფის რისკის შემცირება, წყალი და მწვანე ეკონომიკა, წყალი და სამუშაო ადგილები)

ჩანართი 1.2.6ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 6 - „სუფთა წყალი და სანიტარია“

წყლის ინდივიდუალური ნაკვალევის გამოთვლა⁴

წარმატებული პრაქტიკის მაგალითების საფუძველზე ადგილობრივად წყლის მდგრადი მოხმარებისა და მიწოდების კონცეფციის შემუშავება

პარტნიორული ურთიერთობის დამყარება რეგიონის სკოლებს შორის, რომლებსაც წყლის მარაგების თვალსაზრისით განსხვავებული სიტუაცია აქვთ

ექსკურსიებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზება ტერიტორიებზე, წყლის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოსანახულებლად და წყლის ხარისხის მონიტორინგი სკოლასა და სახლებში

წყლისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ადგილობრივი კამპანიების ან ახალგაზრდების მონაწილეობით პროექტების დაგეგმვა და გახორციელება

უხილავ წყლის შესახებ პროექტის გახორციელება მაგალითად, რა რაოდენობით წყალი იხარჯება ერთი ლიტრი ლუდის, ერთი კილოგრამი საქონლის ხორცის, ერთი მასურის და ა.შ. წარმოებაზე

კვლევაზე დაფუძნებული პროექტი: „ადამიანის რომელი საქმიანობა შეიძლება წარმოებული იქნას წყლის ხარჯის გარეშე?“



⁴ წყლის ნაკვალევი გულისხმობს წყლის რაოდენობას, რომელიც სჭირდება თითოეული ჩვენთაგანის მიერ მოხმარებული ან მიღებული საქონლისა და მომსახურების წარმოებას. მისი გაზომვა შესაძლებელია ცალკეული პროცესისთვის, მაგალითად ბრინჯის მოყვანა, ისეთი პროდუქტის წარმოებისთვის, როგორცაა ჯინსი, რომელსაც შევიძენთ, საწვავი, რომლითაც ჩვენი მანქანის ავზს ვავსებთ, ან მთელი საწარმოსთვის. წყლის ნაკვალევის განსაზღვრა ასევე შესაძლებელია კონკრეტული ქვეყნის მიერ ან ცალკეული ადამიანის მიერ მოხმარებული წყლის ოდენობის საფუძველზე. იხ.: <http://waterfootprint.org/en/resources/interactivetools/personal-water-footprint-calculator/>

1.2.7. მდგრადი განვითარების მიზანი 7 [ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერჯია] ყველასათვის ხელმისაწვდომი, საიმედო, მდგრადი და სუფთა ენერჯიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ცხრილი 1.2.7. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 7 „ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერჯია“	
სწავლის ამოცანები - შემეცნებითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ინფორმაციას ენერგორესურსების სხვადასხვა წყაროების - განახლებადი და არაგანახლებადი წყაროების - შესახებ და მათი შესაბამისი უპირატესობებისა და უარყოფითი მხარეების შესახებ, მათ შორის გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, გამოყენების, უსაფრთხოების და ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით და, აგრეთვე, მათი წილის შესახებ ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე. 2. მოსწავლე/სტუდენტი იცის ძირითადად რისთვის და რა მიზნებისთვის გამოიყენება ენერჯია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. 3. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს ენერგოეფექტურობისა და ზომიერი მოხმარების ცნებებს და ფლობს ინფორმაციას ენერგოეფექტურობისა და ზომიერი მოხმარების მისაღწევად საჭირო სოციალურ-ტექნიკური სტრატეგიებისა და პოლიტიკის შესახებ. 4. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს თუ როგორ ახდენს პოლიტიკა გავლენას ენერჯიის წარმოების, მიწოდების, მოთხოვნისა და მოხმარების ჩამოყალიბებაზე. 5. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს ენერჯიის არამდგრადი წარმოების მავნე ზემოქმედებას, თუ როგორ უწყობს ხელს განახლებადი ენერჯიის ტექნოლოგიები მდგრად განვითარებას, ახალი და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის საჭიროებას და, განსაკუთრებით, თანამშრომლობის ფარგლებში, ამგვარი ტექნოლოგიების ქვეყნებს შორის გაზიარების საჭიროებას.
სწავლის ამოცანები - სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია იმსჯელოს ენერგოეფექტურობისა და ზომიერი მოხმარების საჭიროებაზე. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია შეაფასოს და გააცნობიეროს სხვა ადამიანების/სხვა ქვეყნების ან რეგიონების საჭიროება ჰქონდეთ წვდომა ხელმისაწვდომ, საიმედო, მდგრად და სუფთა ენერჯიაზე. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ითანამშრომლოს სხვებთან ენერგოტექნოლოგიების სხვადასხვა კონტექსტში დანერგვისა და ადაპტირების მიმართულებით, სხვადასხვა კონტექსტზე მათი მორგების მიზნით, და გაუზიაროს სხვებს საკუთარ საზოგადოებაში არსებული და ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ახსნას და ჩამოაყალიბოს ენერჯიის წარმოებასა და მოხმარებასთან დაკავშირებული საკუთარი ნორმები და ღირებულებები, ასევე, გაანალიზოს და შეაფასოს ენერჯიის მოხმარების საკუთარი პრაქტიკა, ეფექტურობისა და ზომიერი მოხმარების თვალსაზრისით. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარ ქვეყანაში ენერჯიის საიმედო და მდგრადი წარმოების, მომარაგებისა და მოხმარების ხედვა.
სწავლის ამოცანები - ქცევითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს და შეაფასოს ზომები და ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება ენერგოეფექტურობისა და ზომიერი მოხმარების უზრუნველყოფას მისივე მიერ ენერჯიის მოხმარების სფეროში, და გაზარდოს განახლებადი ენერჯიის წილი ენერჯიის მოხმარების ადგილობრივ პრაქტიკაში. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს ძირითადი პრინციპები, მოცემულ სიტუაციაში განახლებადი ენერჯიის ყველაზე შესაფერისი სტრატეგიის დასადგენად. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გაანალიზოს მასშტაბური ენერგეტიკული პროექტების (მაგალითად, საზღვაო წყლებში ელექტროსადგურის მშენებლობა) და ენერგეტიკასთან დაკავშირებული პოლიტიკის სხვადასხვა მხარეებზე (მათ შორის ბუნებაზე) გავლენა და გრძელვადიანი შედეგები. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გავლენა მოახდინოს ენერჯიის წარმოებასთან, მომარაგებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებულ საჯარო პოლიტიკაზე. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ერთმანეთს შეადაროს და შეაფასოს სხვადასხვა ბიზნესმოდელები და მათი შესაბამისობა ენერგეტიკასთან დაკავშირებულ სხვადასხვა გადაწყვეტილებებთან და მოახდინოს ზეგავლენა ენერჯიის მოწოდებლებზე, უსაფრთხო, საიმედო და მდგრადი ენერჯიის წარმოების უზრუნველსაყოფად.

ჩანართი 1.2.7ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 7 - „ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერჯია“ - რეკომენდებული თემები

ენერჯიის სხვადასხვა წყაროები, განსაკუთრებით განახლებადი ენერჯიის წყაროები, როგორცაა მზის, ქარის, წყლის, ზღვის ტალღების ენერჯია, გეოთერმული ენერჯია

სხვადასხვა ქვეყნებში ენერჯიის წარმოება, მიწოდება, მოთხოვნა, მოხმარება

ენერგოეფექტურობა და ზომიერი მოხმარება ენერჯიის მოხმარებისას

სტრატეგიები: ენერჯიის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული წარმოება; ენერგოეფექტურობა, მაგალითად, ადგილობრივი ენერგომომარაგების კომპანიების (LESCO) საშუალებით

ენერჯის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განზომილებები და მეგაენერგოპროექტები, მაგალითად, მეგაენერგეტიკული პროექტები, როგორცაა მსხვილი მასშტაბის მზის ენერგოსადგურებისა ან კაშხლების მშენებლობის პროექტები - ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი (პოლიტიკური და ეკონომიკური ძალა (ქვეყნებს შორის), განსაკუთრებით მკვიდრი მოსახლეობის უფლებები)

გარემოზე ზემოქმედება და ენერჯის წარმოების, მომარაგებისა და გამოყენების საკითხები (მაგალითად, კლიმატის ცვლილება, ნაცრისფერი ენერჯია⁵)

საჯარო და კერძო სექტორების როლი ნაკლები ნახშირბადის შემცველი ენერჯის წარმოების პროექტების შემუშავებაში

ნავთობის მოპოვების პიკი და ენერგეტიკული უსაფრთხოება - (ზედმეტი) დამოკიდებულება არაგანახლებად ენერჯებზე, როგორცაა ნავთობი

ტექნოლოგიებისა და წიაღისეული საწვავის უფრო „სუფთა“ გამოყენების მეთოდების კომბინირება

ენერჯის წარმოებასთან, მიწოდებასა და მოხმარებასთან დაკავშირებული გენდერული საკითხები

ჩანართი 1.2.7ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 7 - „ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერჯია“

განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების ექსპერიმენტული გამოყენება

ენერჯის მოხმარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა, მაგალითად, ენერჯის მოხმარების მიზნების დახარისხება, როგორცაა „ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საჭირო ენერჯია“ (მაგალითად, საკვების მოსამზადებლად საჭირო ენერჯია) და „ფუფუნებასთან დაკავშირებული ენერჯია“ (მაგალითად, საცურაო აუზის ფუნქციონირებისათვის საჭირო ენერჯია)


ექსკურსიების ორგანიზება ტერიტორიებზე, სადაც მიმდინარეობს ენერჯის წარმოება; ეთიკურ საკითხებზე მსჯელობა, მაგალითად, ენერჯის ტიპებისა და სხვადასხვა ენერგოპროექტების დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი

ენერჯის წარმოების, მიწოდებისა და მოხმარების სამომავლო პერსპექტივების ანალიზი

დაწესებულებაში ან ადგილობრივ დონეზე, ენერჯის დაზოგვასთან დაკავშირებული კამპანიის დაგეგმვა და წარმოება

ჯგუფური პროექტის გახორციელება, რომლის მიზანიც იქნება იმის გამოანგარიშება, თუ რა რაოდენობით ენერჯიაა საჭირო ჩვენი ყოველდღიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მაგალითად, პურსი გამოსაცხობად, ბურღულეულის მოსამზადებლად და ა.შ.

კვლევაზე დაფუძნებული პროექტი: „რა ურთიერთდამოკიდებულება არსებობს ენერჯიასა და ადამიანის კეთილდღეობას შორის?“



⁵ ნაცრისფერი ენერჯია არის დაფარული ენერჯია, რომელიც დაკავშირებულია პროდუქტთან და მოიცავს პროდუქტის წარმოებიდან დაწყებული მის განკარგვამდე მასზე დახარჯული ენერჯის საერთო რაოდენობას.

1.2.8. მდგრადი განვითარების მიზანი 8 [ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა] უწყვეტი, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასთვის

ცხრილი 1.2.8. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 8 „ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა“	
სწავლის ამოცანები - შემეცნებითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს ესმის მუდმივი, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის, სრული და პროდუქტიული დასაქმების და ღირსეული სამუშაოს ცნებები, მათ შორის გენდერული პარიტეტისა და თანასწორობის ხელშეწყობის მნიშვნელობა და იგი ფლობს ინფორმაციას ალტერნატიული ეკონომიკური მოდელების და ინდიკატორების შესახებ. 2. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას სხვადასხვა სექტორებში ფორმალური დასაქმების წილის შესახებ, ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონსა თუ ქვეყანაში არაფორმალური დასაქმებისა და უმუშევრობის დონის შესახებ, და ინფორმაციას იმის შესახებ თუ რომელ სოციალურ ჯგუფებზე ზემოქმედებს და ვრცელდება უმუშევრობა. 3. მოსწავლეს/სტუდენტს ესმის ურთიერთდამოკიდებულება დასაქმებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის და იგი ფლობს ინფორმაციას სხვა განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ, როგორცაა მზარდი სამუშაო ძალა ან ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც ანაცვლებს ადამიანებს სამუშაო ადგილებზე. 4. მოსწავლეს/სტუდენტს ესმის, თუ როგორ იწვევს სამუშაო ძალის დაბალი და კლებადი ხელფასები და მმართველებისა და მფლობელების ან აქციონერების ძალიან მაღალი ხელფასები და მოგება უთანასწორობას, სიღარიბეს, სამოქალაქო უკმაყოფილებას და ა.შ. 5. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს, რომ ინოვაცია, მეწარმეობა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ხელს უწყობს ღირსეული სამუშაოების ზრდას და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ ეკონომიკასა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფასა და მის დაცვას ბუნებრივი საფრთხეებისა და გარემოს დეგრადაციის ზემოქმედებისგან.
სწავლის ამოცანები - სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია კრიტიკულად გაანალიზოს ეკონომიკური მოდელები და ეკონომიკისა და საზოგადოების სამომავლო ხედვები და დააკავშიროს ისინი საზოგადოებრივ სფეროებთან. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია, სხვა პირებთან თანამშრომლობით, მოითხოვოს სამართლიანი ხელფასები, თანაბარი შრომის თანაბარი ანაზღაურება და შრომითი უფლებების დაცვა პოლიტიკოსებისა და დამსაქმებლების მხრიდან. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გააცნობიეროს, თუ როგორ ზემოქმედებს მისი საკუთარი მოხმარების პრაქტიკა სხვა პირების სამუშაო პირობებზე გლობალურ ეკონომიკაში. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია მუშაობასა და დასაქმებასთან დაკავშირებული საკუთარი უფლებების ამოცნობა და საჭიროებებისა და ღირებულებების განსაზღვრა. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარი ეკონომიკური ცხოვრების ხედვა და გეგმები, საკუთარი კომპეტენციებისა და არსებული კონტექსტის ანალიზის საფუძველზე.
სწავლის ამოცანები - ქცევითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გაიზიაროს მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკასა და ღირსეულ სამუშაოსთან დაკავშირებული ახალი ხედვები და მოდელები. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ხელი შეუწყოს უსამართლო ხელფასების, თანაბარი სამუშაოს არათანაბარი ანაზღაურებისა და ცუდი სამუშაო პირობების თვალსაზრისით არსებული სიტუაციის გაუმჯობესებას. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია შეიმუშაოს და შეაფასოს მოსაზრებები მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ინოვაციებისა და მეწარმეობის შესახებ. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია დაგეგმოს და გაახორციელოს სამეწარმეო პროექტები. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია შემუშავოს შესაბამისი კრიტერიუმები და მოხმარების მიმართულებით გააკეთოს არჩევანი, რომელიც ემსახურება სამართლიანი სამუშაო პირობების მხარდაჭერასა და წარმოების დაცვას ბუნებრივი საფრთხეებისა და გარემოს დეგრადაციის ზემოქმედებისგან.

ჩანართი 1.2.8ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 8 - „ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა“ - რეკომენდებული თემები

ეკონომიკის წვლილი ადამიანის კეთილდღეობაში და უმუშევრობის სოციალური და ინდივიდუალური შედეგები

ეკონომიკის ეთიკა

ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული თეორიები, მოდელები და ინდიკატორები (მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მემ), ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI))

ალტერნატიული ეკონომიკური მოდელები და ინდიკატორები: მყარი ეკონომიკა, საერთო კეთილდღეობის ხელშემწყობი ეკონომიკა, ეკონომიკური უკუზრდა, სამომხმარებლო ეკონომიკა, ინკლუზიური სიმდიდრის ინდექსი⁶, შიმშილის გლობალური ინდექსი⁷

ფინანსურ სისტემებთან დაკავშირებული ცნებები და მოვლენები და მათი გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე (ინვესტიციები, კრედიტები, პროცენტები, ბანკები, სპეკულაციები ბირჟაზე, ინფლაცია და ა.შ.)

სამუშაო ძალა (მოსახლეობის ზრდა შობადობის, მიგრაციის და ა.შ. საშუალებით)

გენდერული თანასწორობა ეკონომიკაში და მოვლასთან დაკავშირებული სამუშაოების (ეკონომიკური) ღირებულება

შრომის ბაზარზე არსებული უთანასწორობა: სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლობა და მონაწილეობა, და განსხვავებული შემოსავლები/ხელფასები და ყოველკვირეული სამუშაო დრო ქვეყნების, სექტორების, სოციალურ ჯგუფების, გენდერის მიხედვით.

ფორმალური და არაფორმალური შრომა, შრომითი უფლებები, განსაკუთრებით მიგრანტებისა და ლტოლვილებისთვის, იძულებითი შრომა, მონობა და ტრეფიკინგი

მეწარმეობა, (სოციალური) ინოვაცია, ახალი ტექნოლოგიები და ადგილობრივი ეკონომიკა მდგრადი განვითარების სამსახურში

ჩანართი 1.2.8ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 8 - „ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა“

თამაში „ემშაკის ადვოკატი“ ეკონომიკური ზრდის სხვადასხვა მოდელის გამოყენებით

სამეწარმეო და სოციალურ-სამეწარმეო პროექტების დაგეგმვა და გახორციელება

სტუდენტების სტაჟირება ადგილობრივ ბიზნეს საწარმოებში

დამსაქმებელთა და დასაქმებულთა საჭიროებებისა და პერსპექტივების შესწავლა ინტერვიუებისა და გამოკითხვის საშუალებით

ცხოვრებისა და კარიერის ალტერნატიული გზების დასახვა

დამსაქმებლების მოწვევა და ჩართვა საკლასო მუშაობის პროცესში

კვლევაზე დაფუძნებული პროექტი: „ რა წვლილის შეტანა შეუძლია ჩემს კარიერას მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში?“

⁶ <http://inclusivewealthindex.org/#the-world-wants-to-know-how-its-doing>

⁷ <http://www.ifpri.org/topic/global-hunger-index>



1.2.9. მდგრადი განვითარების მიზანი 9 [მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა] ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა

ცხრილი 1.2.9. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 9 „მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა“	
სწავლის ამოცანები - შექმენითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას მდგრადი ინფრასტრუქტურისა და ინდუსტრიალიზაციის ცნებების შესახებ და საზოგადოების განვითარებისათვის სისტემურ მიდგომასთან დაკავშირებული საჭიროებების შესახებ. 2. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური გამოწვევებისა და კონფლიქტების შესახებ, რომლებიც უკავშირდება ინფრასტრუქტურისა და ინდუსტრიალიზაციის მდგრადობის მიღწევასა და უზრუნველყოფას. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია განმარტოს ტერმინი მდგრადობა ინფრასტრუქტურისა და სივრცითი დაგეგმვის კონტექსტში, იგი აცნობიერებს ისეთ ძირითად ცნებებს, როგორცაა მოდულობა და მრავალფეროვნება, და მართებულად იყენებს მათ ადგილობრივ და ქვეყნის კონტექსტში. 4. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას არამდგრადი ინდუსტრიალიზაციის ნაკლოვანებების შესახებ და მას ამის საპირწონედ შეუძლია მოიყვანოს მუდმივი, ინკლუზიური, მდგრადი ინდუსტრიული განვითარების მაგალითები და იგი აცნობიერებს სათადარიგო გეგმების არსებობის აუცილებლობას. 5. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას მდგრადი განვითარების მიმართულებით არსებული ინოვაციების, გამძლე ინფრასტრუქტურისა და ინდუსტრიული განვითარების ახალი შესაძლებლობებისა და ბაზრების შესახებ.
სწავლის ამოცანები - სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია დაამტკიცოს ადგილობრივ გარემოში მდგრადი, გამძლე და ინკლუზიური ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია დაარწმუნოს და წახალისოს ადგილობრივი საზოგადოება, ინფრასტრუქტურისა და სამრეწველო განვითარება წარმართონ ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი მეტი გამძლეობა და მდგრადობა. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია თანამოაზრეების შემოკრება, მდგრადი და ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული ინდუსტრიების შესაქმნელად, რომლებიც რეაგირებს ცვალებად გამოწვევებზე და გააჩნია ახალ ბაზრებზე გასვლის პოტენციალი. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გააცნობიეროს და გაანალიზოს ადგილობრივ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკუთარი მოთხოვნები, როგორცაა ნახშირბადის და წყლის ნაკვალევი და მანძილი სურსათის წარმოების ადგილიდან სურსათის მოხმარების ადგილამდე. 5. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს რომ რესურსების ხელმისაწვდომობის მიმართულებით არსებულ სიტუაციაში ცვლილებებმა (მაგ. ნავთობზე ფასების ზრდამ, ყველა საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდამ) და სხვა გარე შოკებმა და სტრესებმა (მაგ. ბუნებრივი საფრთხეები, კონფლიქტები) შეიძლება წარმოშვას ინფრასტრუქტურაზე მისი საკუთარი ხედვისა და მოთხოვნების რადიკალურად შეცვლის საჭიროება, განახლებადი ენერჯის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სატრანსპორტო საშუალებების, სანიტარული პირობების და ა.შ. ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.
სწავლის ამოცანები - ქვეყნითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია საკუთარ კულტურასა და ქვეყანაში ინფრასტრუქტურის მიმართ უფრო მწვანე და მდგრადი მიდგომების იდენტიფიცირება და ამ მიდგომების საზოგადოებრივი სარგებელის გაცნობიერება, განსაკუთრებით კატასტროფის რისკის შემცირების თვალსაზრისით. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ინდუსტრიალიზაციის სხვადასხვა ფორმების შეფასება და მათი ერთმანეთთან შედარება გამძლეობის თვალსაზრისით. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ინოვაციური მოსაზრებების წამოყენება და ისეთი მდგრადი საწარმოს შექმნა, რომელიც მისი ქვეყნის სამრეწველო საჭიროებებს დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს ფინანსური მომსახურებით, როგორცაა სესხები ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკუთარი საწარმოს დასაფინანსებლად. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია იმუშაოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, მდგრადი ინფრასტრუქტურის (მათ შორის ინტერნეტის) ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით.

ჩანართი 1.2.9ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 9 - „მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა“ - რეკომენდებული თემები

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მდგრადობა, მათ შორის მომარაგების უზრუნველყოფა, ნარჩენების განკარგვისა და გადამუშავებასთან კავშირში

ხარისხიანი ინფრასტრუქტურის წვლილი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების მიღწევაში

ძირითადი ინფრასტრუქტურის საჭიროება, როგორცაა გზები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სანიტარია, ელექტროენერჯია და წყალი

ინკლუზიური და მდგრადი ინოვაციები და ინდუსტრიალიზაცია

მდგრადი და სტაბილური ინფრასტრუქტურის შექმნა

მდგრადი ელექტროენერჯია: ეროვნული ქსელები, მიწოდების ტარიფები, მდგრადი განახლებადი ენერჯის წყაროების გაფართოება, კონფლიქტები

მდგრადი სამუშაო ბაზარი, შესაძლებლობები და ინვესტიციები

ინტერნეტის მდგრადობა - მწვანე ინტერნეტსასაუბრო უზრუნველყოფიდან საძიებო სისტემების სერვერების ეკოლოგიურ ნაკვალივამდე

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მდგრადობა

ალტერნატიული ვალუტა, როგორც ინვესტიცია ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში

ჩანართი 1.2.9ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 9 - „მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა“

როლური თამაში (ინსცენირება) - ერთი დღე ელექტროენერჯის გარეშე

ბუნებრივი კატასტროფის ზემოქმედების შემდეგ, ადგილობრივი საწარმოსთვის უწყვეტი მუშაობის გეგმის შემუშავება

საზოგადოებისათვის ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შემუშავება

ხედვის შემუშავება მსოფლიოს შესახებ, სადაც არაწიადისეულ საწვავზე მომუშავე ტრანსპორტის სისტემა იქნება დანეგირებული

პროექტის შემუშავება, რომელიც შეისწავლის საზოგადოებაში არსებული ფიზიკური ან სოციალური ინფრასტრუქტურის ერთ კონკრეტულ ფორმას

მოსწავლეებისა და ახალგაზრდების ჩართვა საზოგადოებრივი თავშეყრისთვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწყობაში

კვლევაზე დაფუძნებული პროექტი: „ყველა ინოვაცია სასიკეთოა კაცობრიობისათვის?“



1.2.10. მდგრადი განვითარების მიზანი 10 [შემცირებული უთანასწორობა] უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის

ცხრილი 1.2.10. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 10 „შემცირებული უთანასწორობა“	
სწავლის ამოცანები - შემეცნებითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას უთანასწორობის სხვადასხვა განზომილების, მათ შორის ურთიერთკავშირისა და მასთან დაკავშირებული სტატისტიკის შესახებ. 2. მოსწავლე/სტუდენტი იცნობს ინდიკატორებს, რომლებიც გამოიყენება უთანასწორობის გასაზომად და აღსაწერად და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების საქმეში. 3. მოსწავლე/სტუდენტს ესმის, რომ უთანასწორობა წარმოადგენს საზოგადოებაში არსებული პრობლემებისა და ინდივიდუალური უკმაყოფილების ძირითად მიზეზს. 4. მოსწავლე/სტუდენტს ესმის ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური პროცესები, რომლებიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის თანასწორობას (ფისკალური, სახელფასო და სოციალური დაცვის პოლიტიკა, კორპორატიული საქმიანობა და ა.შ.). 5. მოსწავლე/სტუდენტს ესმის თანასწორობის ეთიკური პრინციპები და იგი ფლობს ცოდნას იმ ფსიქოლოგიური პროცესების შესახებ, რომლებიც საფუძვლად უდევს დისკრიმინაციულ ქცევასა და გადაწყვეტილების მიღებას.
სწავლის ამოცანები - სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია იმუშაოს უთანასწორობის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიმართულებით. 2. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია თანაგრძნობა და სოლიდარობა გამოუცხადოს ადამიანებს, რომელთა მიმართაც ხორციელდება დისკრიმინაცია. 3. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია სხვადასხვა ჯგუფის უფლებების შესახებ მოლაპარაკების წარმოება, საერთო ღირებულებებისა და ეთიკის პრინციპების საფუძველზე. 4. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს როგორც მის გარშემო, ასევე მსოფლიო მასშტაბით არსებულ უთანასწორობას და შეუძლია უთანასწორობის პრობლემური შედეგების ამოცნობა. 5. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია შეინარჩუნოს სამართლიანი და თანასწორი სამყაროს ხედვა.
სწავლის ამოცანები - ქცევითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია შეაფასოს ადგილობრივ გარემოში არსებული უთანასწორობის ხარისხი (განსხვავებული განზომილებები, თვისობრივი ზეგავლენა ინდივიდუალურ პირებზე) და რაოდენობა (ინდიკატორები, რაოდენობრივი ზეგავლენა ინდივიდუალურ პირებზე). 2. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია განსაზღვროს ან შეიმუშაოს ობიექტური ინდიკატორი სხვადასხვა ჯგუფების, ერების და ა.შ. ერთმანეთთან შედარებისათვის, უთანასწორობასთან მიმართებაში. 3. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია სხვადასხვა ტიპის უთანასწორობის მიზეზების ამოცნობა და ანალიზი. 4. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია დაგეგმოს, დაწეროს და შეაფასოს უთანასწორობის შემცირების სტრატეგიები. 5. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ჩაერთოს საჯარო პოლიტიკისა და კორპორატიული საქმიანობის შემუშავებაში, რომელიც უთანასწორობის შემცირებას ემსახურება.

ჩანართი 1.2.10ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 10 - „შემცირებული უთანასწორობა“ - რეკომენდებული თემები

სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობა უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლაში (ეროვნულ და გლობალურ დონეზე) - დისკრიმინაციის ტიპური კატეგორიები

უთანასწორობის საზომი სხვადასხვა ინდიკატორები

მიწაზე, ქონებასა და ბუნებრივ რესურსებზე მფლობელობის უფლებების მნიშვნელობა თანასწორობისთვის და უთანასწორობის გავლენა მოწყვლადობასა და შესაძლებლობებზე

ფისკალური, სახელფასო და სოციალური დაცვის პოლიტიკა

გლობალური სავაჭრო სისტემები და რეგულაციები (საგადასახადო რეჟიმების ჩათვლით)

შრომის სტანდარტები

სხვადასხვა სოციალური/ეროვნული ჯგუფების წარმომადგენლობა მთავრობებში/მნიშვნელოვანი და ძლიერი ინსტიტუტების საბჭოებში

საერთაშორისო განვითარების უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი დახმარების ოდენობა და შედეგები

ამჟამინდელი უთანასწორობის ისტორიული საფუძვლები (მრავალეროვნული კომპანიების როლის ჩათვლით)

მიგრაცია და ადამიანთა მობილობა

ჩანართი 1.2.10ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 10 - „შემცირებული უთანასწორობა“

მარტივი თამაშები განაწილებაზე, უსამართლო და არათანაბარი მოპყრობის ფსიქოლოგიური შედეგებისა ან უთანასწორობის გამო საზოგადოებაზე ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების ანალიზის საწარმოებლად.

დაწესებულებაში სხვადასხვა სოციალური კატეგორიების წარმომადგენლობის ანალიზი

ცნობადობის ამაღლებისა ან პოლიტიკური კამპანიის წარმოება, რომელიც ემსახურება გლობალურ სავაჭრო სისტემებში უთანასწორობის გამოვლენას

პროვილეგირებულ ან დისკრიმინაციულ სიტუაციაში ყოფნასთან დაკავშირებული საკუთარი გამოცდილების ანალიზი

ინტერვიუები მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებთან (მაგალითად, მიგრანტებთან)

ვებგვერდის ან ბლოგის შექმნა, რომელიც ემსახურება ადგილობრივ მიგრაციასთან ან/და ლტოლვილთა სიტუაციასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობას

კვლევაზე დაფუძნებული პროექტი: „როგორ ზემოქმედებს უთანასწორობა ადამიანებზე?“



1.2.11. მდგრადი განვითარების მიზანი 11 [ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება] ინკლუზიური, უსაფრთხო, სტაბილური და მდგრადი ქალაქები და დასახლებები

ცხრილი 1.2.11. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 11 „ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება“	
სწავლის ამოცანები - შედეგებითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას ადამიანის ძირითადი ფიზიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური საჭიროებების შესახებ და მას შეუძლია დაადგინოს თუ ამჟამად როგორ წარმოებს ამ საჭიროებების დაკმაყოფილება მათ უშუალო ფიზიკურ გარემოში: ქალაქის ან სოფლის დასახლებაში. 2. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია შეაფასოს და ერთმანეთს შეადაროს მისი დასახლებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სისტემები, მდგრადობის თვალსაზრისით, კონკრეტულად იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოებს ამ დასახლებებში მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, განსაკუთრებით სურსათის, ენერჯის, ტრანსპორტის, წყლის, უსაფრთხოების, ნარჩენების განკარგვის, ჩართულობისა და ხელმისაწვდომობის, განათლების, მწვანე სივრცეების შექმნისა და შენარჩუნების და კატასტროფის რისკის შემცირების თვალსაზრისით. 3. მოსწავლე/სტუდენტს ესმის რომ დასახლების ტიპს განაპირობებს ისტორიული მიზეზები, და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემის პარალელურად, იგი აცნობიერებს, გაუმჯობესებული და მდგრადი სისტემების შექმნის მიზნით, კომპრომისების გამონახვის აუცილებლობას. 4. მოსწავლე/სტუდენტს ესმის მდგრადი დაგეგმვისა და მშენებლობის ძირითადი პრინციპები და შეუძლია საკუთარ საცხოვრებელ ტერიტორიაზე უფრო მდგრადი და ინკლუზიური შესაძლებლობების იდენტიფიცირება. 5. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს ადგილობრივი ხელისუფლების როლს და მონაწილეობითი მმართველობის მნიშვნელობას, და ტერიტორიის დაგეგმვასა და პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მნიშვნელობას.
სწავლის ამოცანები - სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს საკუთარი ხმის უფლებით, განსაზღვროს და გამოიყენოს დაგეგმვის ადგილობრივ სისტემებში ჩართვის მომენტი და შესაძლებლობა, მოითხოვოს ინვესტიცია მდგრადი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და პარკების შექმნა-მშენებლობა-განაშენიანებაში და დამტკიცოს გრძელვადიანი დაგეგმვის სარგებელი. 2. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია კავშირი დაამყაროს და დაეხმაროს საზოგადოების ჯგუფებს, ადგილობრივად და ონლაინრეჟიმში, საზოგადოების მდგრადი სამომავლო ხედვის შემუშავებაში. 3. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ჩამოაყალიბოს თუ როგორ ზემოქმედებს მისი საცხოვრებელი ტერიტორია მის პიროვნულ განვითარებაზე, გააცნობიეროს რა როლს თამაშობს ბუნებრივი, სოციალური და ტექნიკური გარემო მისი იდენტობისა და კულტურის ჩამოყალიბებაში. 4. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია საკუთარი საჭიროებების კონტექსტუალიზაცია და ჩართვა ფართო ეკოსისტემების საჭიროებებში, როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ დონეზე, უფრო მდგრადი დასახლებების უზრუნველსაყოფად. 5. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარი ცხოვრების წესის სოციალურ ზეგავლენაზე, და გარემოსთან მიმართებაში ზეგავლენაზე..
სწავლის ამოცანები - ქცევითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ადგილობრივი მდგრადი პროექტების დაგეგმვა, გახორციელება და შეფასება. 2. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს და გავლენა იქონიოს მისი საზოგადოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე. 3. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ისაუბროს და გამოთქვას საკუთარი მოსაზრება კონკრეტული გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან გამოვიდეს კონკრეტული გადაწყვეტილების წინააღმდეგ, ან ხმა მისცეს მისი საზოგადოების შესახებ მისაღები გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან წინააღმდეგ. 4. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ინკლუზიური, უსაფრთხო, მყარი და მდგრადი საზოგადოების შექმნაში. 5. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს, ადგილობრივ დონეზე, ატმოსფეროში ნახშირბადის ემისიის შემცირების მიმართულებით გაღებულ ძალისხმევაში.

ჩანართი 1.2.11ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 11 - „ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება“ - რეკომენდებული თემები

თავშესაფრის, უსაფრთხოებისა და ინკლუზიურობის საჭიროება (ადამიანის საჭიროებები, ჩვენი სხვადასხვა ინდივიდუალური და კოლექტიური სურვილებისა და საჭიროებების კონტექსტუალიზაცია სქესის, ასაკის, შემოსავლებისა და შესაძლებლობების შესაბამისად)

ბუნებრივი რესურსების მართვა და გამოყენება (განახლებადი და არაგანახლებადი ენერჯია)

მდგრადი ენერჯია (საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის ენერჯიის გამოყენება, განახლებადი ენერჯია, სათემო ენერჯიის სქემები) და ტრანსპორტი

მდგრადი საკვები (სოფლის მეურნეობა, ორგანული სოფლის მეურნეობა და პერმაკულტურა, საზოგადოების მიერ მხარდაჭერილი სოფლის მეურნეობა, სურსათის წარმოების ადგილი⁸, საკვების დამუშავება, კვების რეჟიმები და ჩვევები, ნარჩენების წარმოქმნა)

ურბანული ეკოლოგია და ადამიანების დასახლებების ზემოქმედება ცოცხალ ბუნებაზე

მდგრადი გამძლე შენობები და სივრცითი დაგეგმვა (სამშენებლო მასალები, ენერჯიის დაზოგვა, დაგეგმვის პროცესები)

ნარჩენების წარმოქმნა და მართვა (პრევენცია, შემცირება, გადამუშავება, ხელახალი გამოყენება)

თემები და მათი დინამიკა (გადაწყვეტილებების მიღება, მმართველობა, დაგეგმვა, კონფლიქტების მოგვარება, ალტერნატიული თემები, ჯანსაღი თემები, ინკლუზიური თემები, ეკოსოფლები, გარდამავალი მოდელის მქონე ქალაქები)

წყლის ციკლი და მიწისქვეშა წყლების აღდგენა ურბანული მექანიზმების საშუალებით (მწვანე სახურავები, წვიმის წყლის მოგროვება, მდინარეების დაბრუნება ძველ კალაპოტებში, მდგრადი ურბანული ჩამდინარე წყლები)

კატასტროფისთვის მზადება და მზადყოფნა, ამინდის ცვალებადობისათვის და მომავლისთვის მზადება და პრევენციისა და მზადყოფნის კულტურა

ჩანართი 1.2.11ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 11 - „ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება“

ექსკურსიები ეკოსოფლებში და სხვა „ცოცხალ ლაბორატორიებში“, ნარჩენი წყლების გადასამუშავებელ სადგურებსა და სხვა მომსახურებათა ცენტრებში არსებული და საუკეთესო პრაქტიკის შესასწავლად

მდგრადი ქალაქებისა და თემების შესახებ (ახალგაზრდული) პროექტის შემუშავება და გახორციელება

ძველი თაობების წარმომადგენელთა მოწვევა, რომლებიც ისაუბრებენ იმაზე, თუ როგორ შეიცვალა დასახლება დროთა განმავლობაში. დაუსვით მათ კითხვები ბიორეგიონთან მათი კავშირის შესახებ. გამოიყენეთ ხელოვნება, ლიტერატურა და ისტორია დასახლების ტერიტორიისა და მისი ცვლილებების შესასწავლად

გააშენეთ ბაღი, რომელიც გამოდგება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილად

პროექტების შედგენა: განსაზღვრეთ ადგილი, სადაც ადამიანების თავშეყრისათვის საკმარისი ღია სივრცეა წარმოდგენილი, აწარმოეთ ადამიანების ტევადობის დაგეგმვა, განსაზღვრეთ ადგილები, სადაც საზოგადოების საჭიროებები იქნება გათვალისწინებული, მწვანე სივრცეები და ა.შ. აღნიშნული შესაძლებელია მოიცავდეს ისეთი ადგილების კეთილმოწყობასა და გაუმჯობესებას, რომლებიც, მაგალითად დაუცველია ბუნებრივი საფრთხეებისგან

ორი წუთიანი ვიდეო კლიპის დამზადება, რომელშიც ნაჩვენებია იქნება მდგრადი ურბანული საზოგადოების ნიმუში

კვლევაზე დაფუძნებული პროექტი: „რამდენად იქნება უზრუნველყოფილი მდგრადი განვითარება, მსოფლიოს მოსოფლიოს მოსახლეობა სრული შემადგენლობით რომ ქალაქის ტერიტორიებზე ცხოვრობდეს?“

⁸ სურსათის წარმოების ადგილი აღნიშნავს გეოგრაფიულ ტერიტორიას, რომელზეც წარმოებს კონკრეტული თემის გამოსაკვებად საჭირო სურსათის წარმოება (<http://foodshedalliance.org/what-is-a-foodshed>).



1.2.12. მდგრადი განვითარების მიზანი 12 [გონივრული მოხმარება და წარმოება] მდგრადი მოხმარების და წარმოების უზრუნველყოფა

ცხრილი 1.2.12. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 12 „გონივრული მოხმარება და წარმოება“	
სწავლის ამოცანები - შედეგებითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს თუ როგორ ახდენს გავლენას ინდივიდუალური ცხოვრების სტილი და არჩევანი სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოს განვითარებაზე. 2. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ინფორმაციას წარმოებისა და მოხმარების სხვადასხვა სტილის, ღირებულების ჯაჭვის და წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების შესახებ (მიწოდება და მოთხოვნა, ტოქსიკური ნივთიერებები, ნახშირორჟანგის გამოყოფა, ნარჩენების წარმოქმნა, ჯანმრთელობა, სამუშაო პირობები, სიღარიბე და ა.შ.). 3. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს წარმოებასა და მოხმარებაში მონაწილე სხვადასხვა სუბიექტების როლს, უფლებებსა და მოვალეობებს (მედია და რეკლამა, საწარმოები, მუნიციპალიტეტები, კანონმდებლობა, მოხმარებლები და ა.შ.). 4. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას მდგრადი წარმოებისა და მოხმარების სტრატეგიებისა და პრაქტიკის შესახებ. 5. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ინფორმაციას მდგრად მოხმარებასა და წარმოებასთან დაკავშირებული დილემების შესახებ და იმის შესახებ, რომ მდგრადი მოხმარებისა და წარმოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სისტემური ცვლილებები.
სწავლის ამოცანები - სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ისაუბროს წარმოებისა და მოხმარების მდგრადი პრაქტიკის საჭიროების შესახებ. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია სხვების დარწმუნება და ჩახალისება, რათა მათ არჩევანი გააკეთონ მოხმარებისა და წარმოების მდგრად პრაქტიკაზე. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ერთმანეთისგან განასხვავოს საჭიროებები და სურვილები და მიუსადაგოს საკუთარი სამომხმარებლო ქვევა ბუნებრივი სამყაროს, სხვა ადამიანების, კულტურებისა და ქვეყნების და მომავალი თაობების საჭიროებებს. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია მდგრადი ცხოვრების წესის წარმოდგენა. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია როგორც მეწარმემ ან მოხმარებელმა პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარი ქვევის სოციალურ ზეგავლენაზე, და გარემოსთან მიმართებში ზეგავლენაზე.
სწავლის ამოცანები - ქვეყნითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია დაგეგმოს, გაახორციელოს და შეაფასოს მოხმარებასთან დაკავშირებული საქმიანობა, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული კრიტერიუმების გამოყენებით. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია შეაფასოს, მონაწილეობა მიიღოს და გავლენა მოახდინოს საჯარო სექტორის მიერ გახორციელებული შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია მდგრადი წარმოების მაგალითების მოყვანა და საზოგადოებისათვის მათი გაცნობა. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს თავისი - როგორც ბაზარზე დაინტერესებული მხარის - როლი. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს მოხმარებასა და წარმოებასთან დაკავშირებული კულტურული და საზოგადოებაში დამკვიდრებული ტენდენციები.

ჩანართი 1.2.12ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 12 - „გონივრული მოხმარება და წარმოება“ - რეკომენდებული თემები

რეკლამირება, თანატოლების მხრიდან ზეწოლა, კუთვნილება და იდენტობის ჩამოყალიბება
წარმოებისა და მოხმარების ისტორია, ნიმუშები და ღირებულების ჯაჭვები და ბუნებრივი რესურსების მართვა და გამოყენება (განახლებადი და არაგანახლებადი ენერჯის წყაროები)
ბუნებრივი გარემოსა და სოციალური გარემოს ზემოქმედება წარმოებასა და მოხმარებაზე
ენერჯის წარმოება და მოხმარება (ტრანსპორტი, ენერჯის მოხმარება კომერციული და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, განახლებადი ენერჯია)
სურსათის წარმოება და მოხმარება (სოფლის მეურნეობა, საკვების დამუშავება, კვების რეჟიმები და ჩვევები, ნარჩენების წარმოქმნა, ტყეების გაჩეხვა, საკვების ჭარბი რაოდენობით მოხმარება და შიმშილი)
ტურიზმი
ნარჩენების წარმოქმნა და მართვა (პრევენცია, შემცირება, გადამუშავება, ხელახალი გამოყენება)
მდგრადი ცხოვრების წესი და მდგრად წარმოებასა და მოხმარებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი პრაქტიკა
ეტიკეტების და სერთიფიკატების სისტემები, მდგრადი წარმოებისა და მოხმარების მიზნებისთვის მწვანე ეკონომიკა (წარმოება ნარჩენების წარმოქმნისა და გარემოსათვის ზიანის მიყენების გარეშე, წრიული ეკონომიკა, მწვანე ზრდა, ეკონომიკური უკუზრდა)

ჩანართი 1.2.12ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 12 - „გონივრული მოხმარება და წარმოება“

საკუთარი ეკოლოგიური ნაკვალევის⁹ გამოანგარიშება და ანალიზი
სხვადასხვა პროდუქტის ანალიზი (მაგალითად, მობილური ტელეფონები, კომპიუტერები, ტანსაცმელი) სასიცოცხლო ციკლის ანალიზის (LCA) გამოყენებით
მდგრადი პროდუქტებით მოვაჭრე, მოსწავლეებით/სტუდენტებით დაკომპლექტებული კომპანის დაგეგმვა და ამუშავება
როლური თამაშები (ინსცენირება) სავაჭრო სისტემაში სხვადასხვა როლის შესრულებით (პროდიუსერი, სარეკლამო აგენტი, მომხმარებელი, ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი და ა.შ.)
მცირემეტრაჟიანი ფილმის/დოკუმენტური ფილმის ჩვენება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს/სტუდენტებს წარმოებისა და მოხმარების ფორმების გაცნობაში (მაგალითად, by ანი ლეონარდის ფილმი „*Story of Stuff*“, [„ერთი რამის თავგადასავალი“]¹⁰)
წარმოებისა და მოხმარების (მაგალითად, მოდა, ტექნოლოგიები და ა.შ.) შესახებ (ახალგაზრდული) პროექტის შემუშავება და გახორციელება
კვლევაზე დაფუძნებული პროექტი: „ნიშნავს მდგრადი განვითარება რადაცეებზე უარის თქმას?“

⁹ ეკოლოგიური ნაკვალევი წარმოადგენს ადამიანის მიერ დედამიწის ეკოსისტემაზე ზემოქმედების საზომს. იგი არის ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებული მიწოდებისა და მოთხოვნის საზომი, და მოიცავს ბუნებრივ გარემოში შეჭრის მაჩვენებელსა და ბუნებრივი კაპიტალის წლიური მოხმარების მონაცემებს. იხ.: <http://www.footprintnetwork.org/en/index.php/GFN/page/calculators/>.

¹⁰ <http://storyofstuff.org/movies/story-of-stuff/>



1.2.13. მდგრადი განვითარების მიზანი 13 [კლიმატის მდგრადობის მიღწევა] კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება

ცხრილი 1.2.13. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 13 „კლიმატის მდგრადობის მიღწევა“	
სწავლის ამოცანები - შედეგებითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას სათბურის ეფექტის, როგორც ბუნებრივი მოვლენის შესახებ, რომელიც გამოწვეულია დედამიწის გარეშემო სათბურის აირების მიერ წარმოქმნილი შრით. 2. მოსწავლე/სტუდენტი აღიქვამს კლიმატის მიმდინარე ცვლილებას, როგორც ანთროპოგენულ მოვლენას, რომელიც გამოწვეულია სათბურის აირების გაზრდილი ემისიების შედეგად. 3. მოსწავლემ/სტუდენტმა იცის, გლობალურ, ეროვნულ, ადგილობრივ და ინდივიდუალურ დონეზე, ადამიანის რომელი საქმიანობა უწყობს ხელს კლიმატის ცვლილებას ყველაზე მეტად. 4. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას, ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე, კლიმატის ცვლილების ძირითადი ეკოლოგიური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური შედეგების შესახებ, და აცნობიერებს, თუ როგორ შეიძლება ეს ცვლილებები შემდგომ თავად იქცეს კლიმატის ცვლილების გამაძლიერებელ ფაქტორებად. 5. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას კლიმატის ცვლილების პრევენციის, შერბილებისა და ადაპტაციის სტრატეგიების შესახებ სხვადასხვა დონეზე (გლობალურიდან დაწყებული ინდივიდუალურით დამთავრებული) და სხვადასხვა კონტექსტში და მას შეუძლია დააკავშიროს აღნიშნული სტრატეგიები კატასტროფებზე რეაგირებასა და კატასტროფის რისკის შემცირებასთან.
სწავლის ამოცანები - სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ახსნას ეკოსისტემის დინამიკა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედება გარემოზე, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებსა და ეთიკის სფეროზე. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია სხვების წახალისება კლიმატის დასაცავად მოქმედებისკენ. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა და კლიმატის ცვლილებასთან გამკლავებისთვის საერთო შეთანხმებული სტრატეგიების შემუშავება. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გააცნობიეროს მსოფლიოს კლიმატზე საკუთარი გავლენა, დაწყებული ადგილობრივი დონიდან დამთავრებული გლობალური დონით. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გააცნობიეროს, რომ გლობალური კლიმატის დაცვა ყველა ადამიანის არსებით და უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს და, ამის გათვალისწინებით, ჩვენ სრულად უნდა გადავფასოთ ჩვენი მსოფლმხედველობა და ყოველდღიური ქცევები.
სწავლის ამოცანები - ქცევითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია შეაფასოს არის თუ არა მისი პირადი და პროფესიული საქმიანობა კლიმატისათვის უვნებელი და, თუ არა - რა უნდა შეცვალოს მან თავის საქმიანობაში. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია დახმარება გაუწიოს კლიმატის ცვლილების შედეგად საფრთხის ქვეშ მყოფ ადამიანებს. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია განსაზღვროს და შეაფასოს რა ზეგავლენა შეუძლია მოახდინოს პიროვნულ, ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა და გახორციელებულმა ქმედებებმა ან საქმიანობამ სხვა ადამიანებსა და მსოფლიოს რეგიონებზე. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ხელი შეუწყოს კლიმატის დაცვის მიმართულებით შემუშავებული საჯარო პოლიტიკის გატარებას. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია მხარი დაუჭიროს კლიმატისთვის არასაზიანო და სარგებლის მომტან ეკონომიკურ საქმიანობას.

ჩანართი 1.2.13ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 13 - „კლიმატის მდგრადობის მიღწევა“ - რეკომენდებული თემები

სათბურის აირები და მათი ემისია

ენერჯის წარმოებასთან, სოფლის მეურნეობასა და ინდუსტრიასთან დაკავშირებული სათბურის აირების ემისია

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საფრთხეები, რომლებიც იწვევს ბუნებრივ კატასტროფებს, როგორცაა გვალვა, უკიდურესი ამინდის პირობები და ა.შ., და მათი არათანაბარი სოციალური და ეკონომიკური გავლენა შინამეურნეობებზე, თემებსა და ქვეყნებზე და ქვეყნებს შორის ზღვის დონის მატება და მისი შედეგები ქვეყნებზე (მაგალითად, პატარა კუნძულოვან სახელმწიფოებზე)

მიგრაციისა და საჰაერო მიმოსვლის გავლენა კლიმატის ცვლილებაზე

პრევენციის, შერბილებისა და ადაპტაციის სტრატეგიები და მათი კავშირი კატასტროფებზე რეაგირებასა და კატასტროფის რისკის შემცირებასთან

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტები

კლიმატის დაცვის ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური პოლიტიკის სტრატეგიები

სამომავლო პერსპექტივები (გლობალური ტემპერატურის მატებასთან დაკავშირებული ალტერნატიული განმარტებების ჩათვლით)

ზემოქმედება და გავლენა დიდ ეკოსისტემებზე, როგორცაა ტყეები, ოკეანეები, მყინვარები და ბიომრავალფეროვნება

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები

ჩანართი 1.2.13ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 13 - „კლიმატის მდგრადობის მიღწევა“

როლური თამაში, რომელიც ემსახურება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მოვლენების სხვადასხვა პერსპექტივიდან შეფასებასა და განცდას

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მოვლენების განვითარების სხვადასხვა სცენარის ანალიზი, მათთან დაკავშირებული მოსაზრებების, შედეგების და მათი განვითარების გზების გათვალისწინებით

კლიმატის დაცვასთან დაკავშირებული პროექტის ან კამპანიის შემუშავება და გახორციელება

ვებგვერდისა ან ბლოგის შექმნა, სადაც ადამიანთა ჯგუფებს შესაძლებლობე ექნებათ ისაუბრონ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე

კლიმატისათვის ზიანის მიყენების გარეშე ცხოვრების ისტორიების შეთხზვა

კონკრეტული შემთხვევის კვლევა იმის დასადგენად, თუ როგორ შეიძლება კლიმატის ცვლილებამ გაზარდოს კატასტროფების რისკი ადგილობრივ თემში

კვლევაზე დაფუძნებული პროექტი: “კლიმატის ცვლილებაზე პასუხი უნდა აგონ მათ, ვინც ყველაზე მეტი ზიანი მიაყენა ეკოლოგიას“



1.2.14. მდგრადი განვითარების მიზანი 14 [წყალქვეშა რესურსები] ოკეანეების, ზღვების და მათი რესურსების შენარჩუნება და მდგრადი მოხმარების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის

ცხრილი 1.2.14. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 14 „წყალქვეშა რესურსები“	
სწავლის ამოცანები - შექმენითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას ძირითადი საზღვაო ეკოლოგიის, ეკოსისტემების, ზღვის გარემოს ბინადარი მტაცებლებისა და მათ ნადავლი და ა.შ. შესახებ. 2. მოსწავლე/სტუდენტს ესმის ბევრი ადამიანის კავშირი ზღვასთან და მის წიაღში არსებულ ცოცხალ ბუნებასთან, მათ შორის ზღვის - როგორც საკვების, სამუშაო ადგილების და საინტერესო შესაძლებლობების მომწოდებლის - როლი. 3. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას კლიმატის ცვლილების ძირითადი წინაპირობისა და კლიმატის ცვლილებაში ოკეანეების როლის შესახებ. 4. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას იმ საფრთხეების შესახებ, რომლებიც ოკეანეებს ემუქრება, როგორცაა დაბინძურება და ჭარბი თევზჭერა და ანოზიერება და შეუძლია ახსნას ოკეანის ზოგიერთი ეკოსისტემის მოწყვლადი ელემენტების რაობა, მათ შორის მარჯნის რიფებისა და მკვდარი ზონების რაობა. 5. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას ცოცხალი საზღვაო რესურსების მდგრადი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.
სწავლის ამოცანები - სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია იმსჯელოს თევზჭერის მდგრადი პრაქტიკის შესახებ. 2. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია იმსჯელოს ოკეანეებზე კაცობრიობის საქმიანობის გავლენის შესახებ (ბიომასის კარგვა, მკავიანობის მატება, დაბინძურება და ა.შ.) და ოკეანეების სუფთა და ჯანმრთელი გარემოს ღირებულების შესახებ. 3. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია გავლენა მოახდინოს ადამიანთა ჯგუფებზე, რომლებიც ოკეანეების პროდუქტების არამდგრად წარმოებასა და მოხმარებაში არიან ჩართული. 4. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია გააცნობიეროს საკუთარი კვებითი საჭიროებები და დაფიქრდეს უზრუნველყოფს თუ არა კვებასთან დაკავშირებული მისი ჩვევები ზღვის პროდუქტების შეზღუდული რესურსების მდგრად გამოყენებას. 5. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ემპათია გამოხატოს იმ ადამიანების მიმართ, რომელთა საარსებო წყაროზე გავლენას ახდენს თევზჭერის პრაქტიკაში ცვლილება.
სწავლის ამოცანები - ქცევითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია შეისწავლოს საკუთარი ქვეყნის დამოკიდებულება ზღვის რესურსებზე. 2. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია იმსჯელოს მეთოდებზე, რომლებიც ემსახურება მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას და როგორცაა თევზჭერაზე მკაცრი შეზღუდვები და მორატორიუმები გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე. 3. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ამოიცნოს, მოიპოვოს წვდომა და შეიმინოს ზღვის პროდუქტები, რომელთა მოპოვებაც წარმოებს მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით, მაგალითად, დამოწმებული ეკოლოგიური პროდუქტები. 4. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია კავშირი დაამყაროს მის წარმომადგენლებთან, ჭარბი თევზჭერის - როგორც ადგილობრივი საარსებო წყაროებისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის განხილვის მიზნით. 5. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია აწარმოოს კამპანია თევზჭერის აკრძალვის ზონებისა და საზღვაო ნაკრძალების გაფართოების და მათი დაცვის მიზნით, მეცნიერულად დადასტურებული ფაქტების საფუძველზე.

ჩანართი 1.2.14ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 14 - „წყალქვეშა რესურსები“ - რეკომენდებული თემები

ჰიდროსფერო: წყლის ციკლი, ღრუბლების წარმოქმნა, წყალი, როგორც კლიმატის ძირითადი მარეგულირებელი

საზღვაო რესურსების მართვა და გამოყენება (განახლებადი და არა განახლებადი ენერჯის წყაროები): საერთო სარგებლობის სფერო და ჭარბი თევზჭერა, კვოტები და როგორ ხდება მათზე მოლაპარაკება, აკვაკულტურა, ზღვის მცენარეები, მინერალური რესურსები

მდგრადი საზღვაო ენერჯია (განახლებადი ენერჯია, ქარის ტურბინები და მათთან დაკავშირებული პოლემიკა)

საზღვაო ეკოლოგია - კვების ქსელი, მტაცებლები და მათი ნადავლი, კონკურენცია, კოლაფსი

მარჯნის რიფები, სანაპიროები, მანგროს ტყეები და მათი ეკოლოგიური მნიშვნელობა

ზღვის დონის მატება და ქვეყნები, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ დაკარგავენ მიწებს ზღვის დონის მატების შედეგად; კლიმატის ცვლილების შედეგად წარმოქმნილი ლტოლვილთა ტალღა და რას ნიშნავს სუვერენიტეტის დაკარგვა

ოკეანეები და საერთაშორისო სამართალი: საერთაშორისო წყლები, ტერიტორიული დავები, ე.წ. „მოსახერხებელი დროშები“ და მათთან დაკავშირებული საკითხები

ოკეანის დამაბინძურებლები: პლასტმასი, მიკრობები, ჩამდინარე წყლები, საკვები ნივთიერებები და ქიმიკატები

ოკეანის ღრმა წყლები და ოკეანის ღრმა წყლებში მობინადრე არსებები

კულტურის დამოკიდებულება ზღვასთან - ზღვა, როგორც კულტურული ეკოსისტემის მომსახურების წყარო, როგორცაა დასვენება, შთაგონება და კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება

ჩანართი 1.2.14ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 14 - „წყალქვეშა რესურსები“

წყალქვეშა ცხოვრების შესახებ (ახალგაზრდული) პროექტის შემუშავება და გახორციელება

ექსკურსიების ორგანიზება სანაპირო ადგილებში

დებატები სკოლაში თევზჭერის შედეგად მიღებული რესურსების მდგრადი გამოყენების და მართვის შესახებ

როლური თამაში (ინსცენირება): კუნძულის მაცხოვრებლები იძულებული არიან დატოვონ საკუთარი საცხოვრებელი ტერიტორია, ზღვის დონის მატების გამო

კონკრეტული შემთხვევების შესწავლა: სხვადასხვა ქვეყანაში ზღვასთან კულტურული დამოკიდებულებები და მისი, როგორც საარსებო წყაროს გამოყენება

ლაბორატორიული ექსპერიმენტების წარმოება, მოსწავლეებისათვის/სტუდენტებისათვის ოკეანის მჭავიანობის დონის ზრდის შესახებ მტკიცებულებების მისაწოდებლად

კვლევაზე დაფუძნებული პროექტი: „ჩვენ გვჭირდება ოკეანე, თუ ოკეანეს ვჭირდებით ჩვენ?“



1.2.15. მდგრადი განვითარების მიზანი 15 [დედამიწის ეკოსისტემები] ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მათი რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფა, ტყეების მდგრადი მართვა, გაუდაბნოების შეჩერება და მიწისა და ნიადაგის დეგრადირების შეჩერება და დეგრადირებული მიწისა და ნიადაგის აღდგენა და ბიომრავალფეროვნების შემცირების შეჩერება

ცხრილი 1.2.15. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 15 „დედამიწის ეკოსისტემები“	
სწავლის ამოცანები შემცნებითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ზოგად ცოდნას ეკოლოგიის შესახებ, მათ შორის ადგილობრივი და გლობალური ეკოსისტემების შესახებ, მას შეუძლია ადგილობრივი სახეობების იდენტიფიცირება და ფლობს ინფორმაციას ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ. 2. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ინფორმაციას იმ მრავალფეროვანი საფრთხეების შესახებ, რომლებიც ბიომრავალფეროვნებას ემუქრება, მათ შორის ჰაბიტატების დაკარგვა, ტყეების გაჩეხვა-განადგურება, დანაწევრება, გადამეტებული ექსპლუატაცია და ინვაზიური სახეობები, და შეუძლია დაუკავშიროს ისინი ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებას. 3. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია დაახარისხოს ადგილობრივ ეკოსისტემებთან დაკავშირებული სერვისები, როგორცაა დამხმარე, მომარაგებითი, მარეგულირებელი და კულტურული სერვისები და ეკოსისტემების სერვისები კატასტროფის რისკის შემცირების მიზნით. 4. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ნიადაგის აღდგენის პროცესი ნელა მიმდინარეობს, იმ მრავალი საფრთხის არსებობის ფონზე, რომელიც ანადგურებს და ფიტავს მას ისე სწრაფად, რომ ნიადაგი ვერ ახერხებს თვითაღდგენას, მაგალითად, არაგონივრული მიწათმოქმედება ან სატყეო პრაქტიკა. 5. მოსწავლე/სტუდენტს ესმის, რომ ბუნების კონსერვაციის ჭეშმარიტი და ეფექტური სტრატეგიები არა მხოლოდ ბუნების ნაკრძალებს უნდა მოიცავდეს, არამედ უნდა ემსახურებოდეს ბუნების დაცვას მათ მიღმა, და უნდა მოიცავდეს კანონმდებლობის გაუმჯობესებას, დეგრადირებული ჰაბიტატებისა და ნიადაგის აღდგენას, ეკოლოგიური დერეფნების შექმნას, მდგრადი სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობების დანერგვას და ბუნებასთან ადამიანის ჰარმონიული ურთიერთობის აღდგენას.
სწავლის ამოცანები სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია გაილაშქროს ეკოლოგიის დამანგრეველი პრაქტიკის წინააღმდეგ, რომელიც იწვევს ბიომრავალფეროვნების კარგვას. 2. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია გამოვიდეს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების დასაცავად, სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ეკოსისტემების სერვისებისა და ღირებულების ჩათვლით. 3. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ადგილობრივ ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთობა და თანაგრძნობის გამოჩენა ცოცხალი ბუნების მიმართ. 4. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ექვევებ დააყენოს ადამიანსა და ბუნებას შორის დუალიზმი და აცნობიერებს, რომ ადამიანი ბუნების ნაწილია და არა ბუნებისგან დამოუკიდებელი არსება. 5. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ჩამოაყალიბოს ბუნებასთან ჰარმონიული თანარსებობის ხედვა.
სწავლის ამოცანები ქცევითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია კავშირი დაამყაროს ადგილობრივ ჯგუფებთან, რომლებიც მუშაობენ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიმართულებით. 2. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ეფექტურად ისარგებლოს საკუთარი ხმის უფლებით ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც ქალაქებსა და სოფლებს ბუნებასთან უფრო აახლოვებს, ეკოლოგიური დერეფნების, აგროეკოლოგიური სქემების, აღდგენითი ეკოლოგიის და ა.შ. საშუალებით. 3. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია იმუშაოს ხელისუფლებასა და პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან, ბიომრავალფეროვნების, ბუნების დაცვისა და შესაბამისი პოლიტიკის პრაქტიკაში გახორციელებისათვის საჭირო კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით. 4. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ისაუბროს ნიადაგის, როგორც ჩვენი არსებობისთვის აუცილებელი საკვების მიღების საშუალების მნიშვნელობაზე და ნიადაგის აღდგენის ან ნიადაგის გამოფიტვის შეჩერების მნიშვნელობაზე. 5. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია აწარმოოს კამპანია სახეობის ექსპლუატაციის შესახებ საერთაშორისო მასშტაბით ცნობიერების ამაღლების მიზნით და იმუშაოს „საფრთხის წინაშე მყოფი ფლორისა და ფაუნის ველური სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) რეგულაციების დანერგვისა და განვითარების მიმართულებით.

ჩანართი 1.2.15ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 15 - „დედამიწის ეკოსისტემები“ - რეკომენდებული თემები

ეკოლოგია: კონკურენცია, მტაცებელი-ნადავლი, საზოგადოების დინამიკა, ენერჯის დინება საკვების ქსელებში, განაწილება და დიაპაუზონი. სპეციფიკური ეკოსისტემები - ადგილობრივი და გლობალური ეკოსისტემები და ასევე ადამიანის მიერ შექმნილი, მაგალითად, მართული სატყეო განაშენიანება

საფრთხეები რომლებიც ემუქრება ბიომრავალფეროვნებას: ჰაბიტატების დაკარგვა, ტყეების გაჩეხვა, დანაწევრება, ინვაზიური სახეობები და ჭარბი ექსპლუატაცია (გამოწვეული არამდგრადი წარმოებისა და მოხმარების პრაქტიკით, არამდგრადი ტექნოლოგიებით და ა.შ.)

გადაშენების საფრთხეები: ინდივიდუალურად გადაშენების პირას მყოფი სახეობები, როგორ არის სამუდამოდ გადაშენება, დრო, რომელიც სახეობების ჩამოყალიბებას სჭირდება და ექვსი მასობრივი გადაშენება

ველური ბუნების აღდგენა და ადამიანების როგორც ბუნების გადამრჩენელი ძალის აღქმა

კლიმატის ცვლილება და ბიომრავალფეროვნება, ეკოსისტემები, როგორც ნახშირბადის საცავები, კატასტროფების რისკის შემცირება და ეკოსისტემები (ეკოსისტემები, როგორც ბუნებრივი საფრთხეების ბუნებრივი ბარიერები)

ნიადაგი და მისი ფორმირება და სტრუქტურა

გაუდაბნობა, ტყეების განადგურება და მათთან ბრძოლის ძალისხმევა

ადამიანის კავშირი ბუნებასთან – ადამიანი ბუნებაზე დამოკიდებული არსება

ეკოსისტემებთან დაკავშირებული სერვისები (როგორცაა დამხმარე, მომარაგებითი, მარეგულირებელი და კულტურული სერვისები)

ევოლუცია და გენეტიკა, გენეტიკური რესურსები, ეთიკა

ჩანართი 1.2.15ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 15 - „დედამიწის ეკოსისტემები“

ადგილობრივი ტერიტორიის რუკის შედგენა, რომელზეც აღნიშნული იქნება ცოცხალი ბუნების სხვადასხვა პოპულაციების სამყოფელი და, ასევე ბარიერები, როგორცაა ბარიერები, რომლებიც იწვევს პოპულაციის გაფანტვას, მაგალითად, გზები და ინვაზიურ სახეობათა პოპულაციები

ბიობლიცის წარმოება - ყოველწლიურად ერთი დღის გამოყოფა, რომლის დროსაც საზოგადოების წევრები იკრიბებიან, რათა რაც შეიძლება მეტი სხვადასხვა სახეობა აღრიცხონ მოცემულ რეგიონში

კომპოსტირების სადემონსტრაციო სამუშაო შეხვედრის ორგანიზება, რომლის დროსაც მოსწავლეები/სტუდენტები ეხნობიან თუ როგორ წარმოებს ორგანული მასალის ფორმირება

ექსკურსიის ორგანიზება ახლომდებარე პარკში კულტურული მიზნებისთვის, მაგალითად, დასვენება, მედიტაცია, ხელოვნება

ქალაქის ტერიტორიაზე ცხოველებისათვის განკუთვნილი ფუნქციური ბაღის გაშენება, მაგალითად, ფუტკრების საზრდო ყვავილების დარგვა, მწერთა საბუდარების შექმნა, გუბეების მოწყობა და ა.შ.

დედამიწის დღის (22 აპრილი) და/ან გარემოსდაცვის დღის (5 ივნისი) აღნიშვნა

კვლევაზე დაფუძნებული პროექტი: „რატომ არის ბიომრავალფეროვნება ესოდენ მნიშვნელოვანი?“



1.2.16. მდგრადი განვითარების მიზანი 16 [მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები]
 მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასთვის და ეფექტური, ანგარიშვალდებულებული და ინკლუზიური ინსტიტუტების შექმნა ყველა დონეზე

ცხრილი 1.2.16. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 16 „მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“	
სწავლის ამოცანები - შემეცნებითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს სამართლიანობის, ინკლუზიის და მშვიდობის ცნებებსა და კანონთან მათ ურთიერთდამოკიდებულებას. 2. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას ადგილობრივი და ეროვნული საკანონმდებლო და მმართველი სისტემების შესახებ, და აცნობიერებს, რომ შესაბამისი ორგანოები, სხვა რიგით მოქალაქეებთან ერთად, წარმოადგენენ მას და რომ მათი მოსყიდვა შესაძლებელია. 3. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია ერთმანეთს შეადაროს მისი ქვეყნისა და სხვა ქვეყნების მართლმსაჯულების სისტემები. 4. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს ინდივიდუალური პირებისა და ადამიანთა ჯგუფების მნიშვნელობას მართლმსაჯულების აღსრულების, ინკლუზიურობის უზრუნველყოფისა და მშვიდობის დაცვის საქმეში, და ძლიერი ინსტიტუტების მხარდაჭერის საქმეში, როგორც საკუთარ ქვეყანაში ასევე საერთაშორისო მასშტაბით. 5. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჩარჩოს მნიშვნელობას.
სწავლის ამოცანები - სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია კავშირი დაამყაროს სხვა პირებთან, რომლებიც დაეხმარებიან მას ქვეყანაში მშვიდობის, სამართლიანობის, ინკლუზიისა და ძლიერი ინსტიტუტების შექმნა-განვითარებაში. 2. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია იმსჯელოს ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით მშვიდობის, სამართლიანობის, ინკლუზიის და ძლიერი ინსტიტუტების შესახებ. 3. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია გამოავლინოს ემპათია და სოლიდარობა უსამართლობის მსხვერპლთა მიმართ, საკუთარ ქვეყანაში, და, ასევე, სხვა ქვეყნებში. 4. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია გააცნობიეროს და გააანალიზოს საკუთარი როლი მშვიდობის, სამართლიანობის, ინკლუზიის უზრუნველყოფისა და ძლიერი ინსტიტუტების შექმნა-ჩამოყალიბების საქმეში. 5. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია გააცნობიეროს საკუთარი პირადი კუთვნილება სხვადასხვა ჯგუფებისადმი (გენდერული, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნიკური, ეროვნული, შესაძლებლობების მიხედვით, სექსუალური ორიენტაციის მიხედვით და ა.შ.), ამ ჯგუფებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული სიტუაცია და მათ მიერ კაცობრიობის ნაწილად საკუთარი თავის აღქმის მიმართულებით არსებული სიტუაცია.
სწავლის ამოცანები - ქცევითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს საკუთარ რეგიონში, ქვეყანაში ან გლობალურ დონეზე, მშვიდობის, სამართლიანობის, ინკლუზიისა და ძლიერი ინსტიტუტების თვალსაზრისით არსებული სიტუაცია. 2. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია საჯაროდ მოითხოვოს და მხარი დაუჭიროს მშვიდობის, სამართლიანობის, ინკლუზიისა და ძლიერი ინსტიტუტების ხელშეწყობი პოლიტიკის შემუშავებას. 3. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია იმუშაოს ჯგუფებთან, რომლებიც ამჟამად უსამართლობის მსხვერპლს წარმოადგენენ ან კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ პირებს წარმოადგენენ. 4. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია, ადგილობრივად წარმოებულ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მონაწილეობითა და უსამართლობის წინააღმდეგ გალაშქრების საშუალებით, გახდეს რეალური ცვლილებების შემოქმედი. 5. მოსწავლე/სტუდენტს შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს ადგილობრივ თუ ეროვნულ დონეზე მიმდინარე კონფლიქტის მოგვარებაში.

ჩანართი 1.2.16ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 16 - „მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“ - რეკომენდებული თემები

მართლმსაჯულების განმარტებები: სადამსჯელო მართლმსაჯულება და სარეაბილიტაციო მართლმსაჯულება

დანაშაული და სასჯელი, მთელ მსოფლიოში არსებული კანონებისა და სასჯელების ერთმანეთთან შედარება

კლიმატთა ნაკავშირებული მართლმსაჯულება

სავაჭრო მართლმსაჯულება

ბავშვის შრომა და ბავშვების ექსპუატაცია

ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებიც დაკავშირებულია ომთან, მშვიდობასთან და ლტოლვილებთან, კორუფციასა და მის საზომთან

იარაღით უკანონო ვაჭრობა ნარკომანია და ნარკოტიკებით ვაჭრობა

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და მისი როლი და ფუნქციები

ჩანართი 1.2.16ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 16 - „მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები“

როლური თამაში (ინსცენირება)სხვადასხვა ადამიანის შესახებ, რომლებიც უსამართლობის მსხვერპლი ხდებიან

სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სხვადასხვა რელიგიათა წარმომადგენლებს შორის დიალოგის გამართვა, სამართლიანობასა და თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე

ექსკურსიის ორგანიზება ადგილობრივ სასამართლოსა ან პოლიციის განყოფილებაში

სკოლაში პოსტერის დამზადება თემაზე: „სამართლიანობა“

სამართლიანობისა და მართლმსაჯულების შესახებ მსჯელობა, ისტორიულ და კულტურულ ჭრილში, მაგალითად, იძულებით გაუჩინარებულნი არგენტინაში, აპარტიდი სამხრეთ აფრიკაში და ა.შ. და რა და როგორ გაკეთდა სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით

მშვიდობის საერთაშორისო დღის (21 სექტემბერი) აღნიშვნა

კვლევაზე დაფუძნებული პროექტი: „როგორი იქნება მსოფლიო, ყველგან რომ მშვიდობა სუფევდეს?“



1.2.17. მდგრადი განვითარების მიზანი 17 [თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის] მდგრადი განვითარების მიმართულებით გლობალური პარტნიორობის გახორციელებისა და გაძლიერების ხელშეწყობა

ცხრილი 1.2.17. სწავლის ამოცანები მდგრადი განვითარების მიზნისთვის 17 „თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის“	
სწავლის ამოცანები - შემეცნებითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას გლობალური საკითხების შესახებ, მათ შორის განვითარების დაფინანსებასთან, დაბეგვრასთან, ვალსა და სავაჭრო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, სხვადასხვა ქვეყნებსა და მოსახლეობებს შორის ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. 2. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს გლობალური მასშტაბით მრავალ დინტერესებული მხარეებს შორის პარტნიორობის მნიშვნელობასა და საერთო ანგარიშვალდებულებას მდგრადი განვითარებისათვის და ფლობს ინფორმაციას გლობალური პარტნიორობის ქსელების, ინსტიტუტების და კამპანიების შესახებ. 3. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას გლობალური მმართველობისა და გლობალური მოქალაქეობის ცნებების შესახებ. 4. მოსწავლე/სტუდენტი აცნობიერებს მეცნიერული მიმართულებით თანამშრომლობის მნიშვნელობას, გარდა ამისა, მაცნობიერებაზე, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე წვდომისა და ცოდნის ურთიერთგაზიარების მნიშვნელობას. 5. მოსწავლე/სტუდენტი ფლობს ცოდნას მდგრადი განვითარების მიმართულებით პროგრესის შეფასების მექანიზმების შესახებ.
სწავლის ამოცანები - სოციალურ-ემოციური განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია იზრუნოს მდგრადი განვითარებისათვის გლობალური პარტნიორობის მნიშვნელობის შესახებ ცნობადობის ამაღლებაზე. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ითანამშრომლოს სხვა პირებთან მდგრადი განვითარებისათვის გლობალური პარტნიორობის ხელშესაწყობად და მოითხოვოს მთავრობების ანგარიშვალდებულება მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებასთან დაკავშირებით. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გაითავისოს მდგრადი განვითარების მიზნები. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ჩამოაყალიბოს მდგრადი გლობალური საზოგადოების ხედვა. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გააცნობიეროს კაცობრიობისადმი საკუთარი კუთვნილება, გაიზიაროს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ღირებულებები და პასუხისმგებლობა.
სწავლის ამოცანები - ქცევითი განზომილება	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია იქცეს ცვლილებების ჭეშმარიტ შემოქმედად და საკუთარი წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითარებისათვის მიზნების რეალიზებაში, როგორც აქტიურმა, კრიტიკულად მოაზროვნე, და გლობალური და მდგრადი საზოგადოების წარმომადგენელმა და მოქალაქემ. 2. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითარებისათვის ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური პარტნიორობის ხელშეწყობასა და გახორციელებაში. 3. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია საჯაროდ მოითხოვოს და მხარი დაუჭიროს მდგრადი განვითარებისათვის გლობალური პარტნიორობის ხელშეწყობი პოლიტიკის შემუშავებას. 4. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია ხელი შეუწყოს განვითარების მიმართულებით თანამშრომლობის ფარგლებში გახორციელებულ აქტივობებს. 5. მოსწავლეს/სტუდენტს შეუძლია გავლენა მოახდინოს კომპანიებზე, მდგრადი განვითარებისათვის გლობალურ პარტნიორობაში მონაწილეობის მიზნით.

ჩანართი 1.2.17ა. მდგრადი განვითარების მიზნისთვის 17 - „თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის“ - რეკომენდებული თემები

გლობალური პარტნიორობა მთავრობებს, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, მდგრადი განვითარების მიზნით, მათი საერთო ანგარიშვალდებულება და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის შესაძლო კონფლიქტები

ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური სისტემები, სტრუქტურები და ძალთა დინამიკა

გლობალური მმართველობა და პოლიტიკა, გლობალური ბაზარი და ვაჭრობის სისტემა, მდგრადი განვითარების ჭრილში

პატიმართა დილემა¹¹ და საერთო სარგებლობის რესურსების ტრაგედია¹² - მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად გლობალური მმართველობისა და ბაზრის შექმნასთან დაკავშირებული გამოწვევა

გლობალური მოქალაქეობა და მოქალაქეები, როგორც მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭირო ცვლილებების შემოქმედები

მეცნიერული მიმართულებით თანამშრომლობა, მაცნიერებაზე, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე წვდომა და ცოდნის ურთიერთგაზიარება

ინტერნეტზე წვდომის გლობალური გადანაწილება

თანამშრომლობა განვითარების მიმართულებით, განვითარების ხელშეწყობა და დამატებითი ფინანსური რესურსები განვითარებადი ქვეყნებისათვის, სხვადასხვა წყაროდან

შესაძლებლობების გაფართოება, მდგრადი განვითარების ყველა მიზნის რეალიზებასთან დაკავშირებული ეროვნული გეგმების განხორციელების ხელშესაწყობად

მდგრადი განვითარების მიმართულებით მიღწეული პროგრესის საზომი კრიტერიუმები

ჩანართი 1.2.17ბ. პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების ნიმუშები - მდგრადი განვითარების მიზნისთვის 17 „თანამშრომლობა საერთო მიზნებისთვის“

პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ სკოლებს, უნივერსიტეტებსა და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტებს შორის, (სამხრეთ და ჩრდილოეთი, სამხრეთი და სამხრეთი) და/ან გლობალური დისტანციური განათლების პრაქტიკის დანერგვა

კლიმატის ცვლილებასთან, ბიომრავალფეროვნებასთან და ა.შ. დაკავშირებული გლობალური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ანალიზი

როგორც გლობალური მასშტაბით, ასევე ეროვნულ დონეზე, მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზაციის მიმართულებით მიღწეული პროგრესის ანალიზი, და იმ უწყებების იდენტიფიცირება, რომელთა დამსახურებაც არის მიღწეული პროგრესი, ან რომლებიც პასუხისმგებელია ამ მიმართულებით პროგრესის არარსებობაზე

მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობადობის ამაღლების კამპანიის დაგეგმვა და წარმოება

სიმულაციური თამაში: გლობალური კონფერენციის ფარგლებში მოლაპარაკების წარმოება (მაგალითად, გაეროს მოდელით)

მდგრადი განვითარების მიზნებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ (ახალგაზრდული) პროექტის შემუშავება და გახორციელება

კვლევაზე დაფუძნებული პროექტი: „ერთად ჩვენ ამას შევძლებთ... ხშირად გამოყენებული ამ ფრაზის ანალიზი და როგორ ესადაგება იგი მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებულ ძალისხმევას“

¹¹ <http://www.prisoners-dilemma.com>

¹² <http://www.econlib.org/library/Enc/TragedyoftheCommons.html>

2.

მდგრადი განვითარების მიზნებისათვის განათლება,

მდგრადი განვითარებისთვის განათლების

საშუალებით

2. მდგრადი განვითარების მიზნებისათვის განათლება, მდგრადი განვითარებისთვის განათლების საშუალებით

მდგრადი განვითარებისათვის განათლება ემსახურება შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური და ქცევითი განზომილებების მიმართულებით ზემოთ აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევას, ასევე, იმ გამჭოლი ძირითადი კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც საჭიროა მდგრადი განვითარების ყველა მიზნის მიღწევისთვის. წინამდებარე სახელმძღვანელოს მესამე ნაწილში გთავაზობთ რეკომენდაციებს მდგრადი განვითარებისათვის განათლების დანერგვისა და გახორციელებისთვის საჭირო სტრატეგიების შესახებ და შესაბამის საილუსტრაციო მაგალითებს.

გამოყენებული მიდგომა ემსახურება განათლების სისტემაში მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვას და მის მეინსტრიმინგს, რომელიც მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის მე-7 ამოცანაშია ჩამოყალიბებული: „რამდენად არის ჩართული (i) გლობალური მოქალაქეობის სწავლება და (ii) მდგრადი განვითარებისათვის განათლება, მათ შორის განათლება, რომელიც ემსახურება გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, (ა) განათლების ეროვნულ პოლიტიკაში, (ბ) სასწავლო პროგრამებსა და გეგმებში, (გ) მასწავლებელთა განათლებასა და (დ) მოსწავლეთა შეფასებაში” (უწყებათაშორისი ექსპერტთა ჯგუფი - მდგრადი განვითარების მიზნები, 2016: 7). ტექსტი პირველ რიგში მოიცავს პოლიტიკის როლის აღიარებას და, მასში ასევე დასახელებულია საკითხები, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული პოლიტიკის წარმატებით გატარებისათვის, სტრატეგიების დანერგვისა და შესაბამისი პროგრამების ხელშეწყობისათვის. გარდა ამისა, მასში მითითებულია, რომ მდგრადი განვითარებისათვის განათლება ექვემდებარება სასწავლო პროგრამებსა და გეგმებში ჩართვას და ის, თუ როგორ უნდა გახორციელდეს მისი ჩართვა ამ პროგრამებსა და გეგმებში; განსაზღვრულია მასწავლებელთა როლი მდგრადი განვითარებისათვის განათლების ხელშეწყობის საქმეში და აღწერილია, თუ რა შესაძლებლობები არსებობს ამ მიმართულებით. დამატებით, აღნიშნულია, რომ ერთიანი ინსტიტუციური მიდგომა და ქმედებაზე ორიენტირებული ტრანსფორმაციული პედაგოგიკა წარმოადგენს მდგრადი განვითარებისათვის განათლების მიწოდების ძირითად მამოძავებელ ძალას, იქნება ეს საკლასო გარემოში თუ საკლასო გარემოდან განსხვავებულ გარემოში. დაბოლოს, განხილულია საკითხი, თუ როგორ უნდა იქნას წარმოებული სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროგრამის ხარისხის შეფასება, მდგრადი განვითარებისათვის განათლების კონტექსტში.

2.1. მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვა პოლიტიკაში, სტრატეგიებსა და პროგრამებში

პოლიტიკა ფორმალურ, არაფორმალურ და ფორმალურისგან განსხვავებულ ყველა სასწავლო პროგრამაში მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. ჩვენ გვჭირდება შესაბამისი და თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს განათლების სისტემებში ცვლილების შეტანას. მთელ მსოფლიოში, განათლების სამინისტროებს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრება მდგრადი განვითარების მიმართულებით მომავალ გამოწვევებზე სათანადო რეაგირებისათვის განათლების სისტემების მომზადებაში. სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნული მოიცავს მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვას სასწავლო პროგრამებსა და გეგმებში და ხარისხის ეროვნულ სტანდარტებში, და ასევე, შესაბამისი მაჩვენებლების ჩარჩოების შემუშავებას, რომლებიც სწავლის შედეგების სტანდარტების დადგენას უზრუნველყოფს.

მდგრადი განვითარებისათვის განათლების მონიტორინგი და შეფასება გვიჩვენებს, რომ ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს განათლების პოლიტიკაში მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვის მიმართულებით (იხ. ჩანართი 2.1.1). ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს განათლების პოლიტიკაში საჭირო ცვლილებების შეტანის პროცესი (იხ. ჩანართში 2.1.2 მოცემული ორი მაგალითი), თუმცა ამ

მიმართულებით წინსვლა შეუფერხებლივ არ მიმდინარეობს (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014a).

აღნიშნულის გათვალისწინებით, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მდგრადი განვითარებისათვის განათლების გლობალური სამოქმედო პროგრამის პირველ პრიორიტეტს წარმოადგენს მოწოდება “პოლიტიკის დახვეწის მიმართულებით: მდგრადი განვითარებისათვის განათლების მენისტრამინგი და მისი ჩართვა როგორც განათლების ასევე მდგრადი განვითარების პოლიტიკაში, რაც ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარებისათვის განათლების უზრუნველსაყოფად სათანადო გარემოს შექმნას და საჭირო სისტემური ცვლილებების დაწესებას“ (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014b). სისტემური ცვლილებების ინიცირებისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი და თანმიმდევრული პოლიტიკის დაწესებას, რომლის შემუშავებაზეც პასუხისმგებელი არიან განათლების სამინისტროები, რაც უნდა გახორციელდეს კერძო სექტორთან, ადგილობრივ თემებთან, სამეცნიერო წრეებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით. სექტორებს შორის თანამშრომლობისა და მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით გაღებული ძალისხმევა საჭიროებს უფრო მეტ კოორდინაციასა და გაძლიერებას. მდგრადი განვითარებისათვის განათლების “ჩართვა საჭიროა ქვეეროვნულ, ეროვნულ, ქვერეგიონულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე არსებულ და დაწესებულებებს და განათლებასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ პოლიტიკის ჩარჩოებში, გეგმებში, სტრატეგიებში, პროგრამებსა და პროცესებში“ (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014b: 17).

მდგრადი განვითარებისათვის განათლება, აძლევს რა მოსწავლეებს/სტუდენტებს საშუალებას იცხოვრონ და იმოღვაწიონ ცვალებად მსოფლიოში, სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებას უწყობს ხელს. შესაბამისად, განათლების პოლიტიკაში, მდგრადი განვითარებისათვის განათლება მიჩნეული უნდა იყოს განათლების ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვან ხელშემწყობ ელემენტად და, გამომდინარე აქედან, განათლების ეროვნული სისტემის ხარისხის შეფასების მაჩვენებლები უნდა მოიცავდეს მდგრადი განვითარებისათვის განათლებას. ეროვნული თუ საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც ეხება მდგრადი განვითარების სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით განზომილებებს, დაწყებული სიღარიბის შემცირების სტრატეგიებითა და კატასტროფათა მართვის გეგმებით და დამთავრებული ატმოსფეროში ნახშირბადის შემცირების სტრატეგიებით, უნდა ემყარებოდეს და მოიცავდეს მდგრადი განვითარებისათვის განათლებას, როგორც პოლიტიკის გახორციელების საშუალებას. მდგრადი განვითარებისათვის განათლება, ასევე, სისტემატურად უნდა იყოს ჩართული განვითარების მიმართულებით ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ჩარჩოებში (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014b).

სხვა საკითხებთან შედარებით, ზოგიერთი საკითხი მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევა, მდგრადი განვითარებისათვის განათლების პოლიტიკის წარმატებით გახორციელების ხელშეწყობის საქმეში (იხ. ჩანართი 2.1.3).

ჩანართი 2.1.1. მდგრადი განვითარებისათვის განათლების პოლიტიკის სრულყოფა

როგორც გლობალური სამხრეთის, ასევე გლობალური ჩრდილოეთის მთელი რიგი ქვეყნების მთავრობების მიერ გატარებული პოლიტიკა გულისხმობს ფორმალური და არაფორმალური განათლების სისტემებში მდგრადი განვითარებისათვის განათლებისა და/ან მასთან დაკავშირებული ისეთი საგანმანათლებლო კონცეფციების ჩართვას, როგორცაა მაგალითად განვითარებისათვის განათლება, მშვიდობისათვის განათლება, გლობალური მოქალაქეობისათვის განათლება, ადამიანის უფლებების სწავლება და გარემოსდაცვითი განათლება.

მდგრადი განვითარებისათვის განათლება გლობალური პოლიტიკური დისკურსის მნიშვნელოვან

შემადგენელ ნაწილად იქცა.

მდგრადი განვითარებისათვის განათლება იქცა იმ ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური პოლიტიკის ნაწილად, რომელიც მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს (მაგალითად, კლიმატის ცვლილებას) ეხება.

მდგრადი განვითარება და განათლების პოლიტიკა დღითიდღე უფრო მეტად ერწყმის ერთმანეთს.

წყარო: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) (2014a)

ჩანართი 2.1.2. მდგრადი განვითარებისათვის განათლების პოლიტიკაში ინტეგრირების კარგი პრაქტიკის მაგალითები - ქვეყნების გამოცდილება

კოსტა-რიკა – მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვა მდგრადი განვითარების პოლიტიკაში - წარმატებული პრაქტიკის მაგალითი

“2006 წელს, კოსტა რიკამ დაადასტურა ეროვნული მზადყოფნა მდგრადი განვითარებისათვის განათლების ათწლეულში ჩართვის მიმართულებით, განაცხადა რა თანხმობა განათლება განეხილა როგორც მდგრადი განვითარების მიმართულებით კულტურული ცვლილებების განუყოფელი ასპექტი და ხელი შეეწყო გარემოსდაცვითი განათლების სხავდასხვა საგნებში ჩართვისთვის, ტრანსდისციპლინარული თემების სახით. ცუნეკისა და შოუს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც 2021 წლისათვის ატმოსფეროში ნახშირბადის ემისიის შემცირებაზე უკანასკნელ დროს დანერგილი პოლიტიკის გავლენას ეძღვნებოდა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს კოსტა რიკის ნახშირბადზე ყველაზე ნაკლებად დამოკიდებულ ქვეყანად ქცევა, გაკეთდა დასკვნა, რომ 2021 წლისათვის ატმოსფეროში ნახშირბადის ემისიის შემცირების პროგრამამ მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქონია კოსტა რიკას განათლების სექტორზე, რადგან მან ხელი შეუწყო არსებული გარემოსდაცვითი განათლების გამდიდრებას, მასში მდგრადი განვითარებისათვის განათლებისა და კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლების ჩართვით” (Tsuneki and Shaw). კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული უახლესი ყოვლისმომცველი ეროვნული ინსტრუმენტი, კლიმატის ცვლილების ეროვნული სტრატეგია (Estrategia Nacional de Cambio Climático) მიზნად ისახავს შესაძლებლობების განვითარებასა და საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას, განათლებასა და კულტურაში საჭირო ცვლილებების შეტანას, გარემოსდაცვითი წიგნიერების ამაღლების მიზნით. კოსტა რიკას მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ უწყობს ხელს მდგრადი განვითარების პოლიტიკაში მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვა განათლების სისტემაში საჭირო ცვლილებების გახორციელებას”.

კენია – განათლების პოლიტიკაში მდგრადი განვითარებისათვის განათლების წარმატებით ჩართვის მაგალითი

“კენიის მდგრადი განვითარებისათვის განათლების დანერგვის სტრატეგია, რომელიც 2008 წელს იქნა მიღებული, აღიარებს, რომ ‘განვითარებისათვის საჭირო ხარისხიანი განათლებისა და პროფესიული მომზადების’ უზრუნველსაყოფად, განათლება ხელს უნდა უწყობდეს პროდუქტიული და სოციალურად პასუხისმგებელი ინდივიდუალური პირების ჩამოყალიბებას. მდგრადი განვითარებისათვის განათლების აღნიშნული სტრატეგიის მიზანს წარმოადგენდა ისეთი სწავლისა და სწავლების ხელშეწყობა, რომელიც, სხვა მიზნების პარალელურად, უზრუნველყოფს ახალგაზრდებში ისეთი ღირებულებების, ქცევისა და ცხოვრების სტილის ჩანერგვას, რომელიც ემსახურება კარგი მმართველობის დამკვიდრებასა და მდგრად განვითარებას. 2012 წელს, კენიაში, კენიის სასწავლო პროგრამებისა და გეგმების შემუშავების ინსტიტუტის ხელშეწყობით, შემუშავდა მდგრადი განვითარებისათვის განათლების ეროვნული პოლიტიკის ჩარჩო, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული დამხმარე მასალების საშუალებით. მდგრადი განვითარებისათვის განათლება ასევე შეტანილი იქნა განათლების ეროვნული პროგრამის ხუთწლიან გეგმაში (2013–2018 წწ.), და იგი ასევე წარმოადგენს 2030 წლისათვის, მდგრადი განვითარების რეალიზაციის მიმართულებით კენიის ხედვის მნიშვნელოვან ნაწილს, რაც ადასტურებს მდგრადი განვითარების ეროვნული მიზნებისკენ სწრაფვის მნიშვნელობას”.

წყარო: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) (2014a: 50, 52)

ჩანართი 2.1.3. მდგრადი განვითარებისათვის განათლების ხელშეწყობის პოლიტიკის წარმატებით დანერგვის განმაპირობებელი ფაქტორები

უზრუნველყოფილი უნდა იყოს სრული შესაბამისობა განათლების სექტორის პოლიტიკასა და მდგრადი განვითარების სექტორის პოლიტიკას შორის. მდგრადი განვითარების ადგილობრივი და ეროვნული მიზნებისა და სტრატეგიების განათლების პოლიტიკასთან შესაბამისობა განათლების სისტემების მდგრადი განვითარების სამსახურში ჩართვის მყარი გარანტიაა. საჭიროა მდგრადი განვითარებისათვის განათლების თანმიმდევრულად ჩართვა შესაბამისი სექტორებისა და ქვესექტორების პოლიტიკაში.

არ არსებობს მდგრადი განვითარებისათვის განათლების ერთი უნივერსალური მოდელი, რომელიც ყველა კონტექსტსა და გარემოს ერთნაირად ერგება. პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული კონტექსტი და გარემოსდავასთან და ეკოლოგიასთან დაკავშირებული კონკრეტული გამოწვევები უნდა წარმოადგენდეს მდგრადი განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველს. სწორედ ამის გამო, საჭიროა მდგრადი განვითარებისათვის განათლებისა და მასთან დაკავშირებული სწავლების მორგება ადგილობრივ თუ ეროვნულ კონტექსტზე.

მდგრადი განვითარებისათვის განათლება საჭიროებს მყარ პოლიტიკურ საფუძველს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მაკოორდინირებელი უწყებისა და შესაბამისი მექანიზმების არსებობა ხელს უწყობს მდგრადი განვითარებისათვის განათლების წარმატებით ჩართვას განათლების სისტემებში. შესაბამისად, პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს ამგვარი სტრუქტურების შექმნას სხვადასხვა დონეებზე. გარდა ამისა, სახელმწიფოს მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ მდგრადი განვითარებისათვის განათლების მიმართულებით მკაფიო მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბება.

მდგრადი განვითარებისათვის განათლების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელი პირების ჩამონათვალი არ შემოიფარგლება მხოლოდ ოფიციალური სამთავრობო ორგანიზაციებით, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ხშირად აქტიურად არიან ჩართული არაფორმალური და ფორმალურისგან განსხვავებული განათლების სექტორში. საერთაშორისო, ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ამ მიმართულებით გაღებულ ძალისხმევას, დაფინანსების უზრუნველყოფით, აგრეთვე ქსელების შექმნითა და სოციალური სწავლების პროცესების ხელშეწყობით.

წყარო: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) (2014a)

2.2. მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვა სასწავლო პროგრამებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებში

მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვა საჭიროა ყველა სასწავლო პროგრამასა და გეგმაში, მათ შორის სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილ, დაწყებითი და საშუალო განათლების, ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და ტრენინგის (TVET) და უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამებსა და გეგმებში. მდგრადი განვითარებისათვის განათლება სწავლებისა და სწავლის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს და არ უნდა განიხილებოდეს როგორც არსებული სასწავლო პროგრამებისა და გეგმების დანამატი. მდგრადი განვითარებისათვის განათლების მეინსტრუქტივი საჭიროებს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული თემების ჩართვას სასწავლო პროგრამებში, და ასევე, კონკრეტული, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას.

“სასწავლო გეგმა უნდა უზრუნველყოფდეს ყველა ბავშვის, მოზარდისა და ახალგაზრდის აღჭურვას არა მხოლოდ საბაზისო უნარებით, არამედ ასევე უნარებით, რომლებიც სხვადასხვა სიტუაციებში გამოიყენება და როგორცაა კრიტიკული აზროვნების უნარი, პრობლემის გადაჭრის უნარი, ადვოკატირებისა და კონფლიქტის მოგვარების უნარები, რაც უზრუნველყოფს მათ პასუხისმგებელ გლობალურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას“ (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014c: 36).

მდგრადი განვითარებისათვის განათლების საფუძველზე სასწავლო პროგრამების შემუშავება იქნება ჩვენი განათლების სისტემების შესაძლებლობების გაფართოების გარანტია, რომლებიც შეძლებს უზრუნველყოს ისეთი თაობის აღზრდა, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული მდგრადი განვითარების საქმეში“ (United Nations, 2012: para 230).

გაეროს მდგრადი განვითარებისათვის განათლების ათწლეულის მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოიკვეთა მდგრადი განვითარებისათვის განათლების სასწავლო პროგრამებში ჩართვის საუკეთესო პრაქტიკის ბევრი მაგალითი (იხ. ჩანართი 2.2.1). სასწავლო პროგრამების ოფიციალური დოკუმენტების შესწავლამ ცხადყო, რომ „ბევრი ქვეყანა განათლების მიზნებს შორის უკვე ასახელებს მდგრად განვითარებასა და/ან გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მიზნებს და განიხილავს მათ განათლების ძირითადი მიზნების რანგში“ (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014a: 30). მდგრადი განვითარებისათვის განათლების სასწავლო პროგრამებში წარმატებით ჩართვის თვალსაზრისით ლიდერობს დაწყებითი და საშუალო განათლება. „წევრ სახელმწიფოთა დაახლოებით 40% აღნიშნავს, რომ გაეროს მდგრადი განვითარებისათვის განათლების ათწლეულის ფარგლებში მათ ყველაზე თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენს მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვა ფორმალური განათლების სასწავლო პროგრამებში, გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოთა დაახლოებით მეხუთედის განცხადებით, სკოლების ფარგლებში გახორციელებული კონკრეტული პროექტები, მდგრადი განვითარებისათვის განათლების მიმართულებით მნიშვნელოვან წისნვლაზე მეტყველებს“ (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014a: 82).

ჩანართი 2.2.1. მდგრადი განვითარებისათვის განათლების სასწავლო პროგრამებში ჩართვის მაგალითები

მავრიკი - ეროვნული სასწავლო პროგრამების ჩარჩო

“მავრიკის კუნძულოვან სახელმწიფოში გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავება გახორციელდა 2008 წელს და მის მიზანს წარმოადგენდა, მსოფლიო მასშტაბით, მავრიკის სანიმუშო ქვეყნად წარმოჩენა, 2020 წლისათვის, მდგრადი განვითარების მიმართულებით მიღწეული პროგრესის თვალსაზრისით. განათლება ერთ-ერთია იმ ხუთი ძირითადი მიმართულებიდან, რომელსაც სახელმწიფო მის საყრდენად მიიჩნევს. მავრიკის კუნძულოვან სახელმწიფოში შექმნილია სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილია მრავალი დაინტერესებული მხარე და რომელიც მუშაობს განათლების ყველა საფეხურზე მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვის მიმართულებით. სამუშაო ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს განათლების სისტემის მდგრადი განვითარების სამსახურში ჩაყენება, განათლების ყველა საფეხურზე შესაძლებლობების გაფართოება და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების შესახებ ცნობადობის ამაღლება. მავრიკის მთავრობის განცხადებით, მდგრადი განვითარებისათვის განათლება უკვე წარმოადგენს ‘სასწავლო პროგრამათა ეროვნული ჩარჩოს ნაწილს, და, მავრიკის კუნძულოვანი სახელმწიფოს გრძელვადიანი პოლიტიკის ფარგლებში გახორციელებული საზოგადოებრივი პროექტის წყალობით, მდგრადი განვითარებისათვის განათლება წარმატებით დაინერგა ფორმალური და არაფორმალური განათლების ბევრ დაწესებულებაში და ორგანიზაციაში“. აღნიშნული პოლიტიკის შედეგად, სხვადასხვა სამინისტროებს შორის, როგორცაა გარემოსდაცვისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და განათლებისა და ადამიანური რესურსების განვითარების სამინისტრო, უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა მეტად ინტეგრირებული მიდგომის შემუშავების მიზნით. უკვე წარმოადგენს რა ქვეყანას, სადაც გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) ახორციელებს საპილოტე პროგრამას - კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლება მდგრადი განვითარების სამსახურში - მავრიკის კუნძულოვან სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა იქვეს სანიმუშო ქვეყნად მდგრადი განვითარებისათვის განათლების დანერგვის მიმართულებით, მას შემდეგ რაც სრულყოფილად იქნება დანერგილი და გახორციელებული მდგრადი განვითარების მიმართულებით სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პოლიტიკა.”

ტოგო - ხარისხიანი განათლება მდგრადი მომავლისთვის

„ტოგოში, საგანმანათლებლო პოლიტიკის ჩარჩო (Lakalaka) დაფუძნებულია ეროვნულ კულტურაზე და მოიცავს ახალ, მდგრადი განვითარებისათვის განათლებაზე ორიენტირებულ სასწავლო გეგმას,

სახელწოდებით „ხარისხიანი განათლება მდგრადი მომავლისთვის“.

ფინეთი - სკოლამდელი და საბაზო განათლების ძირითადი ეროვნული სასწავლო გეგმების რეფორმირება

„ფინეთი ახორციელებს სკოლამდელი და საბაზო განათლების ძირითადი ეროვნული სასწავლო გეგმების რეფორმირებას, რაც ემსახურება მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობის ხელშეწყობასა და წახალისებას, განათლების საშუალებით ღირებულების დანერგვის საფუძველზე; რეფორმის მიზანს წარმოადგენს მდგრადი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და ეკოლოგიური და სოციალური საკითხების წინა პლანზე წამოწევა. რეფორმა ემსახურება ყველა მოსწავლის ხელშეწყობას, რათა მათ შეძლონ შეიძინონ ის ცოდნა, უნარები, ღირებულებები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ დაეხმარება მდგრადი მომავლის მნიშვნელობის გაცნობიერებაში“.

მანიტობა, კანადა - წარმატებული ხელმძღვანელობის მოდელი

“მანიტობაში, მდგრადი განვითარებისათვის განათლება მთავრობის პრიორიტეტულ საკითხთა ჩამონათვალშია შეტანილი და დაწყებითი და საშუალო განათლების საერთო მიზნების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ამჟამად მთავრობის პოლიტიკა ემსახურება იმის უზრუნველყოფას, რომ მანიტობაში მცხოვრები ყველა ბავშვი და ახალგაზრდა სარგებლობდეს განათლების მიმართულებით მათთვის შეთავაზებული უამრავი შესაძლებლობით და წარმატებული გამოცდილება მიიღოს შესაბამისი და მაღალი ხარისხის განათლებაში ჩართულობის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისა და დემოკრატიული, სოციალურად სამართლიანი და მდგრადი საზოგადოების მოქალაქეობისათვის მათ მომზადებას”. აღნიშნული დებულება შესულია განათლებისა და სწავლის ხელშეწყობის ადგილობრივი სამინისტროს მისიის შესახებ განაცხადში. აღნიშნული პოლიტიკის გატარების მიზნით, მდგრადი განვითარებისათვის განათლება ინტეგრირებულია სკოლამდელი განათლებიდან დაწყებული სკოლის მე-12 კლასის ჩათვლით განათლებისთვის განკუთვნილ სასწავლო პროგრამებსა და გეგმებში და, გარდა ამისა, განსაზღვრულია სწავლის შესაბამისი შედეგები, ისეთ საგნებში, როგორცაა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სოციალურ მეცნიერებები, ჯანმრთელობის დაცვა და ფიზიკური აღზრდა. პედაგოგებისა და სკოლის ხელმძღვანელების შესაძლებლობების განვითარება, აგრეთვე სპეციალური დაფინანსება, რომელიც ემსახურება მდგრადი განვითარების პრაქტიკის, პრინციპების, პროგრამებისა და პარტნიორობის განვითარების უზრუნველსაყოფას, ეხმარება სკოლებს მდგრადი განვითარების მიმართულებით მუშაობა აწარმოონ საკლასო ოთახებში, და, გარდა ამისა ჩართონ იგი სხვადასხვა ღონისძიებებსა და სკოლების მართვის პრაქტიკაში“.

წყარო: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) (2014a: 50, 51, 53)

გერმანიის მდგრადი განვითარებისათვის განათლების სასწავლო პროგრამის ჩარჩო (მდგრადი განვითარებისათვის განათლება) მოიცავს თემებს, კომპეტენციებსა და კონკრეტულ მაგალითებს, რომლებიც განკუთვნილია დაწყებითი განათლებისა და საშუალო განათლების ყველა საგნის ფარგლებში, ასევე პროფესიული განათლების ფარგლებში გამოსაყენებლად. აღნიშნული ჩარჩო წარმოადგენს, გერმანიის 16 ფედერაციულ მხარესა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, განათლებისა და კულტურის სამინისტროების მუდმივმოქმედი კონფერენციისა და ფედერალური ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს ერთობლივი ინიციატივის შედეგს (KMK/BMZ, 2016).

მდგრადი განვითარებისათვის განათლების გლობალური სამოქმედო პროგრამის პირველი პრიორიტეტი „პოლიტიკის ხელშეწყობა“, მოიცავს „მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვას სასწავლო პროგრამებსა და ხარისხის ეროვნულ სტანდარტებში“ (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014b: 16). ზოგიერთი ღონისძიება სხვებზე მეტად მნიშვნელოვნად არის მიჩნეული, სასწავლო პროგრამებში საჭირო ცვლილებების შეტანის ხელშეწყობის მიმართულებით.

მოსწავლეთა შორის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ განათლებაზე მოთხოვნის ზრდა შესაძლებელია გახდეს სასწავლო პროგრამებსა და სწავლების პრაქტიკაში ცვლილებების მნიშვნელოვანი

წამყვანი ფაქტორი. შესაბამისად, საჭიროა ამ მოთხოვნაზე დაკვირვების წარმოება და მისი უკეთ შესწავლა (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014a).

საჭიროა სასწავლო პროგრამებში ცვლილებების ხელშეწყობა, განათლების ყველა საფეხურსა და ყველა ტიპის განათლებაში, მათში მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული მეტი მასალის, სწავლის ამოცანებისა და სასწავლო პრაქტიკის შეტანის მიზნით. საბავშვო ბაღები, სკოლები და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და უმაღლესი განათლების დაწესებულებები არა მხოლოდ ინდივიდუალურ კურსებს უნდა სთავაზობდეს ახალგაზრდებს, არამედ უნდა უზრუნველყოფდეს ყველა მოსწავლისა თუ სტუდენტისათვის შესაძლებლობის გაფართოვებას, რათა მათ შეიძინონ ცოდნა, დამოკიდებულებები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირებისთვის, როგორც მათ პროფესიულ ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014a). ამ მიზნით, პირველ რიგში, უნდა გამოირიცხოს მდგრადი განვითარებისათვის განათლების, როგორც დამატებითი განათლების ან ცალკე საგნის განხილვა. მაგალითად, სასკოლო განათლებაში იგი უნდა გახდეს ძირითადი საგნების (როგორცაა მათემატიკა, საბუნებისმეტყველო საგნები, მშობლიური და უცხო ენები) სწავლებისა და სწავლის განუყოფელი ნაწილი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ სწავლის ამოცანები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები და შეფასება ერთმანეთთან იყოს მჭიდროდ დაკავშირებული, რათა ისინი ერთმანეთს ავსებდეს და აძლიერებდეს. და ბოლოს, უნდა შემუშავდეს სწავლის ამოცანები სხვადასხვა ეტაპისთვის, ე.ი. სწავლის პროცესი უნდა მოიცავდეს ერთი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლისთვის საჭირო კომპეტენციათა დაუფლებას (სკაფოლდინგი).

ჩანართი 2.2.2. სასწავლო პროგრამებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

ხარისხიანი განათლების განმარტების გაუმჯობესების მიმართულებით ძალისხმევა უნდა გულისხმობდეს მის შესაბამისობას მდგრად განვითარებასთან და მასში მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მიზნებისა და ღირებულებების ჩართვას

საჭიროა შემდგომი კვლევა, შეფასება და სასწავლო პროგრამებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული გამოცდილების გაზიარება

საჭიროა მდგრადი განვითარებისათვის განათლების ინსტიტუციონალიზაცია, მათ შორის შესაბამისი პერსონალისა და ფინანსური რესურსების მობილიზება

საჭიროა მდგრადი განვითარებისათვის განათლების დაკავშირება კომპეტენციებთან, პროფესიულ სტანდარტებთან, მასწავლებელთა სერტიფიცირებასა და მასწავლებელთა განათლების დაწესებულებათა აკრედიტაციასთან

მასწავლებლები საჭიროებენ მეტ დახმარებას სწავლების პრაქტიკაში (მაგალითად, რჩევებსა და რეკომენდაციებს მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული მასალების შექმნისა და შეფასების მიმართულებით, მექანიზმებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მასწავლებლებს შორის ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას და, საბოლოო ჯამში ადგილობრივი მასწავლებლების შესაძლებლობების გაფართოებას, მდგრადი განვითარებისათვის განათლების ფასილიტატორებსა და სამუშაო ადგილზე მასწავლებელთა გადამზადებაზე პასუხისმგებელ ტრენერებს)

შესაძლებლობების შექმნასა და გაფართოებას ხელისუფლებისათვის, განათლების პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის და პედაგოგებისათვის

სასწავლო პროგრამების პოლიტიკის მოქნილობა, რაც საშუალებას აძლევს დაწყებით და საშუალო სკოლებს შეიმუშაონ და სასწავლო პროგრამებში შეიტანონ შესაბამისი მასალები და პროექტები, ადგილობრივ დონეზე ყველაზე აქტუალურ თემებზე

წყარო: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) (2014a)

2.3. მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვა მასწავლებელთა განათლებაში¹³

პედაგოგები არიან ის პირები, რომლებსაც, ზოგადად, მნიშვნელოვანი ცვლილებების გახორციელება შეუძლიათ და, კონკრეტულად, შესწევთ ძალა, მათ მიერ მიწოდებული განათლების საშუალებით, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად საჭირო რეაგირებას ჩაუდგინენ სათავეში. ის თუ რა ცოდნასა და კომპეტენციებს ფლობენ ისინი, მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, თუ რამდენად წარმატებით გახორციელდება საგანმანათლებლო პროცესებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგრადი განვითარების სამსახურში ჩაყენება.

მასწავლებელთა განათლება უნდა უზრუნველყოფდეს ამ გამოწვევებთან გამკლავებას, რისი მიღწევაც შესაძლებელია მასწავლებელთა განათლების მდგრადი განვითარებისათვის განათლებაზე ორიენტირებით. გაეროს მდგრადი განვითარებისათვის განათლების ათწლეულის მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდა მასწავლებელთა განათლებაში მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვის კარგი პრაქტიკის მაგალითები (იხ. ჩანართი 2.3.1) და ასევე დადასტურდა, რომ მასწავლებელთა მხარდაჭერა მდგრადი განვითარებისათვის განათლების წარმატებით დანერგვისა და გახორციელების უმთავრესი პირობა და გარანტიაა (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014a).

თუმცა, მასწავლებელთა მომზადება მდგრადი განვითარებისათვის განათლების მიწოდების მიმართულებით, არც თუ ისე ინტენსიურად წარმოებს. კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ მასწავლებელთა განათლებაში საკმარისად იყოს წარმოდგენილი მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული კონტენტი და მასთან ასოცირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები. სწორედ ამის გამო, მდგრადი განვითარებისათვის განათლების გლობალური სამოქმედო პროგრამის მესამე პრიორიტეტი გულისხმობს პედაგოგთათვის შესაძლებლობების განვითარებას. ამ მიმართულებით ერთ-ერთი რეკომენდებული ღონისძიება მოიცავს მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვას მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამებში (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014b).

იმისათვის რათა მასწავლებლები მზად იყვნენ მდგრადი განვითარებისათვის განათლების ხელშეწყობისთვის, ისინი აუცილებლად უნდა ფლობდნენ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ ძირითად კომპეტენციებს (მათ შორის ცოდნას, უნარებს, დამოკიდებულებებს, ღირებულებებს, მოტივაციასა და საქმისადმი ერთგულებას). თუმცა, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ზოგადი კომპეტენციების გარდა, მასწავლებლები ასევე უნდა ფლობდნენ მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ კომპეტენციებს, რაც შესაძლებელია ერთობლივად აღწერილი იყოს, როგორც მასწავლებელთა უნარი დაეხმარონ მოსწავლეებს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული კომპეტენციების შექმნაში, სწავლებასა და სწავლასთან დაკავშირებული მთელი რიგი ინოვაციური პრაქტიკის საშუალებით (იხ. ჩანართი 2.3.2).

ჩანართი 2.3.1. მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვა მასწავლებელთა განათლების პროგრამებში - კარგი პრაქტიკის მაგალითები

იამაიკა - მასწავლებელთა მომზადება მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული პროექტების საშუალებით

“ვესტ-ინდოეთის უნივერსიტეტში, იამაიკა, პედაგოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული

¹³ წინამდებარე თავში საუბარია მასწავლებელთა განათლებაზე მდგრადი განვითარების მიმართულებით, საპილოტე პროექტებისა და ახალი ინიციატივების ფარგლებში. მემორანდუმი გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში მასწავლებელთა განათლების რეფორმის შესახებ, რომელიც ინიცირებულია მასწავლებელთა მდგრადი განვითარებისათვის განათლების გერმანულენოვანი ქსელის მიერ (2015 წ.).

სტუდენტებისთვის ლიტერატურის სპეციალობით მოსამზადებელი პროგრამის ძირითადი კურსი მოიცავს ლიტერატურასა და მდგრადი განვითარებისათვის განათლებას, ხოლო სხვა სპეციალობების პედაგოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული სტუდენტებისთვის განკუთვნილ კურსებზე იგი არჩევითი საგნების ჩამონათვალშია შეტანილი. კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს მდგრადი განვითარების კონცეფცია და პრინციპები და მისცეს მათ შესაძლებლობა გააცნობიერონ მდგრადი განვითარებისათვის განათლების როლი მდგრადი სამყაროს შექმნის პროცესში. კურსი სამ კომპონენტს მოიცავს:

1. გლობალური ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ეცნობიან მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ ადგილობრივ და გლობალურ გამოწვევებს.
2. ლიტერატურის შესწავლა, როგორც ემპათიის განვითარების, სტუდენტებში საზოგადოებისადმი კუთვნილების განცდისა და ღირებულებების ჩამოყალიბების, მდგრადი განვითარების მრავალი პერსპექტივიდან აღქმის და მოქმედებისათვის მოტივირების საშუალება.
3. საზოგადოებრივ პროექტებში ჩართვა. სტუდენტებისთვის სავალდებულო აქტივობას წარმოადგენს მათივე თემში არსებულ და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავება. პროექტის ფარგლებში სტუდენტები ირჩევენ ისეთ თემებს, როგორცაა ძალადობა, სიღარიბე და გარემოს გაუარაესება, ისინი მუშაობენ უსახლკარო ადამიანებთან, ეხმარებიან სკოლებს სკოლის ბაღის განაშენიანებასა და მოვლაში, ეწევიან მეფუტკრეობას და ა.შ. სტუდენტების შეფასებით მოცემული კურსი ყველაზე სასარგებლოა, ვინაიდან მათ უწევთ შეხება რეალურ სამყაროში არსებულ მოვლენებთან და, ამავე დროს, ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ ადგილობრივ თემებთან. სტუდენტები აცნობიერებენ, რომ მათ უფრო მეტი რამის სწავლა შეუძლიათ და ასევე შეუძლიათ საკუთარი წვლილი შეიტანონ იმ საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში, რომელსაც ისინი ეკუთვნიან“.

საბერძნეთი – მასწავლებელთა მომზადება

„განათლების სამინისტრომ ქვეყნის მასშტაბით დაარსა გარემოსდაცვითი განათლებისა და მდგრადი განვითარების 46 ცენტრი, რომლებსაც სათავეში უდგას განათლებაზე პასუხისმგებელი რეგიონული სამმართველოები. აღნიშნული ცენტრები ახორციელებენ პროექტებს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს მასწავლებელთა მომზადება იმისთვის, რომ მათ შეძლონ საკუთარ სკოლებში მდგრადი განვითარებასთან დაკავშირებული პროექტების წარმოება. 2011 სასწავლო წლის განმავლობაში, ცენტრების ხელშეწყობით გამართულ 184 სემინარში მონაწილეობა მიიღო სკოლის დაწყებითი და საშუალო საფეხურის 8 745 მასწავლებელმა“.

წყარო: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) (2014a: 92, 97)

მდგრადი განვითარებისათვის განათლების კომპეტენციების უფრო დეტალური აღწერილობა მოცემულია მრავალ სხვა კონცეპტუალურ ჩარჩოში, რომლებიც მდგრადი განვითარებისათვის განათლების სფეროში მასწავლებელთა კომპეტენციებს ეხება, როგორცაა მაგალითად მდგრადი და მრავალჯერადი გამოყენების ტექნოლოგიების ცენტრის (CSCT) მოდელი (Sleurs, 2008), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მოდელი (UNECE, 2012), „KOM-BiNE“-ის მოდელი (Rauch and Steiner, 2013), და ბერჩის მიერ შემუშავებული მიდგომა (Bertschy et al. 2013). მასწავლებელთა განათლების პროგრამები საჭიროებენ დახვეწასა და განვითარებას, აღნიშნული სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით.

მასწავლებელთა განათლებაში მდგრადი განვითარებისათვის განათლების კომპეტენციათა ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული კონტენტისა და სტრუქტურის შეცვლა. მასწავლებელთა განათლების პროგრამების საფუძველსა და ორიენტირს უნდა წარმოადგენდეს მდგრადი განვითარებისათვის განათლება. საგნები, საგნების დიდაქტიკა, საგანმანათლებლო მეცნიერებები და პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევები უნდა შეიცავდეს მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიის პრინციპებს და საგნობრივ ცოდნას (იხ. ჩანართი 2.3.3).

ადგილობრივ საზოგადოებაში არსებული რეალური გამოწვევების საფუძველზე სწავლა მოითხოვს გარე პარტნიორებთან თანამშრომლობას. შესაბამისად, მოდულები უნდა იძლეოდეს გარე პარტნიორებთან (როგორცაა, საზოგადოება/თემი, არაფორმალური საგანმანათლებლო ინსტიტუტები და მდგრადი განვითარებისათვის განათლების ქსელი) კავშირების დამყარების შესაძლებლობებს და უნდა მოიცავდეს პროექტზე ორიენტირებულ თანამშრომლობას.

ჩანართი 2.3.2. სწავლის ამოცანები მასწავლებლებისათვის, მდგრადი განვითარებისათვის განათლების ხელშეწყობისათვის

ფლობს ცოდნას მდგრადი განვითარების შესახებ, მდგრადი განვითარების სხვადასხვა მიზნებისა და მათთან დაკავშირებული თემებისა და პრობლემების შესახებ

აღიქვამს მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებულ დისკურსსა და პრაქტიკას, ადგილობრივ, ეროვნულ თუ გლობალურ კონტექსტში

აყალიბებს ერთიან ხედვას მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების და გამოწვევების შესახებ, მდგრადი განვითარების პრინციპებისა და ღირებულებებთან ასოცირებული სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და კულტურული განზომილებების გათვალისწინებით, თაობათაშორის სამართლიანობისა და გლობალური სამართლიანობის ჩათვლით

იყენებს დისციპლინურ, ინტერდისციპლინურ და ტრანსდისციპლინურ¹⁴ ხედვას გლობალური მასშტაბით მიმდინარე ცვლილებებისა და ადგილობრივ გარემოზე მათ გამოვლინებებთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით

აანალიზებს მდგრადი განვითარების კონცეფციას, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად საკუთარი სპეციალობის მნიშვნელობასა და საკუთარი როლს ამ პროცესში

აანალიზებს მდგრადი განვითარების მიზნებისათვის განათლების ფორმალურ, არაფორმალურ და ფორმალურისგან განსხვავებულ ფორმებს შორის ურთიერთკავშირს და მიღებულ ცოდნას იყენებს საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში

აცნობიერებს, რომ კულტურული მრავალფეროვნება, გენდერული თანასწორობა, სოციალური სამართლიანობა, გარემოს დაცვა და პიროვნული განვითარება წარმოადგენს მდგრადი განვითარებისათვის განათლების განუყოფელ ნაწილს და ესმის როგორ შეიძლება მათი ჩართვა განათლების პროცესებში

იყენებს ქმედებაზე ორიენტირებულ პედაგოგიკას, რომელსაც შეუძლია ჭეშმარიტი ცვლილების მოტანა, მოსწავლეების ჩართვა მონაწილეობითი, სისტემური, შემოქმედებითი და ინოვაციური აზროვნებისა და მოქმედების პროცესებში, ადგილობრივი თემებისა და მოსწავლეების ყოველდღიური ცხოვრების კონტექსტში

შეუძლია იმოქმედოს როგორც ცვლილების შემოქმედმა, ორგანიზაციული სწავლის პროცესში, რაც ხელს უწყობს მისი სკოლის სვლას მდგრადი განვითარების გზაზე

შეუძლია მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ადგილობრივი შესაძლებლობების ამოცნობა და თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარება

აფასებს მოსწავლეთა მიღწევებსა და განვითარებას, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული გამჭოლი კომპეტენციების დაუფლების დონეს და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული სწავლის კონკრეტულ შედეგებს.

¹⁴ ინტერდისციპლინარობა გულისხმობს „თანამშრომლობას სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებს შორის და „სხვადასხვა დისციპლინათა ხედვების, თეორიებისა და მეთოდების ერთობლიობას“. ტრანსდისციპლინარობა გულისხმობს „იმ ექსპერტებთან თანამშრომლობას, რომლებიც ფლობენ საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკულ გამოცდილებას, თუმცა არ განეკუთვნებიან სამეცნიერო წრეს“ (Godemann, 2006: 52).

გარდა ამისა, მდგრადი განვითარებისათვის განათლება საჭიროებს ინსტიტუციონალიზაციას, როგორც მასწავლებელთა განათლების ელემენტი, კონკრეტულად, იმის წყალობით, რომ მდგრადი განვითარებისათვის განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების თაობაზე საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე დებატები და მსჯელობები მოდულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუდენტებს უნდა მიეცეს შესაძლებლობა ისწავლონ საზღვარგარეთ, რაც მათი პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას უწყობს ხელს.

მასწავლებელთა განათლებაში მდგრადი განვითარებისათვის განათლების სრულყოფილად ჩართვის მიზნით, მასწავლებელთა განათლების პროგრამების შინაარსის და ფორმის შემუშავების ძალისხმევაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ ძირითადი დაინტერესებული მხარეები, როგორცაა სტუდენტები, მასწავლებლები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და მდგრადი განვითარებისათვის განათლების სპეციალისტები. ინოვაციათა ხელშეწყობის მიზნით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰქონდეს სათანადო პირობები და სტუდენტებს სთავაზობდეს ორგანიზაციული სწავლის პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას.

ვინაიდან ჯერ კიდევ ბევრი მასწავლებელია, რომლებსაც არ აქვთ მიღებული მდგრადი განვითარებისათვის განათლება, მასწავლებელთა მომზადების ფარგლებში, მათთვის აუცილებელია წვდომა ამ მიმართულებით პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე. ერთი მხრივ, აღნიშნული გვამღვებს მდგრადი განვითარების პროცესებში მონაწილეობისათვის საჭირო ცოდნისა და კომპეტენციების შექმნის შესაძლებლობას, და მეორე მხრივ, აღნიშნული პროფესიული განვითარება წარმოადგენს განათლების პროცესებსა და საგანმანათლებლო ინსტიტუტებში საჭირო ცვლილებების შეტანის წინაპირობას. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის, რომ პროფესიული განვითარება მდგრადი განვითარებისათვის განათლების მიმართულებით ხელმისაწვდომი იყოს თითო საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთზე მეტი მასწავლებლისთვის და წარმოებდეს ამგვარი მომზადების აღიარება განათლების სისტემების მიერ, მაგალითად დასაქმებისა თუ დაწინაურების და ა.შ. შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს. ამასთან, რეკომენდებულია, ეროვნულ და/ან რეგიონულ დონეზე, ფუნქციონირებდეს პროფესიული განვითარების ცენტრები მდგრადი განვითარებისათვის განათლების მიმართულებით, რაც პროფესიული განვითარებისა და საკონსულტაციო მომსახურების მიღების შესაძლებლობების გაფართოვებას უზრუნველყოფს, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების, უნივერსიტეტებისა და უმაღლესი განათლების სხვა ინსტიტუტების ხელთ არსებული პოტენციალის გამოყენებით.

ჩანართი 2.3.3. მასწავლებელთა განათლების იმ სასწავლო პროგრამის შესაძლო მოდული, რომლის ძირითად ელემენტსაც წარმოადგენს მდგრადი განვითარებისათვის განათლება

მდგრადი განვითარების ძირითადი კონცეფციები ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ხედვით

მდგრადი განვითარებისათვის განათლების კონცეფციები ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ხედვით

დისციპლინური, ინტერდისციპლინული და ტრანსდისციპლინური შეხედულებები მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევების ძირითადი მაგალითების შესახებ

პროექტზე ორიენტირებული მუშაობა, ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური მნიშვნელობის კონკრეტულ პრობლემებზე, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა (ადგილობრივი) პარტნიორებთან თანამშრომლობით


მდგრადი განვითარებისათვის განათლების პროცესების კვლევებზე დაფუძნებული ანალიზი, სხვადასხვა სასწავლო გარემოში (როგორცაა სკოლა, კოლეჯი ან არაფორმალური საგანმანათლებლო დაწესებულებები)

2.4. მდგრადი განვითარებისათვის განათლება საკლასო ოთახებსა და სხვა სასწავლო გარემოში

2.4.1. ერთიანი ინსტიტუციური მიდგომა

მდგრადი განვითარებისათვის განათლება არ მოიცავს მხოლოდ მდგრადი განვითარების შესახებ სწავლებას და არ გულისხმობს მხოლოდ სასწავლო პროგრამებსა და მოსამზადებელ კურსებში ახალი კონტენტის დამატებას. სკოლები და უნივერსიტეტები თავად უნდა წარმოადგენდეს ადგილებს, სადაც შესაძლებელია მდგრადი განვითარების შესახებ ცოდნისა და გამოცდილების შექმნა და, შესაბამისად, ამ დაწესებულებებში მიმდინარე ყველა პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვაზე. მდგრადი განვითარებისათვის განათლების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა მთლიანად საგანმანათლებლო დაწესებულების გარდაქმნა. ამგვარი ერთიანი ინსტიტუციური მიდგომის მიზანს წარმოადგენს მდგრადი განვითარების ჩართვა საგანმანათლებლო დაწესებულების უკლებლივ ყველა ასპექტში. აღნიშნული მოიცავს სასწავლო პროგრამების, დაწესებულების საქმიანობის, ორგანიზაციული კულტურის, მოსწავლეთა და სტუდენტთა მონაწილეობის ხარისხის, მმართველობისა და მართვის რეჟიმების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კვლევების გადასინჯვას (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014a). ამგვარად, თავად დაწესებულების ფუნქციონირება განაპირობებს იმას, რომ ორგანიზაცია ხდება მისაბამი მაგალითი მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისთვის. მდგრადი სასწავლო გარემო, როგორცაა ეკო-სკოლები ან მწვანე სკოლები, პედაგოგებსა და მოსწავლეებს/სტუდენტებს საშუალებას აძლევს მდგრადი განვითარების პრინციპები საკუთარ ყოველდღიურ პრაქტიკაში დანერგონ და ხელი შეუწყონ შესაძლებლობების გაფართოებას, კომპეტენციების განვითარებას და ღირებულებების ჩამოყალიბებას, სრულყოფილად და ამომწურავად.

სურათი 1. ერთიანი ინსტიტუციური მიდგომა (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) 2014a: 89)



გაეროს მდგრადი განვითარებისათვის განათლების ათწლეულის მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდა ერთიანი ინსტიტუციური მიდგომის ბევრი კარგი მაგალითი (იხ. ჩანართი 2.4.1).

ვინაიდან მნიშვნელოვანია სრულიად საგანმანათლებლო დაწესებულების გარდაქმნა, მდგრადი განვითარებისათვის განათლების გლობალური სამოქმედო პროგრამის მეორე პრიორიტეტს („სწავლისა და სწავლების გარემოს გარდაქმნა: მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების დაწესებულებებში“) წარმოადგენს „სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო თუ პროფესიული მომზადების დაწესებულებებში მდგრადი განვითარებისათვის განათლების დანერგვისადმი ერთიანი ინსტიტუციური მიდგომის ხელშეწყობა“ (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014b: 18). ამრიგად, საჭიროა ერთიანი ინსტიტუციური მიდგომის ხელშეწყობა, განათლების ყველა საფეხურზე და ყველა ფორმის განათლების კონტექსტში. სკოლები და სხვა საგანმანათლებლო თუ პროფესიული მომზადების დაწესებულებები საჭიროებენ წახალისებას, რათა მათ შემოღონ მდგრადი განვითარების გეგმებისა და სტრატეგიების პრაქტიკაში დანერგვა. უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სკოლებში, ერთიანი ინსტიტუციური მიდგომის მიმართულებით უკვე არსებული გამოცდილება საჭიროა გაფართოვდეს და დაინერგოს განათლების სხვა საფეხურებსა და სხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, როგორცაა ადრეული ასაკის ბავშვთა განათლება, ტექნიკური და პროფესიული განათლება და ტრენინგი (TVET) და არაფორმალური განათლება.

ჩანართი 2.4.1. ერთიანი ინსტიტუციური მიდგომის მაგალითები

ავსტრალია - ავსტრალიის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული სკოლების ინიციატივა

„ავსტრალიის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული სკოლების ინიციატივა სკოლების წახალისების მიმართულებით გაღებული ძალისხმევის მხოლოდ ერთი მაგალითია, რომელიც ხელს უწყობს სკოლებს დანერგონ მდგრადი განვითარებისათვის განათლებისადმი ერთიანი სასკოლო, სისტემური მიდგომა. აღნიშნული ინიციატივის პილოტირება, პირველად, 2005 წელს დაიწყო, და მან დიდი წვლილი შეიტანა მდგრადი განვითარებისათვის განათლებისადმი ერთიანი ინსტიტუციური მიდგომის დანერგვაში. შედეგებს შორის აღსანიშნავია: მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პროექტების მასშტაბური წამოწყება; მდგრადი განვითარებისათვის განათლების მასშტაბური ჩართვა სასწავლო პროგრამებში; ორგანიზაციული, ფინანსური და გარემოსდაცვითი სარგებელი; და მდგრადი განვითარების უფრო ფართო მიზნების დასახვა და მათი შესრულების მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯები. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრალიის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული სკოლების ინიციატივაში მონაწილეობა დაეხმარა სკოლებს მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული უფრო ეფექტური და ყოვლისმომცველი პროგრამის შემუშავებაში“.

ბუტანი - მწვანე სკოლები მწვანე ბუტანის პროგრამაში

„ბუტანის განათლების სამინისტროს ეროვნული მასშტაბით გახორციელებული რეფორმის - „განათლება - ერის ბედნიერების გარანტია“ - ფარგლებში, მწვანე სკოლები მწვანე ბუტანის პროგრამაში 2009 წლიდან არიან ჩართული. მწვანე სკოლების კონცეფცია, ასევე, ეფექტურობის მართვის სისტემის (PMS) განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რომლის მიზანაც არის სკოლების ეფექტურობის ამაღლება და ხარისხისანი განათლების უზრუნველყოფა. სკოლების ეფექტურობის მართვის სისტემა (PMS) ითვალისწინებს სკოლების თვითშეფასების ინსტრუმენტებს, და მიზნად ისახავს საერთო ეროვნული ბედნიერების უზრუნველყოფასა და მდგრადი განვითარებისათვის განათლების ღირებულებებისა და მასთან დაკავშირებული პროცესების დანერგვას. გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლობა ბუტანში მხარში ამოუდგა ბუტანის მთავრობას, მწვანე სკოლების ინიციატივის გახორციელებაში და გამოვიდა მთელი ქვეყნის მასშტაბით მასწავლებელთა სპეციალური მომზადების ინიციატივით, მწვანე სკოლების პრინციპების პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. შედეგები იმედისმომცემია: ‘რამდენიმე სკოლის განცხადებით სკოლებში თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აღინიშნება განსაკუთრებით ფიზიკური გარემოს, ცნობადობის ამაღლების, მოსწავლეების კულტურისადმი, ბუნებისა და სხვ. მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების თვალსაზრისით’ (ბუტანის განათლების სამინისტრო, 2012 წ.).”

წყარო: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) (2014a: 89, 90)

ჩანართი 2.4.2. ერთიანი ინსტიტუციური მიდგომის ძირითადი კომპონენტები

ინსტიტუცია - ფართო პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ მხარეს – ხელმძღვანელობას, მასწავლებლებს, მოსწავლეებსა თუ სტუდენტებს, ადმინისტრაციას – შექმნან ერთობლივი ხედვა და ერთად დაგეგმონ მდგრადი განვითარებისათვის განათლების გახორციელება, დაწესებულების მასშტაბით.

ინსტიტუტის/დაწესებულების ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა, მისი გარდაქმნის ხელშეწყობად, მაგალითად, შესაბამისი კარგი პრაქტიკის მაგალითების მოწოდება, ხელმძღვანელობისა და ადმინისტრაციის ტრენინგი, სახელმძღვანელო მითითებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი კვლევების წარმოება.

დაწესებულებათა ქსელები უზრუნველყოფს დაწესებულებების ურთიერთთანადგომას, როგორცაა ერთიანი ინსტიტუციური მიდგომის თანატოლთა მიერ სწავლება, და ზრდის ერთიანი ინსტიტუციური მიდგომის შესახებ ცნობადობის დონეს და ხელს უწყობს მის პოპულარიზაციას და მოდელის ფორმით დამკვიდრებას, რომელიც ექვემდებარება ადაპტაციას.

წყარო: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) (2014b)

მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი ინსტიტუციური მიდგომის ყველა კომპონენტი მნიშვნელოვანია, საკლასო თუ სხვა საგანმანათლებლო გარემოში მდგრადი განვითარებისათვის განათლების მიწოდება ემყარება სწავლების ინტერაქტიულ, ინტეგრაციულ და კრიტიკულ ფორმებს - მოქმედებაზე ორიენტირებულ ტრანსფორმაციულ პედაგოგიკას.

2.4.2. მოქმედებაზე ორიენტირებულ ტრანსფორმაციული პედაგოგიკა

მდგრადი განვითარებისათვის განათლება გულისხმობს მოსწავლეთა და სტუდენტთა შესაძლებლობებით აღჭურვასა და მათ მოტივირებას ჩამოყალიბდნენ მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ აქტიურ მოქალაქეებად, რომლებსაც ექნებათ კრიტიკული აზროვნების უნარი და შეძლებენ საკუთარი წვლილი შეიტანონ მდგრადი მომავლის უზრუნველყოფაში. პედაგოგიური მიდგომები, რომლებიც აღნიშნულ მიზანს ემსახურება, მოიცავს მოსწავლეზე/სტუდენტზე ორიენტირებულ, მოქმედებაზე ორიენტირებულ და ტრანსფორმაციულ მიდგომებს (იხ. ჩანართი 2.4.3).

პედაგოგიური მიდგომები წარმოადგენს მდგრადი განვითარებისათვის განათლების მიმართულებით სწავლის პროცესების შემუშავების მთავარ საფუძველს ან წამყვან პრინციპს; სასწავლო პროცესის ხელშესაწყობად საჭიროა ამ პრინციპზე მორგებული კონკრეტული მეთოდები. მდგრადი განვითარებისათვის განათლებაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეთოდებს, რომლებიც ხელს უწყობს კომპეტენციების განვითარებას აქტიური სწავლის საშუალებით. მდგრადი განვითარებისათვის განათლების მიზნებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია კონკრეტული მეთოდები. (მდგრადი განვითარების კონკრეტულ მიზნებზე მორგებული ამ მეთოდების გარკვეული ნაწილი დახასიათებულია წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-2 თავში მოცემულ ჩანართებში.) (იხ. ჩანართი 2.4.4)

მონაწილეობითი სწავლებისა და სწავლის აღნიშნული მეთოდები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს/სტუდენტებს იმოქმედონ და კონკრეტული ნაბიჯები გადადგან მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიმართულებით. როდესაც წარმოებს სწავლებისა და სწავლის მეთოდების შერჩევა კონკრეტული გარემოსათვის, ისინი უნდა ესადაგებოდეს: მოსწავლეთა/სტუდენტთა საჭიროებებს (მაგალითად, იყოს ასაკისთვის შესაფერისი, ითვალისწინებდეს მოსწავლეების/სტუდენტების ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებს); იმ კონტექსტს, რომელშიც ხორციელდება სწავლის პროცესი (მაგალითად, სასწავლო პროგრამის მოცულობას, პედაგოგიურ შესაძლებლობებს, კულტურულ ტრადიციებს); და რესურსებისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობას (მაგალითად, მასწავლებელთა კომპეტენციებს, სასწავლო მასალებს, ტექნოლოგიებს, ბიუჯეტს).

ჩანართი 2.4.3: მდგრადი განვითარებისათვის განათლებაში გამოყენებული ძირითადი პედაგოგიური მიდგომები

მოსწავლეზე/სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა

მოსწავლეზე/სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგიკა მოსწავლეებს/სტუდენტებს განიხილავს როგორც დამოუკიდებელ შემსწავლელებს და ხაზს უსმევს ცოდნის აქტიური შეძენის უპირატესობას, ცოდნის მხოლოდ გადაცემასა და/ან პასიური სწავლის გამოცდილებასთან შედარებით. მოსწავლეთა/სტუდენტთა ცოდნა და, ასევე, სოციალურ გარემოში მათ მიერ მიღებული გამოცდილება უნდა წარმოადგენდეს სწავლის პროცესის სტიმულირების საწყის წერტილს, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები/სტუდენტები ქმნიან საკუთარი ცოდნის ბაზას. მოსწავლეზე/სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა მოსწავლისგან/სტუდენტისგან მოითხოვს საკუთარი ცოდნისა და სწავლის პროცესის გაცნობიერებას, რაც ხელს უწყობს შეძენილი ცოდნისა და სწავლის გამოცდილების მართვასა და მონიტორინგს. პედაგოგების მოვალეობაში შედის ამგვარი გაცნობიერების სტიმულირება და ხელშეწყობა. მოსწავლეზე/სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა ცვლის პედაგოგის როლს და იგი ხდება სწავლის პროცესის ფასილიტატორი (ნაცვლად იმისა, რომ შეასრულოს ექსპერტის როლი, რომელიც აწარმოებს სტრუქტურული ცოდნის გადაცემას) (Barth, 2015).

მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა

მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს მოსწავლეთა/სტუდენტთა ჩართვას მოქმედებაში, რომლის დროსაც ისინი აანალიზებენ საკუთარ გამოცდილებას, სწავლის გამიზნული პროცესისა და პიროვნული განვითარების თვალსაზრისით. ამგვარი გამოცდილების შეძენა შესაძლებელია პროექტში მონაწილეობით (პროფესიული განვითარება), სტაჟირებით, სემინარების ხელმძღვანელობით, კამპანიის წარმოებით და ა.შ. მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა ემყარება კოლბის თეორიას, რომელიც გულისხმობს გამოცდილების მიღების საშუალებით სწავლის ციკლს, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს: 1. კონკრეტული გამოცდილების მიღება; 2. დაკვირვება და გაცნობიერება; 3. აბსტრაქტული კონცეფციის ჩამოყალიბება განზოგადების მიზნით; და 4. მათი გამოყენება ახალ სიტუაციაში (Kolb, 1984). მოქმედების საშუალებით სწავლა ზრდის ცოდნის მიღების, კომპეტენციათა განვითარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბების შესაძლებლობებს, აბსტრაქტული კონცეფციის პირად გამოცდილებასთან და რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირების გზით. პედაგოგის ფუნქციაში შედის სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც მოსწავლეს/სტუდენტს აძლევს გამოცდილების მიღებისა და მიღებული გამოცდილების გაცნობიერება-გაანალიზების შესაძლებლობას.

ტრანსფორმაციული სწავლა

ტრანსფორმაციული სწავლის საუკეთესო განმარტებას წარმოადგენს მისი მიზნებისა და პრინციპების დახასიათება, ვიდრე სწავლებისა და სწავლის ნებისმიერი სტრატეგია. ტრანსფორმაციული სწავლის მიზანია მოსწავლეს/სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა კრიტიკულად განიხილოს და შეცვალოს მსოფლიოს შესახებ მისეული აღქმა და შეხედულებები, მსოფლიოს შესწავლისა და მისი უკეთ გაგების მიზნით (Slavich and Zimbardo, 2012; Mezirow, 2000). პედაგოგი ასრულებს ფასილიტატორის ფუნქციას, რომელიც მოსწავლეებს/სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას და სტიმულს შეცვალონ საკუთარი ხედვა თუ მსოფლმხედველობა. ტრანსფორმაციულ სწავლასთან დაკავშირებული კონცეფცია (Lott-Sisitka et al., 2015) ერთი ნაბიჯით შორს მიდის და გულისხმობს შემდეგს: მდგრადი განვითარებისათვის განათლების ფარგლებში, სწავლის დატვირთვას წარმოადგენს არსებული სტატუსს ქვოს გადალახვა და მოსწავლეთა/სტუდენტთა მომზადება დეკონსტრუქციული აზროვნებისთვის და ახალი ცოდნის შექმნაში მონაწილეობისათვის.

მრავალფეროვანი და საზღვრებგარეშე სასწავლო გარემოსა და მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ჰოლისტიკური და ყოვლისმომცველი სურათის შექმნის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებები და პედაგოგები ხელს უნდა უწყობდნენ პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე. მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირება დაუშვებელია შემოიფარგლებოდეს ერთი ხედვით, ერთი დისციპლინით ან ერთი აზროვნების სტილით. პარტნიორული ურთიერთობები მთელ რიგ საზოგადოებრივ სუბიექტებთან, როგორცაა საწარმოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საჯარო სამსახურები, ხელისუფლება და/ან ინდივიდუალური პირები, ხელს უწყობს სწავლის ახალი შესაძლებლობების შექმნას და წარმოადგენს შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის წყაროს. პარტნიორებთან დიალოგის წარმოებისას ან პროექტში პარტნიორებთან ერთად მონაწილეობისას, მოსწავლეებს/სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ რეალურ და ცხოვრებისეულ გამოწვევებს და გაიზიარონ პარტნიორის ცოდნა და გამოცდილება. ამავე დროს, ფართოვდება პარტნიორთა შესაძლებლობებიც და მათ ეძლევათ საშუალება გამოვიდნენ ცვლილებათა რეალურ შემოქმედთა როლში. მსოფლიო მასშტაბით მოსწავლეებს/სტუდენტებს შორის პარტნიორული ურთიერთობები ხელს უწყობს მათ შორის ერთი და იგივე საკითხსა თუ თემაზე სხვადასხვა ხედვებისა და ცოდნის ურთიერთგაზიარებას. მაგალითად, ვირტუალური კურსები ქმნის გლობალური დიალოგის წარმოებისა და ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების გაღრმავების გარემოს (იხ. ჩანართი 2.4.5).

ჩანართი 2.4.4. მდგრადი განვითარების მიზნებისათვის განათლებასთან დაკავშირებული სწავლის ძირითადი მეთოდები

თანამშრომლობითი, რეალურ გარემოში გახორციელებული პროექტები, როგორცაა სამუშაო ადგილზე სწავლასთან დაკავშირებული პროექტები და მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული სხვადასხვა კამპანიები

გამოცდილება, რომელიც ხელს უწყობს ხედვის ჩამოყალიბებას, როგორცაა სამუშაო შეხვედრები/სემინარები, მოვლენათა განვითარების წინასწარი ანალიზი, უტოპიურ/დისტოპიურ თხზულებებზე მუშაობა, სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში აზროვნება და პროგნოზირება და მომხდარი სიტუაციების გაანალიზება

კომპლექსური სისტემების ანალიზი საზოგადოების ბაზაზე წარმოებული კვლევით პროექტებში მონაწილეობით, კონკრეტული შემთხვევების შესწავლისა და ანალიზის, დაინტერესებულ მხარეთა და პროცესის მთავარ მონაწილეთა ანალიზის, მოდელირების, სისტემური თამაშების და ა.შ. საშუალებით.

კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, „აკვარიუმის“ (fishbowl) მეთოდით წარმოებული დისკუსიის, სწავლის გამოცდილების შესახებ ჩანაწერების წარმოების და ა.შ. საშუალებით.

ჩანართი 2.4.5. მოსწავლეებს/სტუდენტებს შორის ინტერკულტურული დიალოგის მაგალითი

სამაგისტრო პროგრამა ახალგაზრდებისათვის: მოქნილი სასწავლო მიდგომა

სამაგისტრო პროგრამა ახალგაზრდებისათვის წარმოადგენს გლობალურ, ინტერნეტზე დაფუძნებული განათლებისა და სწავლის ქსელს 16-დან 18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლებისთვის. მოსწავლეები და მასწავლებლები იკრიბებიან ვირტუალურ საკლასო ოთახში, სადაც მათ აქვთ შესაძლებლობა ბევრი რამ შეიტყონ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, ერთმანეთთან თანამშრომლობით. ვირტუალურ საკლასო ოთახში მოსწავლეები ერთმანეთისგან სწავლობენ, სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელი თანატოლებისათვის საკუთარ უშუალო გამოცდილებათა გაზიარებით. ისინი ეცნობიან მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საერთო გამოწვევებსა და ამ გამოწვევების შესახებ ადგილობრივად არსებულ ხედვებსა და მათი გადაჭრის გზებს. დღესდღეისობით, 116-ზე მეტი ქვეყნიდან, 30 000-ზე მეტმა მოსწავლემ და 3 000-ზე მეტმა მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა ახალგაზრდებისათვის განკუთვნილ სამაგისტრო პროგრამაში. პროგრამის შეფასების შესახებ არსებული ანგარიშები ცხადყოფს, რომ პროგრამა სასარგებლო აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისა და მათ შორის სკოლებისათვის; შედეგებს შორისაა: „გარემოსდაცვით საკითხებზე ცოდნის გაღრმავება, კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, კლასგარეშე გარემოსდაცვით საქმიანობაში ჩართვა, საერთაშორისო მეგობრობის ფართო ქსელის შექმნა და კომპიუტერული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება“ (McCormick et al., 2005).

წყარო: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) (2014a: 88)

მოქმედებაზე ორიენტირებული ტრანსფორმაციული პედაგოგიკა ხელს უწყობს მდგრადი განვითარებისათვის განათლების გლობალური სამოქმედო პროგრამის მე-4 პრიორიტეტის („ახალგაზრდების გაძლიერება და მობილიზება“) მიზნების შესრულებას, რომელიც გულისხმობს „ახალგაზრდებისათვის უფრო მაღალი ხარისხის ელექტრონული სწავლის შესაძლებლობების შექმნას; ახალგაზრდების მდგრადი განვითარებისათვის განათლების მიმართულებით ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე ადვოკატირებაში, პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაში მონაწილეობასა და საკუთარი წვლილის შეტანას; და ახალგაზრდების ხელმძღვანელობით მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული მეტი აქტივობების დანერგვას“ (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014b: 23).

2.5. მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგებისა და მდგრადი განვითარებისათვის განათლების პროგრამების ხარისხის შეფასება

მდგრადი განვითარებისათვის განათლებისა და განათლების სისტემათა რეორიენტირების მიმართულებით გაღებული ძალისხმევის შედეგების შეფასება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და მისი სრულყოფის მიმართულებით გარკვეულ ძალისხმევას საჭიროებს (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2014a). მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული პროგრამებისა და ინიციატივების შეფასება უნდა წარმოებდეს სხვადასხვა დონეზე. ამ მიმართულებით შესაძლებელია დასახელდეს შემდეგი მიდგომები: სწავლის შედეგების ფართომასშტაბიანი შეფასება; სწავლის შედეგების ინდივიდუალურ დონეზე შეფასება; ეროვნულ დონეზე შეფასება, ეროვნული სასწავლო პრიორიტეტების შესაბამისად; სკოლისა და დაწესებულების მიერ წარმოებული შეფასება, დანერგვისა და მიწოდების გაუმჯობესების მიზნით; განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის შემუშავება, რომელიც მასწავლებლებს საკლასო გარემოში გახორციელებული კონკრეტული პედაგოგიური პრაქტიკის შეფასების საშუალებას მისცემს; და ინდივიდუალური პროგრესის თვითშეფასება.

არსებობს ფართომასშტაბიანი შეფასების მიდგომებში მდგრადი განვითარებისათვის განათლების ელემენტების წარმატებით ჩართვის მაგალითები (იხ. ჩანართი 2.5.1).

ჩანართი 2.5.1. ფართომასშტაბიანი შეფასების მიდგომებში მდგრადი განვითარებისათვის განათლების ელემენტების ჩართვის მაგალითები

მდგრადი განვითარების მოცვის შეფასება

„დაწყებულია სწავლის მიღწევების საერთაშორისო შეფასებაში მდგრადი განვითარებისათვის განათლების ელემენტების ჩართვის პროცესი. მოსწავლეთა მიღწევების შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) მიერ 2006 წელს წარმოებულ შეფასებაში ყურადღება გამახვილებული იყო სამეცნიერო წიგნიერებაზე და, სხვა ღონისძიებებთან ერთად, წარმოებული იქნა ინფორმაციის შეგროვება სკოლის სასწავლო პროგრამებში გარემოსდაცვითი თემების ჩართვის შესახებ (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), 2009 წ.). მოსწავლეთა მიღწევების შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში მოსწავლეთა 98% სწავლობს სკოლებში, რომლებიც მოსწავლეებს აწვდის ცოდნას გარემოსდაცვით თემებსა და საკითხებზე (როგორცაა, გარემოს დაბინძურება, გარემოს დეგრადაცია, ორგანიზმებს შორის ურთიერთობა, ბიომრავალფეროვნება და რესურსების დაცვა). მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების სასწავლო პროგრამებში გარემოს დაცვასთან დაკავშირებული თემები და საკითხები სხვადასხვაგვარად არის შესული, ამ ქვეყნებში საშუალო სკოლის დაბალი საფეხურის მოსწავლეთა უმეტესობა ეცნობა ან მოეთხოვება შეისწავლოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი თემები და საკითხები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) არაწევრ ქვეყნებში, მოსწავლეთა შესაძლებლობები გაეცნონ გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, არაერთგვაროვანია.“

მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული არჩევანისა და ქმედებების შეფასება

„კიდევ უფრო დიდ გამოწვევას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რამდენად განაპირობებს შეძენილი ცოდნა და სწავლის მიღწევები მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მართებული არჩევანის გაკეთებასა და საჭირო ქმედებების გახორციელებას. ამ მიმართულებით არსებობს იმედისმომცემი და პერსპექტიული ინიციატივების რამდენიმე მაგალითი: განათლების მიმართულებით მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციის დაფინანსებით, 2008 და 2009 წლებში, 38 ქვეყანაში ჩატარდა სამოქალაქო განათლებისა და მოქალაქეობის შესახებ სწავლების საერთაშორისო კვლევა (ICCS), რომლის დასკვნითაც გამოვლინდა დადებითი კორელაცია მოქალაქეობის შესახებ სწავლებასა და მოქალაქეობრივ საქმიანობაში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას შორის (Schulz et al., 2010).“

2013 წელს, მოსწავლეთა მიღწევების შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) მმართველმა საბჭომ გადაწყვიტა ეწარმოებინა “გლობალური კომპეტენციის” შეფასება (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), 2016); მოსწავლეთა მიღწევების შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) 2018 წელს წარმოებული შეფასების თანახმად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) გლობალურ კომპეტენციას განმარტავს შემდეგნაირად:

„გლობალური და ინტერკულტურული საკითხების კრიტიკულად და მრავალმხრივი პერსპექტივით ანალიზის უნარი, იმის გაცნობიერება, თუ როგორ მოქმედებს განსხვავებები საკუთარი თავის და სხვათა აღქმაზე, განსჯასა და წარმოდგენებზე, და ღია, ადეკვატური და ეფექტური ურთიერთობების დამყარება სხვა წარმომავლობისა თუ კუთვნილების მქონე პირებთან, ადამიანის ღირსების პატივისცემის საფუძველზე“. (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), 2016: 4)

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებთან და სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად შემუშავებული კითხვარი უზრუნველყოფს ახალგაზრდებს შორის გლობალური საკითხების შესახებ ცოდნისა და აღქმა-გაგების, ინტერკულტურული საკითხების ცოდნისა და გაგებისა და ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარების შეფასებას. გარდა ამისა, კითხვარის ის ნაწილი, რომელშიც მოსწავლეებს შეაქვთ თვითშეფასების მონაცემები, იძლევა მთელი რიგი კომპეტენციების შეფასების საშუალებას, მაგალითად, უნარ-ჩვევები, როგორცაა პატივისცემით, სათანადოდ და ეფექტურად ურთიერთობის უნარი, თანაგრძნობა და მოქნილობა, ასევე დამოკიდებულებები, როგორცაა სხვა კულტურის წარმომადგენლების მიმართ ღიაობა, კულტურული განსხვავებულობის მიმართ პატივისცემა, გლობალური აზროვნება და პასუხისმგებლობა (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), 2016: 6). ამგვარად, კითხვარით წარმოებული კვლევის შედეგად „ხელთ გვექნება პირველი ყოვლისმომცველი მიმოხილვა, რომელიც ეხება იმას, თუ რამდენად წარმატებით ართმევს თავს განათლების სისტემები საკუთარ მოვალეობას სათანადოდ აღჭურვის მოსწავლეები, რათა მათ შეძლონ საკუთარი წვლილის შეტანა მშვიდობიანი და მრავალფეროვანი საზოგადოებების ჩამოყალიბების საქმეში“ (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), 2016: 3). დიდი შვიდეულის (G7) განათლების მინისტრთა შეხვედრაზე, რომელიც 2016 წლის 14 მაისს იაპონიაში, კერძოდ კურაშიოში შედგა, მინისტრებმა აღნიშნეს, რომ ამ შეფასების შედეგად შესაძლებელია შემუშავდეს აღნიშნულ სფეროში მიღწევების საზომი კრიტერიუმები.

მოსწავლეთა მიღწევების შეფასების საერთაშორისო პროგრამას (PISA) და სხვა ფართომასშტაბიან შეფასებებს, მაგალითად როგორცაა, 2016 წელს ჩატარებული სამოქალაქო განათლებისა და მოქალაქეობის შესახებ სწავლების საერთაშორისო კვლევა (ICCS)¹⁵, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების განსაზღვრისა და შემუშავების საქმეში, და ისინი ასევე ხელს უწყობს ხარისხიან განათლებაში მდგრადი განვითარებისათვის განათლების წვლილის შესახებ ცნობადობის ამაღლებას. მათი საშუალებით, ასევე, შესაძლებელი ხდება იმ მონაცემთა მოპოვება, რომლებიც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის მე-7 ამოცანის ორი თემატური ინდიკატორის მონიტორინგს, კერძოდ ესენია: ინდიკატორი # 26, „იმ მოსწავლეთა პროცენტული წილი, ასაკობრივი ჯგუფების (ან განათლების საფეხურების) მიხედვით, რომლებიც ადეკვატურად აცნობიერებენ გლობალურ მოქალაქეობასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს“, და ინდიკატორი # 27, „15 წლის ასაკის იმ მოსწავლეთა პროცენტული წილი, რომლებიც ფლობენ ცოდნას გარემოსდაცვითი

¹⁵<http://iccs.iea.nl>

მეცნიერებისა და გეომეცნიერების სფეროში” (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), 2015b).

მდგრადი განვითარებისათვის განათლების შეფასება სხვადასხვა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს (იხ. ჩანართი 2.5.2).

ჩანართი 2.5.2. მდგრადი განვითარებისათვის განათლების შეფასების სხვადასხვა მიზნები ინდივიდუალურ დონეზე

დასახული სწავლის მიზნების მიღწევის მიმართულებით მოსწავლეთა/სტუდენტთა პროგრესისა და მიღწევების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და შესაბამისი ჩანაწერების წარმოება

მიღწეული პროგრესის შესახებ მოსწავლეებისათვის/სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება, ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება და, ასევე, იმ მხარეების იდენტიფიცირება, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს, და მიღებული ინფორმაციის გამოყენება სწავლის ახალი მიზნების განსაზღვრისათვის

უკუკავშირის დამყარება სწავლებისა და სწავლის პროცესების წარმატების შესახებ, ამ პროცესების დაგეგმვის, გახორციელებისა და გაუმჯობესების მიზნით

ფორმალური განათლების სფეროში, ინფორმაციის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება მოსწავლეთა/სტუდენტთა შეფასებისა და აკადემიური და პროფესიული არჩევანის შესახებ

სწავლის შედეგების შეფასების მრავალი გზა არსებობს. ამ მიზნით მიდგომის შერჩევა წარმოებს კონტექსტის გათვალისწინებით (მაგალითად, განათლების სისტემის მახასიათებლების გათვალისწინებით) და, ასევე, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ და რა გზით წარმოებს მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვა განათლების სისტემაში: ფორმალურ განათლებაში მისი ჩართვით, მაგალითად, სრულიად სასწავლო პროგრამაში ან კონკრეტულ საგანში, ან სხვა ფორმატით. შეფასების მეთოდები უნდა იყოს სწავლის მიზნებისა და ამოცანების და ასევე სწავლებისა და სწავლის პრაქტიკის შესაბამისი. მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული სწავლის მიზნებისა და ამოცანებისა და კომპეტენციების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, სწავლის სრულყოფილად შეფასების მიზნით შესაძლებელია საჭირო გახდეს მთელი რიგი მეთოდების გამოყენება.

მდგრადი განვითარებისათვის განათლება მოიცავს ფართო სპექტრის ტრანსფორმაციულ მიზნებს. პედაგოგები უნდა ითვალისწინებდნენ ამ ფართო სპექტრის მიზნებს. შეფასება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სწავლის შეფასებით; იგი უნდა მოიცავდეს შეფასებას სწავლისთვის და შეფასებას სწავლის პროცესში. პედაგოგები უნდა იყენებდნენ შეფასების ტრადიციული მეთოდების და უფრო რეფლექსიური და ეფექტურობაზე დაფუძნებული მეთოდების ნაკრებს, როგორცაა თვითშეფასება და თანატოლების მიერ წარმოებული შეფასება, რაც იძლევა მოსწავლის/სტუდენტის მიერ ისეთი ასპექტების გაცნობიერების დონის შეფასების შესაძლებლობას, როგორცაა პიროვნული ტრანსფორმაცია, კრიტიკული ანალიზის, ჩართულობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის სიღრმისეული გააზრება. პედაგოგების უკუკავშირი, თანატოლთა უკუკავშირი და თვითშეფასება (მაგალითად, სწავლის გამოცდილების შესახებ ჩანაწერების ან პორტფოლიოს წარმოება) საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დააკვირდნენ საკუთარი სწავლის პროცესებს და ამოიცნონ ის სფეროები და ასპექტები, რომლებიც გაუმჯობესების შესაძლებლობებს იძლევა.

სწავლის შედეგების შეფასების პარალელურად მნიშვნელოვანია წარმოებული იქნას რეალურ დროში მდგრადი განვითარებისათვის განათლების პროგრამების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგისა და შეფასების დროს ყურადღება შესაძლებელია გამახვილებული იყოს პროგრამულ ასპექტებზე (მაგალითად, მოსწავლეთა/სტუდენტთა მოლოდინი, რესურსები, სწავლების კომპეტენციები,

სასწავლო გარემო); პროცესებზე (მაგალითად, სწავლების პრაქტიკა, სასწავლო რესურსები, მოსწავლეთა/სტუდენტთა ჩართულობა); შედეგებზე (მაგალითად, ცოდნა, კომპეტენციები, ღირებულებები და დამოკიდებულებები, ტრანსფორმაციული ეფექტი); და კონტექსტუალურ მოსაზრებებზე.

მდგრადი განვითარებისათვის განათლების პროგრამების ეფექტური შეფასება ჩართული უნდა იყოს შეფასების არსებულ მექანიზმებში, იქ, სადაც ამის საშუალება არსებობს, რაც მთელ რიგ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილებას მოითხოვს. საჭიროა მკაფიოდ განისაზღვროს შეფასების მიზნები და მაჩვენებლები, გათვალისწინებული უნდა იყოს სწავლების/სწავლის სამიზნე პოპულაციის რაობა და კონტექსტი და განისაზღვროს მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ის, თუ რომელი ინფორმაცია წარმოადგენს მისაღებ მტკიცებულებას.

მდგრადი განვითარებისათვის განათლების პროგრამების შეფასების შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას სხვადასხვა მიზნით (იხ. ჩანართი 2.5.3).

ჩანართი 2.5.3. მდგრადი განვითარებისათვის განათლების პროგრამების შეფასების შედეგების გამოყენების სხვადასხვა მიზნები

პროგრამული ხარვეზების იდენტიფიცირება

კონკრეტული სფეროების გაუმჯობესება

ადგილობრივი, ეროვნული, საერთაშორისო ტენდენციების და შედეგების შესახებ ანგარიშების წარმოება

პროგრამის ეფექტურობის შეფასება-დადგენა

ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა

მონიტორინგისა და შეფასების გაუმჯობესება აუცილებელია, მდგრადი განვითარებისათვის განათლებაში ინვესტირების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად საჭირო მტკიცებულებების შეგროვების მიზნით, მდგრადი განვითარებისათვის განათლებაში - როგორც განათლების რეორიენტაციის პროცესში - რეფლექსიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია მაჩვენებელთა ჩარჩოს შექმნა, რომელიც დიდ დახმარებას გაგვიწევს მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების სტანდარტების დადგენაში.

3. დასკვნა

მდგრადი განვითარებისათვის განათლებას შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის საქმეში, პირველ რიგში, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებით, რომლებიც საჭიროა მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ უამრავ გამოწვევასთან გასამკლავლებლად და მდგრადი განვითარების სხვადასხვა მიზნების ერთმანეთთან დასაკავშირებლად. გარდა ამისა, მდგრადი განვითარებისათვის განათლებას შეუძლია მოსწავლეების/სტუდენტების აღჭურვა კონკრეტული შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური და ქცევითი კომპეტენციებით, რომლებიც სწავლის ამოცანებითა და შედეგებით არის გათვალისწინებული, და რაც მათ საშუალებას მისცემს გაუმკლავდნენ მდგრადი განვითარების თითოეულ მიზანთან დაკავშირებულ კონკრეტულ გამოწვევებს.

იმისათვის, რათა მსოფლიო მასშტაბით ყველა ადამიანს მიეცეს შესაძლებლობა საკუთარი წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებამ საკუთარ თავზე უნდა აიღოს ვალდებულება უზრუნველყოს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების ყურადღების ცენტრში მოქცევა, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა და მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული სწავლის კონკრეტული შედეგების შემუშავება. შესაბამისად, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული კონტენტის ჩართვას სასწავლო პროგრამებში, არამედ, ასევე, მოქმედებაზე ორიენტირებული ტრანსფორმაციული პედაგოგიკის ეფექტურ გამოყენებას.

განათლების სფეროზე პასუხისმგებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები, პედაგოგები, სასწავლო პროგრამების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა აწარმოებდნენ განათლების სფეროს გადასინჯვას, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში მაქსიმალური წვლილის შეტანის მიზნით, და ამ მიმართულებით ძალისხმევის გაღება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ, დღესვე და ვიდრე 2030 წლამდე. წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ამ მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული კომპეტენციები და კონკრეტული შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური და ქცევითი სწავლის შედეგები, და მასში მოცემულია რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ წარმატებით გახორციელდეს მდგრადი განვითარების მიზნებისათვის განათლების ჩართვა მდგრადი განვითარებისათვის განათლების სამსახურში.

დანართი 1. ონლაინპრაქტიკა და ონლაინრესურსები

მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული ვებგვერდები

ადამიანის უფლებები და მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი

<http://www.ohchr.org/EN/Issues/MDG/Pages/The2030Agenda.aspx>

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და მდგრადი განვითარების მიზნები: საყოველთაო მიზნების მიღწევა

<https://www.oecd.org/dac/sustainabledevelopment-goals.htm>

მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორები

<http://unstats.un.org/sdgs/indicators/indicators-list/>

The Guardian: მდგრადი განვითარების მიზნები: ყველაფერი, რაც უნდა ვიცოდეთ მათ შესახებ

<https://www.theguardian.com/global-development/2015/jan/19/sustainable-development-goals-united-nations>

გაეროს მდგრადი განვითარების შესახებ ცოდნის პლატფორმა

sustainabledevelopment.un.org

<https://sustainabledevelopment.un.org/topics/sustainabledevelopmentgoals>

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) და მდგრადი განვითარების მიზნები

<http://en.unesco.org/sdgs>

გაერო: მდგრადი განვითარება/მდგრადი განვითარების მიზნები

<http://www.un.org/sustainabledevelopment>

<http://www.un.org/sustainabledevelopment/sustainabledevelopment-goals>

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი: რას წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიზნები?

<https://www.weforum.org/agenda/2015/09/what-are-the-sustainable-development-goals>

საკლასო სამუშაოსთან, სასწავლო პროგრამებთან და ახალგაზრდების მიერ გახორციელებულ სამუშაოებთან დაკავშირებული რესურსები

ბრიტანეთის საბჭო: მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული რესურსები

https://schoolsonline.britishcouncil.org/sites/default/files/sdg_education_pack_v3.pdf

„Gaia Education“-ის მიერ შემუშავებული მდგრადი განვითარების ელექტრონული სწავლის პროგრამის ჩარჩო

<http://www.gaiaeducation.org/index.php/en/online>

„GlobalGiving“: ქრუდფანდინგი მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად

<https://www.globalgiving.org/sdg/>

„Green Pack“: სასწავლო მასალები მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე

<http://education.rec.org/green-pack.html>

„OpenLearn“. ღია უნივერსიტეტი: მასალა თვითსწავლისთვის ყველა თემაზე

<http://www.open.edu/openlearn/>

„OXFAM“: მდგრადი განვითარების მიზნების სწავლებასთან დაკავშირებული მოსაზრებების კრებული

<https://www.oxfam.org.uk/education/resources/sustainabledevelopment-goals>

„Sustainability Gamepedia“: მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული თამაშების ბაზა

<http://www.games4sustainability.org/gamepedia/>

სწავლება და სწავლა მდგრადი მომავლის უზრუნველსაყოფად: რესურსები მასწავლებლებისთვის სწავლების მიდგომების, ასევე საკლასო აქტივობების შესახებ, მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემებზე

http://www.unesco.org/education/tlsf/mods/theme_gs.html

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF): მასწავლებლებისათვის განკუთვნილი და მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული რესურსები

<https://teachunicef.org/teaching-materials/topic/sustainabledevelopment-goals>

„Goals.org“: უფასო გლობალური განათლებისა და სწავლის პორტალი, მდგრადი განვითარების გამოწვევებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ

<http://www.thegoals.org>
 როგორ გადავარჩინოთ მსოფლიო - სახელმძღვანელო ზარმაცებისთვის
<http://www.un.org/sustainabledevelopment/takeaction>
 პერსონალის შესახებ: ონლაინ რესურსი, რომელიც იკვლევს ადამიანის მიერ მასალებისა და რესურსების არაგონივრული და მდგრადი განვითარების საზიანოდ გამოყენების საკითხებს
<http://storyofstuff.org>
 მსოფლიო, რომელშიც გვსურს ვიცხოვროთ. მდგრადი განვითარების მიზნების სახელმძღვანელო ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის
http://www.unicef.org/agenda2030/files/TWWW_A4_Single_Page_LowRes_English.pdf
 „MYCI“-ის რესურსების ნაკრები ახალგაზრდებისათვის: ახალგაზრდებისათვის მდგრადი განვითარების მიზნების გაცნობა მათთვის საინტერესო და ინფორმაციული მეთოდებით
http://www.youth.ie/sites/youth.ie/files/SDGs_Youth_Resource%20_Pack.pdf
 გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO): მასწავლებელთა განათლების დაწესებულებათა კარგი პრაქტიკის მაგალითები
<http://unesdoc.unesco.org/images/0015/001524/152452eo.pdf>
 მსოფლიოს ყველაზე დიდი გამოცდილება: ყველაფერი, რაც გჭირდებათ ახალგაზრდებისათვის მდგრადი განვითარების მიზნების გასაცნობად, მიიღე მონაწილეობა და გადაადგი ქმედითი ნაბიჯები
<http://worldslargestlesson.globalgoals.org>
 სამაგისტრო პროგრამა ახალგაზრდებისათვის მდგრადი განვითარების მიმართულებით: ონლაინკურსები და საერთაშორისო მასშტაბით მოსწავლეებს შორის მდგრადი განვითარების შესახებ ცოდნის გაზიარება
<http://www.goymp.org/en/frontpage>
 „YUNGA Challenge Badges“: გაეროს უწყებებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის შედეგად შექმნილი პროგრამა; „YUNGA Challenge Badges“-ის მიზანია მოსწავლეთა ინფორმირება, განათლება და მოტივირება, რათა მათ შეძლონ საკუთარ ქვეყანაში ცვლილებების შეტანა და იქცნენ ცვლილებების რეალური შემოქმედებად საკუთარ თემებში. ნაკრებით შეუძლიათ ისარგებლონ მასწავლებლებმა, საკლასო გარემოში მოსწავლეებთან მუშაობისას, ან ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა.
<http://www.fao.org/yunga/resources/challenge-badges/en/>

ორგანიზაციები და ინიციატივები

ეკო-სკოლების ქსელი
<http://www.ecoschools.global>
 გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)
<http://www.fao.org/home/en/>
 “GAIA Education”
<http://www.gaiaeducation.org>
 ეკოდასახლებების გლობალური ქსელი
<http://www.gen.ecovillage.org>
 ეკოლოგიური ნაკვალევის გლობალური ქსელი „Global Footprint Network“
<http://www.footprintnetwork.org/en/index.php/GFN/>
 ინიციატივა - უმაღლესი სასწავლებლები მდგრადი განვითარების სამსახურში (HESI)
<https://sustainabledevelopment.un.org/sdinaction/hesi>
 „ICLEI“: მდგრადი განვითარების ადგილობრივი ხელისუფლებები
<http://www.iclei.org>
 მდგრადი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი
<http://www.iisd.org>
 მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ქსელი
<http://unsdsn.org>
 გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ასოცირებულ სკოლათა ერთობლივი პროექტების ქსელი „ASPnet“

<http://www.unesco.org/new/en/education/networks/global-networks/aspnet>

გაეროს განვითარების პროგრამა

<http://www.undp.org/>

გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა

<http://www.unep.org>

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) კლუბების, ცენტრებისა და ასოციაციების მსოფლიო ფონდი (WFUCA)

<http://wfuca.org/>

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

<http://www.who.int/en/>

სწავლებისა და პროფესიული სწავლის ხელშეწყობა

ნაკრები მდგრადი განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების დამწყები შემსწავლელებისათვის

<http://www.sustainableschoolsproject.org/tools-resources/starter-kit>

განათლება მდგრადი განვითარებისათვის - რესურსების ნაკრები

<http://www.esdtoolkit.org/>

განათლება მდგრადი განვითარებისათვის - გერმანიის სასწავლო პროგრამათა ჩარჩო

<http://ensi.org/global/downloads/Publications/418/Curriculum%20Framework%20ESD%20final%201.pdf>

მდგრადი განვითარებისათვის განათლების სახელმძღვანელო

<http://sustainableschoolsproject.org/sites/default/files/EFSGuide2015b.pdf>

სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებლებში მდგრადი განვითარებისათვის განათლებისა და ხარისხის შესახებ

<http://efsandquality.glos.ac.uk/>

სასურველი მომავლის შექმნა. გაეროს მდგრადი განვითარებისათვის განათლების (ESD) ათწლეული.

საბოლოო ანგარიში <http://unesdoc.unesco.org/images/0023/002303/230302e.pdf>

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მდგრადი განვითარებისათვის განათლების გზამკვლევი. გობალური სამოქმედო გეგმის გახორციელება

<http://unesdoc.unesco.org/images/0023/002305/230514e.pdf>

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) რესურსი - სწავლება და სწავლა მდგრადი მომავლის უზრუნველსაყოფად

<http://www.unesco.org/education/tlsf/>

ვანდერბილტის უნივერსიტეტის სახელმძღვანელო მდგრადი განვითარებისათვის სწავლების შესახებ

<https://cft.vanderbilt.edu/guides-sub-pages/teaching-sustainability>

ერთიანი სასკოლო მიდგომა მდგრადი განვითარებისადმი: მასწავლებელთა მომზადებაში არსებული პროფესიული განვითარების მოდელების მიმოხილვა (მდგრადი განვითარებისათვის განათლების ავსტრალიის კვლევითი ინსტიტუტი)

<http://aries.mq.edu.au/projects/preservice/files/TeacherEduDec06.pdf>

დანართი 2. გამოყენებული ლიტერატურა

- Adomant, M. and Hoffmann, T. 2013. *The concept of competencies in the context of Education for Sustainable Development (ESD)*. ESD Expert Network. <http://esd-expert.net/assets/130314-Concept-Paper-ESD-Competencies.pdf> (Accessed 16 October 2016)
- Barth, M. 2015. *Implementing sustainability in higher education: learning in an age of transformation*. London, Routledge.
- Bertschy, F., Kbnzli, C. and Lehmann, M. 2013. Teachers' Competencies for the Implementation of Educational Offers in the Field of Education for Sustainable Development. *Sustainability*, Vol. 5, No. 12, pp. 5067–5080.
- Bhutan Ministry of Education. 2012. *Matters: 30th Education Policy Guidelines and Instructions. EPGI 2012*. Thimphu, Bhutan Ministry of Education.
- de Haan, G. 2010. The development of ESD-related competencies in supportive institutional frameworks. *International Review of Education*, Vol. 56, No. 2, pp. 315–328.
- Delors, J. 1996. *Learning, the treasure within. Report to UNESCO of the International Commission on Education for the 21st Century*. Paris, UNESCO.
- German-speaking network Teacher Education for Sustainable Development. 2015. *Teacher education for a sustainable development from pilot projects and initiatives to new structures. A memorandum on reorienting teacher education in Germany, Austria and Switzerland*. http://www.leuphana.de/fileadmin/user_upload/portale/netzwerk-lena/Memorandum_LeNa_English_Stand_August_15.pdf (Accessed 22 June 2016)
- Godemann, J. 2006. Promotion of interdisciplinary competence as a challenge for higher education. *Journal of Social Science Education*, Vol. 5, No. 2, pp. 51–61.
- Standing Conference of the Ministers of Education and Cultural Affairs (KMK) and Federal Ministry for Economic Cooperation and Development (BMZ). 2016. *Curriculum Framework Education for Sustainable Development*. J.R. Schreiber and H. Siege (eds). <http://ensi.org/global/downloads/Publications/418/Curriculum%20Framework%20ESD%20final%201.pdf> (Accessed 6 November 2016)
- Kolb, D. A. 1984. *Experiential Learning: Experience as the Source of Learning and Development*. Englewood Cliffs, N.J., Prentice-Hall
- Inter-Agency and Expert Group on SDG Indicators (IAEG-SDGs). 2016. *Final list of proposed Sustainable Development Goal indicators*. <http://unstats.un.org/sdgs/indicators/Official%20List%20of%20Proposed%20SDG%20Indicators.pdf> (Accessed 29 October 2016)
- International Forum for Volunteering in Development. 2014. *The Lima Declaration*. <http://forum-ids.org/conferences/ivco/ivco-2014/lima-declaration/> (Accessed 6 October 2016)
- Lotz-Sisitka, H., Wals, A. E., Kronlid, D. and McGarry, D. 2015. Transformative, transgressive social learning: rethinking higher education pedagogy in times of systemic global dysfunction. *Current Opinion in Environmental Sustainability*, Vol. 16, pp. 73–80.
- McCormick, K., Muhlhauser, E., Norden, B., Hansson, L., Foug, C., Arnfalk, P., Karlsson, M. and Pigretti, D. 2005. Education for sustainable development and the Young Masters Program. *Journal of Cleaner Production*, Vol. 13, No. 10-11, 1107-1112.
- Mezirow, J. 2000. *Learning as transformation: critical perspectives on a theory in progress*. San Francisco, Jossey-Bass.
- Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). 2009. *Green at Fifteen? How 15-year-olds Perform in Environmental Science in PISA 2006*. Paris, OECD.
- Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). 2016. *Global competency for an inclusive world*. <https://www.oecd.org/pisa/aboutpisa/Global-competency-for-an-inclusive-world.pdf> (Accessed 29 October 2016)

- Rauch, F., Steiner, R. 2013. Competences for education for sustainable development in teacher education. *CEPS Journal*, Vol. 3, No. 1, pp. 9–24
- Rieckmann, M. 2012. Future-oriented higher education: Which key competencies should be fostered through university teaching and learning? *Futures*, Vol. 44, No. 2, pp. 127–135.
- Rychen, D.S. 2003. Key competencies: Meeting important challenges in life. Rychen, D.S. and Salganik, L.H. (eds). *Key competencies for a successful life and well-functioning society*. Cambridge, MA, Hogrefe and Huber, pp. 63–107.
- Schulz, W., Ainley, J., Fraillon, J., Kerr, D. and Losito, B. 2010. *ICCS 2009 International Report: Civic knowledge, attitudes, and engagement among lower-secondary school students in 38 countries*. Amsterdam, International Association for the Evaluation of Educational Achievement.
- Slavich, G. M. and Zimbardo, P. G. 2012. Transformational Teaching: Theoretical Underpinnings, Basic Principles, and Core Methods. *Educational Psychology Review*, Vol. 24, No. 4, pp. 569–608.
- Sleurs, W. 2008. *Competencies for ESD (Education for Sustainable Development) teachers. A framework to integrate ESD in the curriculum of teacher training institutes*. http://www.unece.org/fileadmin/DAM/env/esd/inf.meeting.docs/EGonInd/8mtg/CSCT%20Handbook_Extract.pdf (Accessed 17 June 2016)
- Tsuneki, H. and Shaw, R. (forthcoming): Current policy development regarding Education for Sustainable Development and Climate Change Education in Costa Rica. Kyoto, Kyoto University.
- United Nations Economic Commission for Europe (UNECE) 2005. *UNECE Strategy for Education for Sustainable Development*. <https://www.unece.org/fileadmin/DAM/env/documents/2005/cep/ac.13/cep.ac.13.2005.3.rev.1.e.pdf> (Accessed 30 October 2016)
- United Nations Economic Commission for Europe (UNECE). 2012. *Learning for the Future: Competences in Education for Sustainable Development*. http://www.unece.org/fileadmin/DAM/env/esd/ESD_Publications/Competences_Publication.pdf (Accessed 17 June 2016)
- UNESCO. 2009. *Bonn Declaration*. http://www.desd.org/ESD2009_BonnDeclaration080409.pdf (Accessed 30 October 2016)
- UNESCO. 2014. *Shaping the Future We Want. UN Decade of Education for Sustainable Development (2005-2014). Final Report*. <http://unesdoc.unesco.org/images/0023/002301/230171e.pdf> (Accessed 14 June 2016)
- UNESCO. 2014b. *UNESCO Roadmap for Implementing the Global Action Programme on Education for Sustainable Development*. <http://unesdoc.unesco.org/images/0023/002305/230514e.pdf> (Accessed 14 June 2016)
- UNESCO. 2014c. *EFA Global Monitoring Report 2013/4 – Teaching and Learning: Achieving quality for all*. Paris, UNESCO. <http://www.uis.unesco.org/Library/Documents/gmr-2013-14-teachingand-learning-education-for-all-2014-en.pdf> (Accessed 15 December 2016)
- UNESCO. 2015a. *Rethinking Education. Towards a global common good?* <http://unesdoc.unesco.org/images/0023/002325/232555e.pdf> (Accessed 16 October 2016)
- UNESCO. 2015b. *Thematic Indicators to Monitor the Education 2030 Agenda. Technical Advisory Group Proposal*. <http://www.uis.unesco.org/Education/Documents/43-indicators-to-monitoreducation2030.pdf> (Accessed 29 October 2016)
- UNESCO. 2016. *Education 2030. Incheon Declaration and Framework for Action. Towards inclusive and equitable quality education and lifelong learning for all*. Paris, UNESCO. <http://www.uis.unesco.org/Education/Documents/incheon-framework-for-action-en.pdf> (Accessed 16 October 2016)
- United Nations. 2012. *The future we want. Outcome document of the United Nations Conference on Sustainable Development, Rio de Janeiro, Brazil, 20–22 June 2012*. <https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/733FutureWeWant.pdf> (Accessed 16 October 2016)

- United Nations. 2015. *Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development. Resolution adopted by the General Assembly on 25 September 2015.* http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/70/1&Lang=E (Accessed 16 October 2016)
- Vare, P. and Scott, W., 2007. Learning for a Change: Exploring the Relationship between Education and Sustainable Development. *Journal of Education for Sustainable Development*. 1(2), 191– 198.
- Wals, A.E.J. 2015. *Beyond unreasonable doubt. Education and learning for socio-ecological sustainability in the Anthropocene.* Wageningen, Wageningen University. https://arjenwals.files.wordpress.com/2016/02/8412100972_rvb_inauguratie-wals_oratieboekje_v02.pdf (Accessed 14 June 2016)
- Wiek, A./Withycombe, L./Redman, C.L. 2011. *Key competencies in sustainability: a reference framework for academic program development.* Sustainability Science, Vol. 6, No. 2, pp. 203–218

განათლება

მდგრადი განვითარების მიზნებისათვის

სწავლის მიზნები და ამოცანები

უფრო მდგრადი მსოფლიოს შექმნის მიზნით და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული იმ პრობლემების მოგვარების საქმეში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც მდგრადი განვითარების მიზნებშია ჩამოყალიბებული, აუცილებელია თითოეული ადამიანის მონაწილეობა მდგრადი განვითარებისათვის საჭირო ცვლილებების გახორციელებაში. ადამიანები უნდა ფლობდნენ ცოდნას, უნარებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს, იმისათვის რომ შეძლონ საკუთარი წვლილი შეიტანონ მდგრად განვითარებაში. მდგრადი განვითარების მიღწევა წარმოუდგენელია განათლების გარეშე და მდგრადი განვითარებისათვის განათლება არის ის გზა, რომელიც სწორ მიმართულებებს გვთავაზობს, რომელიც საშუალებას მისცემს ახალგაზრდა თაობას მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები და იმოქმედონ როგორც პასუხისმგებელმა მოქალაქეებმა, გარემოს შენარჩუნების, ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და სამართლიანი საზოგადოების უზრუნველსაყოფად, როგორც ამჟამინდელი თაობის, ამ მომავალი თაობების სასკიკეთოდ.

წინამდებარე პუბლიკაცია მკითხველისთვის წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევეს, რომელიც ასწავლის მათ როგორ უნდა იყოს გამოყენებული განათლება, განსაკუთრებით მდგრადი განვითარებისათვის განათლება, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის საქმეში. მასში მოცემულია სწავლის ამოცანები, შემოთავაზებულია თემები და სასწავლო აქტივობები, მდგრადი განვითარების თითოეული მიზნისთვის, და ასევე განხილულია სხვადასხვა დონეზე პროგრამათა დანერგვისა და გახორციელების მეთოდები, დაწყებული სასწავლო კურსის შემუშავებით და დამთავრებული ეროვნული სტრატეგიების შექმნითა და დანერგვით. წინამდებარე დოკუმენტი განკუთვნილია პოლიტიკის ფორმირებასა და შემუშავება-გახორციელებაზე ასევე სასწავლო პროგრამების შემუშავება-დანერგვაზე პასუხისმგებელი პირებისათვის, და მეთოდისტიკისათვის, რომელთა მოვალეობასაც შეადგენს მდგრადი განვითარების მიზნებისათვის განათლების ხელშემწყობი სტრატეგიების, სასწავლო პროგრამებისა და კურსების შემუშავება.